



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union




სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

სოციალური მენარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის



სოციალური მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა

საერთაშორისო გამოცდილება და
სფეროს განვითარების ადგილობრივი
პერსპექტივები



თბილისი 2022 © CSI



სოციალური მენარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა

საერთაშორისო გამოცდილება და
სფეროს განვითარების ადგილობრივი
პერსპექტივები

კვლევის ავტორები:

ანა ჯიქია

ეთო გვრიტიშვილი

კვლევის კონტრიბუტორები:

ეკა დათუაშვილი

ლევან ფანიაშვილი

სალომე კუსიანი

ია გაბუნია

დიზაინი:

თემურ ჯალიაშვილი

კვლევა განხორციელდა ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ (Bread for the World) მხარდაჭერით, პროექტის „სოციალური მეწარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და „პური მსოფლიოსთვის“ შეხედულებებს.



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union




სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

სოციალური მენარმეობის განვითარება
მდგრადი და ინკლუზიური
საზოგადოებისთვის



თბილისი 2022 © CSI



„პროექტს ევროკავშირისა და პური მსოფლიოსთვის მხარდაჭერით ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), სოციალური საწარმოთა ალიანსი (SEA), საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (GCDA), საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი (DDUG), ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაცია (EVPA), ახალგაზრდობის სააგენტო“.

„სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით.

მისამართი: თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი2, V სართული
ტელ.: (995 32) 2 363 600;

<https://civilin.org/>

adm@civilin.org

<https://www.facebook.com/civilin.org>

სარჩევი

<u>1 შესავალი.....</u>	<u>7</u>
<u>2 სოციალური მეწარმეობა საქართველოში - ადგილობრივი კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა.....</u>	<u>9</u>
<u>3 სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შუქზე.....</u>	<u>11</u>
<u>4 სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების მნიშვნელობა და გავლენა</u>	<u>14</u>
4.1 რა როლი აქვს სახელმწიფოს აღიარებას სოციალური მეწარმეობის განვითარებაში? .	14
4.2 რა ადგილი აქვს სოციალურ მეწარმეობას ქვეყნის განვითარების თანამედროვე ხედვებში?	18
4.3 სოციალური მეწარმეობის როლი დასაქმებასა და შრომითი პირობების გაუმჯობესებაში	20
<u>5 სოციალური მეწარმეობის აღიარება სახელმწიფოს მხრიდან.....</u>	<u>23</u>
5.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები	23
5.2 სოციალური მეწარმეობის აღიარების მიხედვით განვითარების სხვადასხვა ეტაპების ზოგადი მიმოხილვა.....	24
<u>6 სოციალური მეწარმეობის ცნება.....</u>	<u>27</u>
6.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები	27
6.2 ცნებათა შინაარსი სფეროს განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე	28
6.3 ცნებათა თანამედროვე შინაარსი	32
6.3.1 მმართველობითი კრიტერიუმი.....	33
6.3.2 ეკონომიკური კრიტერიუმი	34
6.3.3 სოციალური კრიტერიუმი	35
6.3.4 სოციალური ინოვაცია.....	36
6.4 სოციალურ საწარმოთა განსხვავება სხვა მსგავსი სუბიექტებისგან.....	37
<u>7 სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარება.....</u>	<u>39</u>
7.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები	39
7.2 სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობა	41
7.3 სფეროს საკანონმდებლო აღიარება	41

7.3.1 საკანონმდებლო მოწესრიგების სხვადასხვა ფორმათა დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	44
7.3.2 სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემოს მიმოხილვა რუმინეთის, იტალიის, ბულგარეთისა და დანიის მაგალითზე.....	47
7.3.3 სოციალურ მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარების საერთაშორისო მექანიზმები.....	53

8 სოციალური მეწარმეობის სფეროს პოლიტიკური აღიარება 55

8.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	55
8.2 სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარების მნიშვნელობა.....	56
8.3 სოციალურ მეწარმეობის პოლიტიკური დოკუმენტებით აღიარების ფორმები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.....	56
8.4 პოლიტიკური აღიარების პროცესთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ...	59

9 სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტიტუციური რგოლის შექმნა 60

9.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	60
9.2 სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციური ხელშეწყობის მნიშვნელობა.....	60
9.3 სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციური ხელშეწყობის ფორმები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.....	61

10 სოციალური საწარმოების სამართლებრივი ფორმები და მათი მახასიათებლები..... 65

10.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	65
10.2 სოციალური საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.....	65

11 სოციალური საწარმოების რეგისტრაცია, აკრედიტაცია და ზედამხედველობა..... 69

11.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	69
11.2 სოციალურ საწარმოთა რეგისტრირებისა და აკრედიტაციის მეთოდები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.....	70
11.3 სოციალურ საწარმოთა ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება.....	72
11.3.1 ზედამხედველი ორგანოები.....	73
11.3.2 კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა / სოციალური საწარმოს სტატუსის ჩამორთმევა.....	74

12 სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა 75

12.1 სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო ხელშეწყობა საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაციის მაგალითზე.....	75
12.1.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	75

12.1.2	სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიზნით საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაცია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე	76
12.2	საგადასახადო შეღავათები	81
12.3	სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის სხვა სახელმწიფო ინსტრუმენტები.....	83
12.3.1	თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	83
12.3.2	საჯარო გრანტები და სუბსიდიები	84
12.3.3	ინვესტირება და თანაინვესტირება	85
12.3.4	SOCIAL IMPACT BONDS	86
12.3.5	სოციალური საფონდო ბირჟა	87
12.4	სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გადაცემა	87

13 ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობაში 88

13.1	თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	88
13.2	ადგილობრივი მხარდამჭერი ინსტრუმენტების კარგი პრაქტიკების მიმოხილვა	89

14 კვლევა, განათლება და სოციალური საწარმოების პოპულარიზება 92

14.1	თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები.....	92
14.2	სოციალური მეწარმეობის განათლება საჯარო სკოლებში.....	93
14.3	სოციალური მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერა უმაღლესი განათლების საფეხურზე	94
14.4	არაფორმალური განათლება, კონსულტირება და სამეწარმეო ინკუბატორები	95
14.5	სოციალური საწარმოების გაყიდვების წახალისება და პოპულარიზაცია	97
14.6	სოციალური მეწარმეობის კვლევის სახელმწიფო მხარდაჭერა	98
14.6.1	სოციალური მეწარმეობის გავლენის კვლევა	99

15 კვლევის შეჯამება და რეკომენდაციები 100

აბრევიატურები

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი

შშმ-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

CEPES - The Spanish Social Economy Employers' Confederation

CESP - the Confederation of the Portuguese Social Economy,

CNCRES - Conseil National des Chambres Régionales de l'Economie Sociale

EMES - Emergence of Social Enterprises in Europe

GDP - Gross domestic product (მთლიანი შიდა პროდუქტი)

ISTAT - The Italian National Institute of Statistics

ILO-International Labor Organization (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია)

KPRES - Polish National Programme for Social Economy Development

LBES - Framework Law on Social Economy (Portuguese)

MERCOSUR - South American economic organization

OECD- Organisation for Economic Co-operation and Development (ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)

PTCE - Regional economic cooperation clusters (Pôles Territoriaux de Coopération Economique)

SCE - the Statute for European Cooperative Society

SEUK - Social Enterprise UK

SGEI - Services of General Economic Interest

SIB - Social Impact Bonds

TFSSE - Task Force on Social and Solidarity Economy

1 შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე სოციალურმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა, უმუშევრობამ და სოციალურმა უთანასწორობამ, მოწვევადი ჯგუფების გარიყვამ, მასშტაბურმა სიღარიბემ და სხვა სისტემურმა სოციალურმა პრობლემებმა, კარგად გამოაჩინეს ტრადიციული აქტორების, სახელმწიფო აპარატებისა და კომერციულ მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს სუბიექტების უუნარობა დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ და შეეჭიდონ ფართომასშტაბიან გამოწვევებს და სისტემურად გადაწყვიტონ ისინი.

სწორედ ასეთი სოციალური კრიზისების პერიოდში, კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ ამ გამოწვევებთან ინოვაციური პრიზმიდან გამკლავების გზების ძიების პროცესში, გაჩნდა სოციალური მეწარმეობა ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში.¹ იმის მიუხედავად, რომ სოციალური მეწარმეობის ერთიანი ცნება არ არსებობს, და პრაქტიკაში სხვადასხვა მოდელის, სამართლებრივი ფორმისა და სტრუქტურის სოციალური საწარმოები გვხვდება, სოციალური მეწარმეობის ცენტრალური განმასხვავებელი ნიშანი, სხვა ტრადიციული მეწარმეობის ფორმებისგან ასეთი საწარმოების მისიაა-მისია, სოციალური პრობლემებისთვის (უმუშევრობა, მოწვევადი ჯგუფების გარიყვა, სიღარიბე, გარემოსდაცვა და ა.შ) მოიძებნოს გადაწყვეტის სამეწარმეო პრინციპებზე დამყარებული გზები და შექმნას ამ გამოწვევათა გადაჭრის ინოვაციური მექანიზმები.²

საქართველოს კონტექსტში სოციალურ მეწარმეობას კიდევ უფრო მცირეხნიანი ისტორია აქვს და მის მხარდასაჭერად და პრაქტიკაში დასანერგად აქტიური სამოქალაქო კამპანია 2010 წლიდან იღებს სათავეს.³

მას შემდეგ, საქართველოსა და მსოფლიოს გარშემო, სოციალური მეწარმეობის იდეას მეტი მხარდაჭერა აქვს, მისი როლი სოციალურად მოწვევადი ჯგუფების ყოველდღიურობაში თანდათანობით გაიზარდა და ამ თემის გარშემო მეტი საზოგადოებრივი კონსოლიდაციაც გაჩნდა, თუმცა ადგილობრივ კონტექსტში საკითხს კვლავაც არ აქვს ფართომასშტაბიანი საჯარო აღიარება და საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელიც საქართველოში სოციალური მეწარმეობის სექტორის სახელმწიფო დონეზე საკანონმდებლო და პოლიტიკური აუღიარებლობაა.

დოკუმენტის მიზანია სამაგიდო კვლევის საფუძველზე, საქართველოში სოციალური მეწარმეობის მცირეხნიანი წარსულისა და სამართლებრივი აღიარების არარსებობის ფონზე, მიმოიხილოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის მიმართულებით არსებული

1 ILO, (2017) A Practice Guide to Supporting Social Entrepreneurship and Inclusiveness in Rural Communities, p.9 https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---africa/---ro-abidjan/---sro-cairo/documents/publication/wcms_589097.pdf

2 Thompson, John & Doherty, Bob. (2006). The diverse world of social enterprise. International Journal of Social Economics p. 362; https://www.researchgate.net/publication/23954448_The_diverse_world_of_social_enterprise

3 ეკა დათუაშვილი, CSI, SEA, (2020) სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

სახელმწიფო პოლიტიკა და ის სამართლებრივი ლანდშაფტი, რომელშიც სოციალური საწარმოები მუშაობენ. კვლევის ფარგლებში სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და საკანონმდებლო ჩარჩოების შეფასების მიზანია, იმ ძირითადი ინსტრუმენტების გამოკვეთა და იმ პოლიტიკის ჩარჩოს დასახვა, რომლის საქართველოში დანერგვაც ხელს შეუწყობს სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებას..

კვლევა არ ფოკუსირდება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების ან რეგიონის გამოცდილებაზე და მიჰყვება სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების იმ სისტემურ ელემენტებს, რომლებიც აკადემიურ ლიტერატურაში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკაში აღიარებულია როგორც სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში სახელმწიფო მონაწილეობის წარმატებული მაგალითები.

კერძოდ, პირველ ეტაპზე კვლევა მიმოიხილავს სოციალური მეწარმეობის ადგილობრივ კონტექსტს და განიხილავს სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების პერსპექტივაში. კვლევა ასევე განიხილავს, სოციალური მეწარმეობის აღიარების შედეგად სხვა ქვეყნებში მიღწეულ კონკრეტულ შედეგებს და ამ მაგალითებით სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების მნიშვნელობას პრაქტიკული პერსპექტივით წარმოაჩენს. კვლევის შემდეგი ნაწილი შეეხება სახელმწიფო აღიარების ფორმებსა და ინსტრუმენტებს (საკანონმდებლო აღიარება, პოლიტიკური აღიარება, ინსტიტუციური მხარდაჭერა და ა.შ), სოციალური მეწარმეობის ცნებასა და იმ ადმინისტრაციულ პროცედურებს რომლებიც დაკავშირებულია სოციალური საწარმოების აღიარებასთან, რეგისტრაციასთან და ანგარიშვალდებულებებთან. დოკუმენტი ასევე ფარავს სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, სოციალურ საწარმოთა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მათი მდგრადობისთვის საჭირო სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა სქემებს. კვლევა, სოციალური მეწარმეობის ცენტრალური ხელისუფლების მიერ მხარდაჭერის საკითხის პარალელურად, ასევე განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის როლს ადგილობრივ დონეზე სექტორის განვითარებისა და გაძლიერების პროცესში. კვლევის ბოლო კომპონენტი სოციალური მეწარმეობის სექტორის უფრო გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების მექანიზმებს განაზოგადებს და სწავლობს ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ სახელმწიფო საგანმანათლებლო, კვლევით და საკონსულტაციო მოდელებს.

ხაზგასასმელია, რომ კვლევის ფარგლებში მიმოხილული ქვეყნების გამოცდილება პირდაპირ არ ემთხვევა საქართველოში დღესდღეობით არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობას, შესაბამისად, ამ ინსტრუმენტების პირდაპირი გადმოტანა ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ვერ მოხდება. კვლევის მიზანია წარმოდგენა შექმნას იმ შესაძლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ ნაბიჯებზე, რომლებიც საქართველოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადადგას სოციალური მეწარმეობის სექტორის სისტემური გაძლიერებისა და მშენებლობის მიმართულებით. ასევე, დაინტერესებულ პირებს, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებით, დაეხმაროს ამ სფეროს განვითარებისთვის საჭირო სტრატეგიის შემუშავებაში.

2 სოციალური მეწარმეობა საქართველოში - ადგილობრივი კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სოციალური მეწარმეობა ახალგაზრდა, სწრაფად განვითარებად, თუმცა დაურეგულირებელ და სამართლებრივი აღიარების არ მქონე სფეროდ შეიძლება ჩაითვალოს.⁴ მოცემული, პირველ რიგში, გამომდინარეობს სოციალური მეწარმეობის სფეროს აუღიარებლობით, ლეგიტიმაციის, ასევე სფეროსთან დაკავშირებული ტერმინების ნორმატიული განმარტების არარსებობით. სოციალური საწარმოს, სოციალური მეწარმეობისა თუ სოციალური მეწარმის ცნებები ოფიციალური ფორმით არ არის მოცემული არცერთ მოქმედ საკანონმდებლო დოკუმენტში,⁵ შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სოციალური მეწარმეობის ინდივიდუალური განმარტების ჩამოყალიბება და შემოთავაზება უწევს.⁶ მოცემული ართულებს სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღქმას როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისთვის, ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული და ქმედითი მექანიზმების დანერგვისა და სფეროს ხელშეწყობი სტრატეგიების შემუშავება/აღსრულების პროცესს. სოციალურ საწარმოთა სამართლებრივი სტატუსის არარსებობა ასევე ართულებს სოციალური მეწარმეობის სფეროს წარმომადგენელთა იდენტიფიცირებას, აღრიცხვასა და მათ შესახებ საჭირო ფარგლებში ზუსტი ინფორმაციის მოძიებას, რაც აუცილებელია სოციალური მეწარმეობის პოზიტიური გავლენების ობიექტურად შესაფასებლად, მათ შორის, მათი საქმიანობის სოციალური ზემოქმედების ხარისხის გასაზომად.

ამ ეტაპზე, საქართველოში არ არსებობს კონკრეტული სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები, რომლებიც უშუალოდ შეეხება სოციალურ საწარმოებს და მათ საჭიროებებზე იქნება მორგებული. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ არის განსაზღვრული ის საფუძვლები, რომელთა გამოც სუბიექტს, რომელიც საკუთარ თავს სოციალურ საწარმოდ მიიჩნევს, შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან ხელი ეწყობოდეს საქმიანობის წარმართვაში. შედეგად, სოციალურ საწარმოებს არ აქვთ შექმნილი იმგვარი საარსებო გარემო, რომელიც მათ სოციალური მიზნების სრულფასოვნად განსახორციელებლად, რესურსების სრულად ასათვისებლად და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოსავლენად სჭირდებათ.

მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად, ასევე სოციალურ საწარმოთა საარსებო გარემოს შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, ჯერ კიდევ 2018 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში ინიცირდა კანონპროექტი „სოციალური მეწარმეობისა და მისი მხარდაჭერის შესახებ.“⁷ კანონპროექტი განსაზღვრავს სოციალური მეწარმეობის ცნებას, სოციალური საწარმოს სტატუსის მიღების წინაპირობებს, გზებსა და საშუალებებს, სოციალური საწარმოების ფუნქციონირებისთვის სავალდებულო მოთხოვნებს, სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობის საფუძვლებს, მათ შორის მთავრობის მიერ სტრატეგიის დამტკიცების ვალდებულებას, სოციალური საწარმოს გაუქმებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ შედეგებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კანონპროექტის ნაწილს შეადგენდა ასევე შემდეგი კანონპროექტები: **კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ**, რათა განსაზღვრულიყო

4 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.5-10, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

5 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.5-10, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

6 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.5-10, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

7 კანონპროექტი ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460>

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში სოციალური საწარმოს სტატუსის ასახვასთან დაკავშირებული პროცესები. **კანონპროექტი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ**, რათა დარეგულირებულიყო სოციალური საწარმოს ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პროცესში სოციალური საწარმოს სტატუსიდან გამომდინარე მისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრების საკითხი. **კანონპროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ**, რომელიც ადგენდა სოციალური საწარმოების სახელმწიფო ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს, გრანტის გაცემის შესაძლებლობას სოციალური მეწარმეობის მიზნებისთვის. შესაბამისად, გრანტის მიმღებად განსაზღვრავდა სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე იურიდიულ პირს განურჩევლად მისი ორგანიზაციული ფორმისა. **კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ** რომელიც განსაზღვრავდა შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედებას სოციალური საწარმოების პროექტების ფარგლებში და **კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ**, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს სოციალური საწარმოს მიერ სოციალური მიზნების განსახორციელებლად უსასყიდლოდ მიღებული ქონების აღრიცხვა/დაბეგვრასთან დაკავშირებით.⁸ 2019 წლის განმავლობაში კანონპროექტის პირველად ვერსიას განიხილავდნენ შესაბამისი სავალდებულო საპარლამენტო კომიტეტები (წამყვანი კომიტეტი - დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი), რომლებმაც 2020 წლის პირველი ნახევრისთვის დადებითი დასკვნა გასცეს კანონპროექტთან დაკავშირებით. მიუხედავად დადებითი დასკვნის არსებობისა, კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია პირველ საპარლამენტო მოსმენამდე პერიოდში, მთავრობის მითითებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. კანონპროექტის თანმდევი ინიციატივები, რომელთა გათვალისწინებითაც ცვლილებები უნდა შესულიყო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე, საგადასახადო კოდექსში, გაწვეულ იქნა ინიციატორების მიერ. მოცემულის გათვალისწინებით, თავიდანვე გამოირიცხა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედება სოციალური საწარმოების განვითარების პროექტებზე, ასევე, სოციალური საწარმოსთვის უსასყიდლოდ მიწოდებული ქონების საბაზრო ღირებულების ერთიან შემოსავალში ასახვის ვალდებულებისგან მათი გათავისუფლება. მოცემული ცვლილებების გათვალისწინებით პირველი საპარლამენტო მოსმენისთვის კანონპროექტი რიგგარეშე სასესიო სხდომის დღის წესრიგში მოხვდა. გეგმის მიხედვით საკითხი 2020 წლის სექტემბერში უნდა განხილულიყო, თუმცა, კონკრეტული საფუძვლის მითითების გარეშე, მთავრობის მხრიდან სავარაუდო წინააღმდეგობის შედეგად კანონპროექტი სესიაზე არ განიხილეს.

2021 წლის არჩევნების შედეგად სახელმწიფო ორგანოების ხელახალ ფორმირებასთან ერთად, ახალ პარლამენტს შეკრების შემდგომ მიეცა შესაძლებლობა წინა მოწვევის პარლამენტში არსებული საკანონმდებლო პროექტებიდან განეხილათ მისი აზრით რელევანტურ კანონპროექტთა განხილვა, თუმცა მათ რიგებში სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონპროექტი ვერ მოხვდა.⁹ შესაბამისად კანონპროექტის ადვოკატირებით დაინტერესებულ პირებს უწევთ პროცესის ხელახლა წამოწყება.

ამ ეტაპისთვის ერთადერთი სახელმწიფო ინიციატივა, რომელიც სოციალური მეწარმეობისთვის სამართლებრივი გარემოს ხელშეწყობას ემსახურება უკავშირდება საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდულ სტრატეგიასა (2020-2025) და თანმდევ სამოქმედო გეგმას. ახალგაზრდული სააგენტო დაინტერესებულ მხარეებთან არაფორმალური შეხვედრების ფარგლებში განმარტავს, რომ სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით სოციალური მეწარმეობის საკითხი ერთ-ერთ პრიორიტეტულ

⁸კანონპროექტთა სრული ჩამონათვალი ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/16647>
⁹პარლამენტის დადგენილება №242-IVმს-XXმპ 2021 წლის 18 თებერვალი.

მიმართულებად განისაზღვრება, თუმცა მოცემულთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ინფორმაცია გაცხადებული არ არის.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სოციალური საწარმოები საქმიანობენ მათი სტატუსის სამართლებრივი აღიარების გარეშე, ა(ა)იპებისა და სამეწარმეო იურიდიული პირის (უმეტესად შპს) ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით, იმავე სამართლებრივ გარემოში, რა გარემოშიც არსებობენ სხვა, სოციალური მიზნის გარეშე მოქმედი ორგანიზაციები თუ კომპანიები.¹⁰ სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობაც უმეტესწილად კერძო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან ხდება, ინდივიდუალურ და კეთილ ნებაზე დაფუძნებით.¹¹ მოცემული გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები სოციალურ საწარმოთათვის ფაქტობრივად აუთვისებელია.¹²

3 სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შუქზე

სოციალური მეწარმეობის მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა განზომილებაში, როგორცაა ეკონომიკის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბესთან ბრძოლა, გარემოსდაცვა და ა.შ დასტურდება არაერთი ქვეყნის გამოცდილებით.

მსოფლიოს გარშემო სოციალური მეწარმეობა თანდათანობით საჯარო სივრცის უფრო აქტიური ნაწილი ხდება, საჯარო უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გლობალური გამოწვევების დაძლევისთვის საჭირო სამუშაოში ეხიდება და პრობლემის სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გადაწყვეტას სთავაზობს.

დღესდღეობით, საერთაშორისო სამართალი სოციალური მეწარმეობის ცნებას, ასევე სოციალურ საწარმოს, როგორც დამოუკიდებელ და განსხვავებულ აქტორს პირდაპირ არ აღიარებს, თუმცა ხაზს უსვამს ზოგადად სახელმწიფოსა და სამეწარმეო სექტორს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ქვეყნის განვითარების პროცესში.

მსგავსი მულტიპეტორული თანამშრომლობის მოდელი პირდაპირ არის აღიარებული როგორც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG)-ის მიღწევის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.¹³ 2030 წლისთვის გაეროს განვითარების მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მიზანს (მიზანი 17) მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად პარტნიორობა წარმოადგენს,¹⁴ რომელიც თავის მხრივ მოიცავს

10 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.2-10, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

11 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.3, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

12 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.2-10, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

13 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო გაერთიანებულ ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა. <https://undocs.org/A/RES/70/1>

14 მდგრადი განვითარების 17 მიზანი; <https://sdg.gov.ge/text-page/35>

ვალდებულებას სახელმწიფოებმა წახალისონ ეფექტური საჯარო-კერძო, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, და ამ თანამშრომლობასა და ერთმანეთის გამოცდილებებზე დააფუძნონ განვითარება (ამოცანა 17.17).¹⁵ სოციალური საწარმოები სწორედ მსგავსი ეფექტური პარტნიორობის უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენენ. სოციალურ საწარმოებს აქვთ გამჭოლი როლი მთელი რიგი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, რამდენადაც ისინი სახელმწიფოებს ეხიდეიან სხვადასხვა სოციალური გამოწვევის გადაწყვეტაში.¹⁶

მდგრადი განვითარების განვითარების მიზნების მიღწევაში კერძო სექტორის როლს ხაზს უსვამს გაეროს გენერალური ასამბლეაც და მიუთითებს, რომ კერძო სექტორის საქმიანობა, ინვესტიცია და ინოვაცია არის ძირითადი ინსტრუმენტი პროდუქტიულობის, ინკლუზიური ეკონომიკის ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნაში. თავის მხრივ გაეროს ასამბლეა აღიარებს კერძო სექტორის მრავალფეროვნებას მიკრო საწარმოების კოოპერატივებისა და მულტინაციონალური კორპორაციების ჩათვლით და ხაზს უსვამს ყველა ასეთი სუბიექტის მიერ საკუთარი შემოქმედებითობისა და ინოვაციის გამოყენების მნიშვნელობას მდგრადი განვითარების გამოწვევების გადასაჭრელად.¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტს არ წარმოადგენს, საქართველო ერთ-ერთია იმ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც ამ მიზნების ნაციონალიზაცია, ანუ ადგილობრივ კანონმდებლობაში გაწერა და მათი ეროვნულ დონეზე შესრულების ვალდებულება აიღო.¹⁸

საქართველოს ხელისუფლება თავადაც აღიარებს, რომ წარმოუდგენელია ადგილობრივი კანონმდებლობით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულება და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება მხოლოდ საჯარო უწყებების მხრიდან, ამიტომ საქართველოს მთავრობა პირდაპირ მიუთითებს კერძო-საჯარო სექტორის თანამშრომლობის აუცილებლობაზე ამ მიზნების მისაღწევად.¹⁹ საქართველოს ესაჭიროება სწრაფი პროგრესი ინოვაციისა და თანამედროვე ექსპერტული ცოდნების გამოყენებით. ზოგიერთ სფეროში ასეთი პროგრესის მისაღწევად სწორედ კერძო სექტორს შეუძლია შეავსოს ის სიცარიელე თუ ხარვეზები, სადაც სახელმწიფოს დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება.²⁰

სოციალური საწარმოები სწორედ ასეთი ინოვაციებისა და ურთიერთთანამშრომლობის ინსტრუმენტებად განიხილებიან.²¹ ისინი შეიძლება იყვნენ ის დამაკავშირებელი ხიდები, და მნიშვნელოვანი მამოძრავებელი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრესის დაჩქარებასა და საჯარო ინტერესის სფეროში ინოვაციების შექმნას.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების პარალელურად, სოციალურ საწარმოების განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეიძლება ითამაშოს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების

15 ამოცანა, 17.17, Encourage and promote effective public, public-private and civil society partnerships, building on the experience and resourcing strategies of partnerships. <https://www.globalgoals.org/17-partnerships-for-the-goals>

16 WORLD YOUTH REPORT: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, 2014, p. 19;

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

17 United Nations, General Assembly. (2015). United Nations transforming our world: The 2030 agenda for sustainable development (A/RES/70/1). Retrieved from

<https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf>

18 საქართველოს მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანაგარიში 2020, გვ.4;

19 საქართველოს მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის ანაგარიში 2020, გვ.4

20 იქვე.

21 Schmiedeknecht, Social Innovation and Entrepreneurship Supporting the Sustainable Development Goals (SDGs)—Fostering Social Value Creation, p. 217, 2019, https://link.springer-com.colorado.idm.oclc.org/content/pdf/10.1007/978-3-030-21154-7_10

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და ევროკავშირთან გაერთიანების გეზზე.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით პირდაპირ არის აღიარებული საქართველოს ვალდებულება განავითაროს სამეწარმეო გარემო ყველა ტიპის ეკონომიკური აქტორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. რისთვისაც სახელმწიფომ უნდა განავითაროს ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩო ევროკავშირის სტანდარტების, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით.²²

ევროკავშირთან შეთანხმება ასევე ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო ინოვაციის წახალისებისა და განვითარების ვალდებულებას, მათ შორის, მხარდამჭერი ინსტრუმენტების, ეკონომიკის კლასტერული განვითარების მოდელებისა და სამეწარმეო სუბიექტებისთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.²³

თავად ევროკავშირის პოლიტიკაში სოციალური გამოწვევების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად ყოველწლიურად უფრო და უფრო პრიორიტეტული ხდება სოციალური ეკონომიკის/სოციალური მეწარმეობის განვითარება და მათი მხარდამჭერი რეგიონული პოლიტიკის შექმნა.

ევროკავშირის პრეზიდენტმა 2019 წელს გასცა დავალება შექმნილიყო ევროპის სამოქმედო გეგმა სოციალური ეკონომიკისთვის, რომელიც გააძლიერებდა ევროპის მასშტაბით სოციალურ ინოვაციას.²⁴ აღნიშნული სამოქმედო გეგმა 2021 წლის ბოლოსკენ დამტკიცდა და მისი დახმარებით ევროკავშირამ გაწერა ის ძირითადი მექანიზმები რომლებიც აუცილებელია სოციალური ეკონომიკის შესაძლებლობების ოპტიმიზაციისთვის, განსაკუთრებით კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე.²⁵ მითითებული გეგმის შემუშავებამდე, ევროკავშირის არაერთი პოლიტიკის დოკუმენტი შეიცავს მითითებებს სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების განვითარების აუცილებლობაზე.²⁶ ამ მიმართულებით განსაკუთრებულად ხაზგასასმელია, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც სოციალურ საწარმოებს განიხილავს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად და მათთვის შესაბამის მხარდამჭერ ინსტრუმენტებს ავითარებს.²⁷

ევროკავშირის მხრიდან სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ეკონომიკის მხარდამჭერისა და პრიორიტეტულობის მსგავსი გაცხადებული პოლიტიკა პირდაპირ უკავშირდება სოციალური საწარმოების როლს ევროკავშირის სოციალური უფლებების სვეტით დასახული 20 პრინციპის მიღწევაში, რამაც ევროკავშირში მცხოვრები ყველა პირისთვის ღირსეული, ინკლუზიური და შესაძლებლობებით სავსე საცხოვრებელი გარემო უნდა შექმნას.²⁸

22 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014, მუხლი 313;

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

23 იქვე. მუხლი 314 (d);

24 European Commission, Letter of Ursula von der Leyen President of the European Commission , 1 December 2019,

https://ec.europa.eu/commission/commissioners/sites/default/files/commissioner_mission_letters/mission-letter-nicolas-schmit_en.pdf

25 European Commission, Social Economy Action Plan, <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1537&langId=en>

26 European Commission, Social Economy Action Plan, <https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1537&langId=en>

27 European Commission, An SME Strategy for a sustainable and digital Europe, 2020,

https://ec.europa.eu/info/sites/default/files/communication-sme-strategy-march-2020_en.pdf

28 The European Pillar of Social Rights, https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/economy-works-people/jobs-growth-and-investment/european-pillar-social-rights/european-pillar-social-rights-20-principles_en

ევროკავშირისთვის სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღიარება და ამ საკითხის პრიორიტეტულობა კარგად გამოიხატება საქართველოსა და რეგიონში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისა და ამ სფეროში მზარდი ფინანსური მხარდაჭერითაც.²⁹

სოციალური მეწარმეობისთვის მიმზიდველი სამართლებრივი და ფინანსური გარემოს შექმნის, ასოცირების ხელშეკრულებით არსებული ვალდებულების მიღმა, მსგავსი ძლიერი აქტორების შექმნის მხარდაჭერა სწორედ უშუალოდ ქვეყნის ინტერესში შედის. სოციალური საწარმოები გარდამტეხი მხარდამჭერი აქტორები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული სოციალური ვალდებულებების მიღწევაში და საქართველოს მოქალაქეთათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნაში.

4 სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების მნიშვნელობა და გავლენა

სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების მნიშვნელობა ორი განზომილებიდან შეიძლება შეფასდეს. პირველ რიგში რა როლი აქვს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციურ და საკანონმდებლო აღიარებას ამ სექტორის ზრდისა და განვითარების მიმართულებით, და, რაც კიდევ უფრო მეტადაა საყურადღებო, როგორ ჯდება სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ზოგად ჩარჩოში.

4.1 რა როლი აქვს სახელმწიფოს აღიარებას სოციალური მეწარმეობის განვითარებაში?

სოციალური საწარმოები მათი განსხვავებული მისიიდან გამომდინარე სამუშაო პროცესში მთელ რიგ გამოწვევებს აწყდებიან. მათ შორისაა აღიარების ნაკლებობა, ფინანსებზე და ბაზარზე შეზღუდული წვდომა და ა.შ. ევროპის კომისიის ექსპერტთა ჯგუფი სოციალური მეწარმეობის მიმართულებით (GECES), ხაზს უსვამს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობისთვის მეგობრული სამართლებრივი გარემოს შექმნის აუცილებლობას სწორედ მსგავსი ბარიერების დაძლევის მიზნით.³⁰

თუ რა სახის სახელმწიფო პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო შეიძლება ჩაითვალოს სოციალური საწარმოებისთვის შესაფერისად ყველა ქვეყნის ადგილობრივი კონტექსტით, ადგილობრივი სოციალური საწარმოების გამოწვევების შეფასების შედეგად განისაზღვრება. თუმცა მეტ-ნაკლებად აღიარებულია ის ძირითადი ჩარჩო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფომ უნდა შექმნას სოციალური საწარმოებისთვის მიმზიდველი გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

სამწუხაროდ მწირი მასალა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი ითამაშა სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებამ ამ თუ იმ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაში, რამდენადაც ხშირად ასეთ პროგრამებს თანმდევი გავლენის შეფასება

29 EU4Youth – Social Entrepreneurship in Armenia and Georgia (SEAG), <https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/projects/eu4youth-social-entrepreneurship-armenia-and-georgia-seag>

30 European Union (2016), General Report of the Commission of Experts on Social Entrepreneurship (GECES), http://ec.europa.eu/growth/sectors/social-economy/enterprises/expert-groups_en

არ მოჰყვება. თუმცა, შეზღუდული მონაცემების პირობებშიც, შეგვიძლია ცალსახად დავასკვნათ სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარების პირდაპირი დადებითი როლი ამ სექტორის განვითარების პროცესში.

მაგალითად, იტალიასა და პოლონეთში სოციალური კოოპერატივების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც სოციალური საწარმოს სპეციალური სტატუსის აღიარება მოხდა კანონმდებლობით.³¹

ამავდროულად, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე ყველაზე ეფექტური ზეგავლენა აქვს არა განცალკევებულ პროექტებსა და ინიციატივებს, არამედ სისტემური პოლიტიკის გატარებას, როდესაც კანონმდებლობით არ ხდება მხოლოდ სტატუსის ფორმალური აღიარება და მას თან სდევს ფინანსური წახალისების ინსტრუმენტები. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია რეგულირების შესაძლო უარყოფითი მხარეები.

მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით არ გაჩნდეს სოციალური საწარმოს რეგისტრაციისთვის/აღიარებისთვის საჭირო ისეთი დამაბრკოლებელი რეგულაციები ან/და გართულებული ანგარიშვალდებულებების პროცედურები, რომლებიც ხელოვნურ ბარიერებს შეუქმნის საწარმოებს ამ სტატუსის მიღების პროცესში და მათ სხვა სამართლებრივი მოდელით მუშაობას აიძულებს. მაგალითად, სამართლებრივი აღიარების მიუხედავად, საფრანგეთში ბევრი საწარმო არ იღებს კოლექტიური ინტერესის კოოპერატივის (collective interest cooperative society) სტატუსს, ამ სამართლებრივ ფორმასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურების გათვალისწინებით.³²

OECD გამოყოფს რვა ძირითად მიმართულებას სადაც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებით განზოგადებულია სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერითი სისტემური პოლიტიკის ელემენტები, რომელიც ერთიანობაში სოციალური მეწარმეობის პრიორიტეტულ სექტორად ტრანსფორმირებას უწყობს ხელს.

1. სოციალური მეწარმეობის აღიარება და ხილვადობის ზრდა:

ეს კომპონენტი რამდენიმე პრინციპულ თემას მოიცავს, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობას. მაგალითად საფრანგეთის კანონი სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის შესახებ, პირდაპირ აღიარებს სოციალური მეწარმეობის ცნებას და აძლიერებს ასეთი საწარმოების კავშირებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. ამავე კომპონენტში მოიაზრება სხვადასხვა ცნობიერების ამაღლების აქტივობები სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად, ბელგიაში ინოვაციის მინისტრის ინიციატივით მოხდა ადგილობრივი ორგანიზაციის სუბსიდირება, რომელიც სოციალური მეწარმეობაზე საზოგადოებრივი ინფორმაციის გაზრდის მიზნით სხვადასხვა აქტივობებს ატარებს.³³

31 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020. Pp 69-70; <https://www.euricse.eu/social-enterprises-and-their-ecosystems-in-europe-mapping-study/>

32 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020. Pp 69-70; <https://www.euricse.eu/social-enterprises-and-their-ecosystems-in-europe-mapping-study/>

33 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en> .

2. სტრატეგიული და მულტიპეტორული თანამშრომლობების ხელშეწყობა:

სხვადასხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციონალიზაცია ხელს უწყობს სოციალური საწარმოებისთვის ახალ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, მათ შორის, კერძო და საჯარო ბაზარზე ხელმისაწვდომობას. ხდება მათი სხვადასხვა აქტორებთან დაკავშირება და წარმოების ჯაჭვში აქტიური ჩაბმვა. მაგალითად, უტრეხტის მუნიციპალიტეტმა (ჰოლანდია), ადგილობრივ საწარმოსთან თანამშრომლობით შექმნა სოციალური გავლენის ფაბრიკა (Social Impact Factory), სივრცე რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობისა და ამ სფეროში პარტნიორობის ხელშეწყობა.³⁴

3. სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი სოციალური საწარმოების ხელშეწყობა

ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი სოციალური საწარმოებისთვის მათი მდგრადობისა და გრძელვადიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად მათი ბიზნეს უნარების განვითარებაში მხარდაჭერაა. ამ მხარდაჭერის ერთ-ერთი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ე.წ. ინკუბატორები, სადაც დამწყებ საწარმოებს შესაბამისი პროფესიონალები დაეხმარებიან საჭირო უნარების გამომუშავებასა და კავშირების დამყარებაში. მაგალითად, დანიაში, კოპენჰაგენში მოქმედებს ინკუბატორი, რომელიც დამწყებ სოციალურ საწარმოებს ეხმარება ზრდაში, მენტორობის პროგრამითა და ურთიერთდახმარების სისტემის გამოყენებით.³⁵ მეორე მიმართულება, რომელიც სოციალური საწარმოების მედეგობას უშლის ხელს, არის ფინანსური მდგრადობა. ამ ნაწილშიც, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა ისეთი სისტემური პოლიტიკები შექმნან, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების ფინანსურ მედეგობას.

4. ფინანსური ინვესტირების რისკების გაზიარება

სოციალური საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის საჯარო დაფინანსება (გრანტები, სუბსიდიები და ა.შ.) შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, თუმცა შემოსავლების დივერსიფიკაციის მიზნით ბევრი მათგანი ალტერნატიულ წყაროებზე, მათ შორის კერძო ინვესტორების მხრიდან ფინანსური რესურსების მოძიებაზე მუშაობს, რაც მარტივი არ არის.

სოციალური საწარმოთა საქმიანობის მოდელიდან გამომდინარე, ბევრი ტრადიციული კერძო ინვესტორი, მათ საქმიანობაში თანხის ჩადებას მაღალი რისკის მქონე გადაწყვეტილებად განიხილავს და შესაბამისად ინვესტირებისგან თავს იკავებს. სწორედ ამის საპასუხოდ, ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სისტემები სადაც სახელმწიფოები სოციალურ საწარმოებს შესაბამის ინვესტორებთან დაკავშირებაში და ფულადი ინვესტიციების მოძიებაში ეხმარებიან, ან ასრულებენ შუამავლის როლს. მაგალითად, პორტუგალიაში სოციალური ინოვაციების ფონდი პოტენციური ინვესტორების მიმართ დგება გარანტორად, სოციალური საწარმოების რისკის ფაქტორის შესამცირებლად და ბანკებისგან უკეთესი სასესხო პირობების უზრუნველსაყოფად.³⁶

34 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.26 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

35 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

36 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

5. სოციალური მეწარმეობის უნარების ხელშეწყობა განათლებაში

მოცემული თემა მოიცავს, სახელმწიფოების პოლიტიკას აქტიურად დანერგონ სოციალური მეწარმეობის განათლება განათლების ყველა საფეხურზე, როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ განათლებაში.³⁷

6. გავლენის გაზომვისა და შეფასების მხარდაჭერა;

სოციალური საწარმოების გავლენის გაზომვა და სოციალური საწარმოების კონკრეტულ ჯგუფებზე ან თემებზე მუშაობის შედეგების გაანალიზება სახელმწიფოსა და უშუალოდ საწარმოებსაც ეხმარება სამომავლო სისტემური ხედვების შემუშავებაში და სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის სწორი სტრატეგიის დასახვაში. სამწუხაროდ ყველა საწარმოს მათი ადამიანური, ფინანსური რესურსების შეზღუდვებიდან გამომდინარე არ გააჩნია შესაძლებლობა თავად განახორციელონ მათი საქმიანობის გავლენის შესაბამისი შეფასება. განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც ასეთი შეფასების განხორციელება სპეციალური მეთოდოლოგიის ცოდნასა და პროფესიულ უნარებს საჭიროებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ შუამავლის როლს სოციალურ საწარმოებსა და კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტებს შორის, რათა აკადემიური ინსტიტუტები დაეხმარონ სოციალურ საწარმოებს საკუთარი გავლენის სწორად მიმართვისთვის საჭირო უნარებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებაში, ან თავად შეაფასონ გავლენა. მაგალითად, საფრანგეთის სოციალური საწარმოების ინკუბატორმა რეგიონულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ჩამოაყალიბა მკვლევარების და სფეროს ექსპერტების ინტერდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფოკუსირდება სოციალურ საწარმოთა გავლენის შეფასებასა და ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე. აღნიშნული ინკუბატორის ფარგლებში მოქმედი სოციალური საწარმოები შემდგომი თავად სწავლობენ როგორ დანერგონ ეს შეფასების მეთოდები მათი საქმიანობის გაზომვაში.³⁸

7. მარტივი და ბიუროკრატიისგან თავისუფალი ადმინისტრაციული პროცესების შექმნა

საკანონმდებლო აღიარების პარალელურად აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ისეთი ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება, რომელიც არასათანადო ტვირთად არ დააწევბათ სოციალურ საწარმოებს და ზედმეტად კომპლექსური და ბიუროკრატიული პროცედურების გამო უარს არ ათქმევინებს სახელმწიფოს აღიარების ან მხარდაჭერის მიღებაზე. მაგალითად, ხორვატიაში სოციალური მეწარმეობის განვითარების ეროვნული სტრატეგიის აღსრულების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა სოციალური საწარმოს სტატუსის მოპოვების ზედმეტად რთული და ბიუროკრატიული პროცედურა. ამას გარდა, პრობლემას წარმოადგენს რთული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, რაც ხშირად სპეციალურ ცოდნას მოითხოვს სოციალური საწარმოებისგან. ამ პროცედურებში სოციალური განზომილების შემოყვანა თანაბრად რთულია სახელმწიფოს წარმომადგენლებისთვისაც, რომლებიც საჯარო შესყიდვების სოციალური განზომილების სახელმწიფო აღიარების მიუხედავად, საჯარო შესყიდვების კომპლექსურობის გათვალისწინებით ვერ ახერხებენ საჯარო შესყიდვებში სოციალური საწარმოების ინტეგრირებას. ამ

37 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

38 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.29 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

გამოწვევის საპასუხოდ ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური გზამკვლევი მზადდება სოციალური საწარმოებისთვის საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის საფეხურებსა და პროცედურებზე, მათი საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის მხარდასაჭერად.³⁹

8. სოციალური მეწარმეობის განგრძობადი ინსტიტუციური და პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

მნიშვნელოვანია, სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა მყარად იყოს ინსტიტუციონალიზებული და არ იყოს მიბმული პოლიტიკურ ცვლილებებსა და პროცესებზე, რომელმაც ხელი შეიძლება შეუშალოს ამ სფეროს მდგრად განვითარებას. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებით ამის უზრუნველსაყოფად საუკეთესო ინსტრუმენტი მულტიპეტორული და მულტიპარტიული ჩართულობით სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი პოლიტიკის დოკუმენტებისა და ინიციატივების განვითარება, წარმოადგენს, რის შედეგადაც ყველა მხარე დაინტერესებული იქნება პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად გაგრძელდეს სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა.⁴⁰

4.2 რა ადგილი აქვს სოციალურ მეწარმეობას ქვეყნის განვითარების თანამედროვე ხედვებში?

სოციალური მეწარმეობა მსოფლიოს გარშემო სახელმწიფოთა განვითარების ლოგიკის უფრო და უფრო პრიორიტეტული აქტორი ხდება, რამდენადაც ეს სექტორი სახელმწიფოებს სთავაზობს ალტერნატიულ პასუხებს თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებზე, და ხელისუფლებებს თანასწორი და უფრო ინკლუზიური სოციალური და ეკონომიკური განვითარების მოდელს უქმნის.

სახელმწიფოთა განვითარების ჩარჩოში სოციალურ საწარმოთა გავლენა მრავალშრიანია და მათი პოზიტიური როლის გამოყოფა რამდენიმე მიმართულებით არის შესაძლებელი.

სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიული უნარებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდა:

- ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის დასაქმების პროცესში მხარდაჭერა ან/და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა;
- ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა, სამართლიანი ანაზღაურებით, კარგი შრომითი პირობებით, და ინკლუზიური დასაქმების ხელშეწყობა მრავალფეროვანი კადრების აყვანის პრაქტიკის დამკვიდრებით.
- შრომის თანმდევ სოციალური გარანტიები: ბავშვზე ზრუნვის სერვისები, საცხოვრებლითა და ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირება;

39 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.29 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

40 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობა-ახალი სერვისებისა და ბიზნეს მოდელების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ახალი ბაზრებისა და განვითარებადი სექტორების გაძლიერებას:

- ეკონომიკური შესაძლებლობების შუამავლობა: ერთმანეთთან აკავშირებს კერძო და საჯარო აქტორებს და ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობას ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
- სოციალური კაპიტალის მშენებლობა და საზოგადოების კეთილდღეობის მხარდაჭერა მოხალისეობისა და სხვა ადგილობრივი სამუშაოების დახმარებით.
- ადგილობრივი მოხმარების წახალისება-ადგილობრივი პროდუქციის შეძენის წახალისებით ფულის ადგილზე ბრუნვის უზრუნველყოფა.

ფართო ეკონომიკური და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის მხარდაჭერა:

- რისკების მიმართ მედეგი ეკონომიკის შექმნა, სამუშაო ადგილების უსაფრთხოდ შენარჩუნება;
- სხვა ბიზნესებისთვის მაგალითის მიცემა, როგორ უნდა განახორციელონ უფრო პასუხისმგებლობიანი საქმიანობა და ინკლუზიური ეკონომიკის მშენებლობა;
- ღირებულებებზე დაფუძნებული ინოვაციის ზრდა- პოლიტიკის დღის წესრიგსა და საკანონმდებლო რეგულაციებზე პოზიტიური როლი, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.⁴¹

ის, რომ სოციალური საწარმოების გამართული საქმიანობის შედეგად ეფექტურად გვარდება სოციალურ პრობლემათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ვითარდება სოციალური სერვისების მიწოდების სფერო, უმჯობესდება მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა შრომითი ინტეგრაციის დონე, ვითარდება ეკონომიკა და იქმნება შესაძლებლობა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის გარკვეული ნაწილისგან განსატვირთად, ფაქტებით არის განმტკიცებული.⁴² 2016 წლის მონაცემების მიხედვით სოციალური საწარმოების შემწეობით (6 მილიარდის ღირებულების პროდუქციისა და მომსახურების შექმნის, შესაბამისი ოდენობის სამუშაო ადგილების შექმნის გზით) სარგებელი ნახა 871 მილიონმა ადამიანმა ევროპისა და აზიის 9 ქვეყნის მასშტაბით.⁴³ მაგალითად ავსტრალიაში, 2016 წლის მონაცემების მიხედვით, სოციალურმა საწარმოებმა დააგენერირეს ქვეყნის მშპ-ს 2-3%, შექმნეს 200.000-მდე სამუშაო ადგილი, რის საფუძველზე ჯერ კიდევ 2017 წელს კეთდებოდა პროგნოზები მომდევნო წელს მშპ-ს 4%-იან ზრდასა და მინიმუმ 500.000 სამუშაო ადგილის გაჩენის შესაძლებლობის შესახებ.⁴⁴ თუ გავითვალისწინებთ ამ და მსგავს მაჩვენებლებს, ასევე ჩავუღრმავდებით მიზნებს, რომლებსაც სოციალური საწარმოები ზოგადად ემსახურებიან, შეიძლება ჩაითვალოს, რომ პასიური მიდგომით სახელმწიფო უარს ამბობს აითვისოს ძალიან მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც მისი სოციალური პასუხისმგებლობების ბუნებრივი განაწილების საშუალებაა. სახელმწიფო არ იყენებს საკუთარ შანსს თავისი წვლილი შეიტანოს, მაგალითად, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სოციალური ჯგუფების დახმარებაში (შშმ პირები, ყოფილი მსჯავრდებულები, ხანგრძლივად დაუსაქმებლები), სოციალური სერვისების

41 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 14 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

42World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

43World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

44World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

მიწოდების ეფექტური, სწრაფი და სტაბილური ფორმების შემუშავებაში, პასიურ რაიონებსა და სოფლებში განათლების ხელმისაწვდომობის ზრდაში, ტრადიციული რეწვისა და კულტურის შენარჩუნებასა თუ გარემოსდაცვითი საკითხების ინოვაციური გზებით მოგვარებაში.⁴⁵ მოცემული სისტემური გავლენის პირობებში, ბევრი სახელმწიფო სოციალური გამოწვევების საპასუხოდ, მდგრადი და თანასწორი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად ფსონებს სწორედ სოციალური მეწარმეობის განვითარებაში დებს.

მაგალითად, ბულგარეთის 2017-2021 წლების სამთავრობო პროგრამაში სოციალური მეწარმეობის განვითარება ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მთავრობის გეგმა, სოციალური მეწარმეობის წვლილი ქვეყნის GDP-ში 2%-მდე გაიზარდოს.⁴⁶

აზიის განვითარების ბანკი განმარტავს, რატომ ახორციელებენ აზიის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერას: „რადგანაც, ისინი უფრო ეფექტურად უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის სერვისების შექმნას, ხელს უწყობენ სოციალურ ინოვაციას და ქმნიან ისეთ გადაწყვეტებს, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა დამოკიდებული აღარ ხდება სოციალური კეთილდღეობის სერვისებზე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებები შეიმუშავენ სრულყოფილ ეკოსისტემებს სოციალური საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, ტექნიკური დახმარებისა და სხვა საჯარო სექტორის მხარდაჭერის სახით.“⁴⁷

4.3 სოციალური მეწარმეობის როლი დასაქმებასა და შრომითი პირობების გაუმჯობესებაში

დასაქმება და შრომითი პოლიტიკის გაუმჯობესება ერთ-ერთი ის ძირითადი სფეროა, სადაც სოციალური საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნებში არსებული სოციალური გამოწვევების საპასუხოდ. ბევრი სახელმწიფო არსებულ უმუშევრობასთან ბრძოლაში და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაში, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ სამუშაოს პოვნა, სოციალურ საწარმოებს ძირითად მოკავშირედ სახავს.

ღირსეული შრომითი პირობების შექმნასა და სოციალური სამართლიანობის მიღწევის პროცესში სოციალური მეწარმეობისა და სოლიდარობის ეკონომიკის აქტიური როლის გათვალისწინებით ამ სფეროს განვითარებას მნიშვნელოვნად უჭერს მხარს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). ILO-ს სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერის გრძელი ისტორია აქვს და ამ მხარდაჭერის ლეგიტიმაცია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტებით არის გამყარებული, მათ შორის, ILO-ს კონსტიტუციის პრინციპებით და ILO-ს დეკლარაციით სოციალური სამართლიანობა ღირსეული გლობალიზაციისთვის (Declaration on Social Justice for Fair Globalization), რომლის თანახმადაც, „პროდუქტიული, მომგებიანი და მდგრადი საწარმოები, ძლიერ სოციალურ ეკონომიკასთან და სიცოცხლისუნარიან საჯარო სექტორთან ერთად, კრიტიკულად მნიშვნელოვანი არიან მდგრადი ეკონომიკის განვითარებისთვის და დასაქმების შესაძლებლობებისთვის.“⁴⁸

45 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.5, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

46 Defourny, J., & Nyssens, M. (Eds.). (2021). Social Enterprise in Central and Eastern Europe: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. P. 30, <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429324529>

47 <https://www.adb.org/publications/inclusive-business-apec>

48 ITC ILO, Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment- The case of Europe; 2015, p.3; https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

სოციალური საწარმოების საქმიანობა ILO-ს ღირსეული შრომის მიზნებთან მოდის პირდაპირ თანხვედრაში: სამუშაო ადგილების შექმნა, შრომითი უფლებები სამუშაო ადგილზე, სოციალური დაცვა და სოციალური დიალოგი.⁴⁹

სოციალური საწარმოები ხელს უწყობენ ღირსეული დასაქმების ადგილების შექმნას ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

დიდი ბრიტანეთში, სადაც სოციალური მეწარმეობა შედარებით კარგად არის განვითარებული 470 000 სოციალური საწარმოდან დაახლოებით 100 000 პარტნიორთა/მეწილეთა მიღმაც ასაქმებს ადამიანებს. ასევე, **დიდი ბრიტანეთის** მონაცემებით, სოციალური საწარმოების 59% ასაქმებს სულ მცირე ერთ ადამიანს, რომელსაც სამუშაოს მანამდე დაწყება არ შეეძლო (მაგ. გრძელვადიანი უმუშევარი პირები, ნასამართლობის მქონე პირები და ა.შ.)⁵⁰ სოციალური საწარმოებს შეუძლიათ საქმიანობა ისეთ ტერიტორიებზე დაიწყონ, რომელიც სხვა კომერციული მიზნის მქონე საწარმოებისთვის არ არის მიმზიდველი და ამ გზით გამოაცოცხლონ ადგილობრივი ეკონომიკა და შექმნან ადგილობრივი სამუშაო ადგილები. განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც ძლიერი სოციალური კეთილდღეობის სისტემები არსებობს, სოციალური საწარმოები ამ სისტემების შემავსებლად, ან/და იმ ნაწილების ამნაზღაურებლად განიხილებიან, სადაც შემცირდა სოციალური მხარდაჭერა.⁵¹

სოციალური საწარმოების ამგვარი გავლენის გათვალისწინებით, ბევრ ქვეყანაში სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითადი რესურსები, სწორედ ისეთი სოციალური საწარმოების მხარდაჭერაზეა მიმართული, რომლებიც სოციალურად ან სხვა ნიშნით მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებას უზრუნველყოფენ.

მაგალითად, **უნგრეთში** სოციალური საწარმოებისთვის (კოოპერატივებისთვის), სახელმწიფო გასცემს სხვადასხვა სახის გრანტებს, უპროცენტო სესხებს და უზრუნველყოფს საწარმოების პროფესიულ დახმარებას, რათა მათ თავის მხრივ უზრუნველყონ არაპრივილეგირებული ჯგუფების (ბოშათა თემი, უმუშევრები და ა.შ.) დასაქმება.⁵² თუმცა მსგავსი პროგრამების მიმართ მთავარ კრიტიკას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ისინი მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებენ და ხშირ შემთხვევაში სოციალურ საწარმოებს უჭირთ მსგავსი კადრების გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნება.

განსხვავებული მოდელი აქვს შერჩეული **ბულგარეთს**, სადაც სოციალურ საწარმოებს პირდაპირ კანონმდებლობით აქვთ დაკისრებული ვალდებულება დასაქმებულთა გარკვეული ნაწილი კანონით განსაზღვრულ მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ. ბულგარეთის კანონი სოციალური და სოლიდარული მეწარმეობის შესახებ, განსაზღვრავს, რომ სოციალური საწარმოს დასაქმებულთა მინიმუმ 30% და არანაკლებ 3 პირისა უნდა მიეკუთვნებოდეს კანონით პირდაპირ განსაზღვრულ ჯგუფებს, მაგალითად, უნდა იყოს შშმ პირი ან/და შშმ ბავშვთა მშობლები, გრძელვადიანი უმუშევრები, 29 წლამდე პირები გამოცდილების გარეშე, 55 წელს ზემოთ უმუშევარი პირები, უსახლკაროები, ოჯახური ძალადობის მსხვერპლები და ა.შ.⁵³

49 CSO-Seed, Growing Bangsamoro with Social Justice and Decent Work, 2018, p. 2,

https://www.britishcouncil.ph/sites/default/files/02_growing_bangsamoro_with_social_justice_and_decent_work.pdf

50 FR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 17 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

51 <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf> p. 19

52 Defourny, J., & Nyssens, M. (Eds.). (2021). Social Enterprise in Central and Eastern Europe: Theory, Models and Practice (1st ed.).

Routledge. P. 93 <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429324529>

53 Bulgaria, Social and Solidarity-based Enterprises Act, Art. 7 (4),

https://base.socioeco.org/docs/social_and_solidarity_based_enterprises.pdf;

დასაქმება არის სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი ჩარჩოს არსებითი ფოკუსი **ფინეთშიც**. ფინეთის სოციალური საწარმოების აქტის (Act on Social Enterprises (1351/2003)) თანახმად, სოციალური საწარმოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და გრძელვადიანად უმუშევარი პირების დასაქმებას.⁵⁴ დასაქმება არის სოციალური საწარმოების რეგისტრაციის ერთ-ერთი წინაპირობაც. კერძოდ, საწარმოს დასაქმებულთა მინიმუმ 30% უნდა იყოს შშმ პირი ან/და გრძელვადიანად უმუშევარი პირი.⁵⁵ ასევე, სოციალურ საწარმოებს ვალდებულება აქვთ დასაქმებულებს გადაუხადონ ღირსეული ანაზღაურება მათი პროდუქტიულობისგან დამოუკიდებლად. სოციალურ საწარმოს მოეხსნება არსებული სტატუსი, თუ ამ კრიტერიუმებიდან რომელიმეს არ ასრულებს.⁵⁶ შრომის ინტეგრაციის სოციალური საწარმოები (WISE), ასევე კვალიფიცირდებიან სახელმწიფოსგან სხვადასხვა სახის სუბსიდიების მიღებაზე.⁵⁷

დასაქმების კომპონენტი ერთ-ერთ წინაპირობად გვხვდება სოციალურად პასუხისმგებლიანი საჯარო შესყიდვების პროცესშიც. მაგალითად, **ბარსელონის** შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობის თანახმად, რომელიც მოგვიანებით ესპანეთის სხვა ქალაქებმაც დაამკვიდრეს, საჯარო შესყიდვებში გათვალისწინებულია, წინასწარ რეზერვირებული შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოებისთვის. შესყიდვებში მონაწილე საწარმოებმა (50 ან მეტი დასაქმებულით) უნდა დაადასტურონ, რომ მათი დასაქმებულთა მინიმუმ 2%-ს აქვს 33%-იანი შეზღუდული შესაძლებლობა (შეზღუდული შესაძლებლობის % მაჩვენებელი იზომება ეროვნული მეთოდოლოგიის შესაბამისად).⁵⁸ სახელმწიფო კონტრაქტის ფარგლებში დასაქმებულთა მინიმუმ 5% არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ შოულობდნენ სამსახურს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბიუჯეტის 5% მიმართული იქნება შრომის ინტეგრაციის სოციალური საწარმოებისა (WISEs) და სპეციალური დასაქმების სააგენტოების ქვეკონტრაქტირებაზე.⁵⁹

54 Finland, Act on Social Enterprises (1351/2003 revised 924/2012), https://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=73937

55 იქვე.

56 იქვე.

57 Social enterprises and their ecosystems in Europe | Country report FINLAND, European Commission, 2019, p. 24;

58 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.47 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

59 იქვე. OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.47 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

5 სოციალური მეწარმეობის აღიარება სახელმწიფოს მხრიდან

5.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

იმისთვის, რომ ქვეყანამ სოციალური მეწარმეობის საარსებო გარემოს განვითარების საქმეში მიაღწიოს რაიმე სახის პროგრესს, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის აღიარება, საზოგადოების მიერ საკითხის სწორად აღქმის ხელშეწყობა და სფეროს წარმომადგენელთა თვითაღიარების მაღალი დონე.

არსებობს სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო აღიარების სხვადასხვა გზები და ფორმები, თუმცა ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციის მიხედვით ხდება სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი და პოლიტიკური აღიარება, რასაც მოსდევს სფეროს ფინანსური და ინსტიტუციური ხელშეწყობა.

სოციალური მეწარმეობის სფერო აღიარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მკვიდრდება სფეროსთან დაკავშირებული ტერმინების ერთიანი, ნორმატიული განმარტება, ყალიბდება სოციალური მეწარმეობის სტატუსის მიღების პროცედურული და შინაარსობრივი წინაპირობები და იქმნება სოციალურ საწარმოთა სხვა, დაკავშირებული კატეგორიებისგან გამოცალკევების შესაძლებლობა.

სოციალური მეწარმეობის აღიარების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აღიქვამს სახელმწიფო კონკრეტული მიმართულებებისა და საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოების საჭიროებებს. რამდენად არის დანახული და გათვალისწინებული სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სფეროს მრავალფეროვნება და სფეროს თითოეული მიმართულების წარმომადგენელთა ინდივიდუალური საჭიროებები.

სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და თვითაღიარებას ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის შედეგად დამდგარი შედეგებისა და სოციალური ზემოქმედების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და დამკვიდრება.

სოციალური საწარმოების ფინანსური და ინსტიტუციური ხელშეწყობა მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ჩნდება სოციალურ საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობის დეკლარირებული ნება და საკანონმდებლო დონეზე განმტკიცებული ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმები საგადასახადო, საჯარო შესყიდვების, გრანტების გაცემისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ასევე, იქმნება სოციალური საწარმოების სფეროს ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური ორგანოები, მათ შორის ნაწილდება სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების, ზედამხედველობასა და მონიტორინგის პასუხისმგებლობა.

განვითარების საწყის ეტაპზე არსებული ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც არ არსებობს სოციალური მეწარმეობის ერთიანი განმარტება, მოქმედ სოციალურ საწარმოთა შესახებ საინფორმაციო ბაზა, განვითარებული დოქტრინა და ცნობიერების მაღალი დონე, სფეროს აღიარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, როგორც წესი, სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირებაა. მოცემული ხორციელდება საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავებისა და საზოგადოებრივი კამპანიების წარმოების პარალელურად.

განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მყოფი ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც დამკვიდრებულია სოციალური მეწარმეობის ცნება, მიღებულია სოციალურ საწარმოთა სხვადასხვა ფორმები და ხდება საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან ფაქტობრივი ხელშეწყობა, სოციალური მეწარმეობის აღიარების მაჩვენებლის შენარჩუნება (შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიების გატარების პარალელურად, ან მისგან დამოუკიდებლად) ხდება მუდმივად განახლებადი სახელმწიფო სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და ჩარჩო პოლიტიკური დოკუმენტების შექმნისა და მათ პრაქტიკულ აღსრულებაზე ზედამხედველი სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური თანამშრომლობის გზით.

5.2 სოციალური მეწარმეობის აღიარების მიხედვით განვითარების სხვადასხვა ეტაპების ზოგადი მიმოხილვა

სოციალური მეწარმეობის სფეროს აღიარების მაჩვენებელი ერთ-ერთია შეფასების იმ კრიტერიუმთაგან, რომელთა დახმარებითაც შეიძლება ქვეყნის მასშტაბით სოციალური მეწარმეობის განვითარების ხარისხსა და საარსებო მდგომარეობაზე მსჯელობა.⁶⁰

დოქტრინის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო სფეროს (მათ შორის მისი მიკრო სფეროს - სოციალური მეწარმეობის) ხელშეწყობა ხდება:

1. საჯარო რეგულაციების შემოღებით (კანონმდებლობის შექმნა, რომელზე დაყრდნობითაც საწარმოები შეძლებენ საქმიანობის წარმართვას)
2. საზოგადოების მიერ საკითხის გაცნობიერებისა და აღქმის უზრუნველყოფით (მათ შორის ცნობიერების ამაღლება, სოციალური წინსვლის პროცესში ამგვარ საწარმოთა რეალური როლის აღქმის ხელშეწყობა)
3. საზოგადოებაში მეწარმეობასთან დაკავშირებული უნარების განვითარებით (მათ შორის შესაბამისი სასწავლო ცენტრებისა და პროგრამების დანერგვა)
4. მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობით, მათთვის ტექნიკურ დონეზე დახმარების შეთავაზებით (მათ შორის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება და მოცემულზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ან ინსტიტუციური ორგანოს განსაზღვრა).⁶¹

ამ და სხვა დაკავშირებულ კრიტერიუმთა გათვალისწინებით შეიძლება განვითარების ოთხი ფაზიდან ნებისმიერი ქვეყნის რომელიმესთვის მიკუთვნება. ეს ფაზებია: i) ემბრიონული ფაზა; ii) პროგრესული ფაზა; iii) ეტაპობრივი კონსოლიდაციის ფაზა და iv) სოციალურ საწარმოთა ინსტიტუციონალიზაციის ფაზა.⁶² უპრიანია თითოეული ფაზის მოკლე შინაარსობრივი მიმოხილვა შესაბამის მაგალითებზე დაყრდნობით.

ემბრიონული ფაზა

ეს ფაზა მიუთითებს განვითარების არც თუ ისე მაღალ ხარისხზე. ამ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს შორისაა მაგალითად ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ქვეყნები, როგორცაა უკრაინა, რუსეთი, ბელორუსია და სომხეთი.⁶³ შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ამ ეტაპზე იმყოფება დღესდღეობით საქართველოც.

ითვლება, რომ ამგვარ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის სფეროში წამოწყებული სოციალური ინიციატივები სახელმწიფოსთვის პრაქტიკულად უხილავია და ძირითადად დონორების მიერ არის მართული.⁶⁴ მათი აღქმადობა ლოკალურ ფარგლებს არ ცდება.⁶⁵ განვითარების პროცესს უკან ხევს ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში ქვეყნის მასშტაბით არსებობს სოციალური მეწარმეობის ბევრი, ურთიერთგამომრიცხავი განმარტება. შედეგად, სოციალურ მეწარმეობად განიხილება განსხვავებული ტიპის აქტივობები (მათ შორის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის

60 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.7, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

61 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ. 10, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

62 i) the embryonic phase; ii) progressive emergence; iii) gradual consolidation; and iv) institutionalization of the various types of social enterprise." Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.7, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

63 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.7, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

64 იქვე

65 იქვე

პრაქტიკა) და ამავდროულად, აღიარებული არ არის არც ერთი მათგანი.⁶⁶ სოციალურ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები არ არის განვითარებული. როგორც წესი, დაფუძნებისა და საქმიანობის პროცესში სოციალური მეწარმეებიც იმავე ბიუროკრატიულ წინაღობებს აწყდებიან, რომლებსაც ძველი ტრადიციებისა და კორპორაციული კულტურის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები.⁶⁷ ამ დრომდე მოქმედია ფისკალური ბარიერები, რომლებიც სოციალური მიზნით საქმიანობისას ეკონომიკური ტიპის საქმიანობის შესაძლებლობას გამორიცხავს. სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობა ძირითადად მოხალისეობრივ და ინდივიდუალურ დონეზე ხდება და არა სახელმწიფო ან საჯარო სექტორის მხრიდან რაიმე ტიპის ინიციატივების საფუძველზე.⁶⁸ საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ემბრიონულ ფაზაზე მყოფ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის პოტენციალი აუთვისებელია.

პროგრესული ფაზა

განვითარების ამ ფაზაზე, გერმანიისა და ავსტრიის გარდა არის ევროკავშირის ბევრი ახალი წევრი სახელმწიფო, რომელშიც სოციალური მეწარმეობის განვითარება უმეტესწილად განპირობებულია ევროკავშირის პროგრამების შედეგად მიღებული ფინანსური მხარდაჭერით. ქვეყანაში ბოლომდე არ არის აღქმული სოციალურ საწარმოთა არსი და მათი შესაძლო პოზიტიური როლი მდგრადი განვითარების პროცესში. შესაბამისად, არც სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური და სამართლებრივი აღიარებაა მიღწეული.⁶⁹ ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს სახელმწიფო ინტერესის მადეკლარირებული პოლიტიკური დოკუმენტები. საუბარია მათ შინაარსსა და პრაქტიკული აღსრულების მექანიზმებზე. მაგალითად, ამ ფაზაზე მყოფად შეიძლება ჩაითვალოს ხორვატიაც, სადაც შრომის სამინისტროს ინიციატივით შემუშავებულია სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების ნაციონალური სტრატეგია⁷⁰ (2015-2020 წლების საოპერაციო პროგრამა, რომელშიც არსებობს პირდაპირი მითითება სოციალური საწარმოების განვითარების მიზანზე). მიუხედავად ამისა, ხორვატიის ხელისუფლება სოციალურ საწარმოთა საარსებო განვითარების პროცესებს ხელს არ უწყობს კონკრეტული მოქმედებით, სამართლებრივი მოწესრიგების გზით. ადმინისტრაციული და ფისკალური თვალსაზრისით ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს არ ეძლევათ შანსი ლოკალური სოციალური ინიციატივები სოციალურ საწარმოებთან პარტნიორობით განახორციელონ. შესაბამისად, შექმნილ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტთა აღსრულების ხარისხი დაბალია და სოციალური მეწარმეობის სფეროც, საკუთარი პოტენციალის რეალურად გამოსავლენად საჭიროებს მნიშვნელოვან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებს.⁷¹

ეტაპობრივი კონსოლიდაციის ფაზა

შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ამ ეტაპზე მყოფი ქვეყნები არიან "არასრული ინსტიტუციონალიზაციის" სტადიაში, რა დროსაც ხელი ეწყობა მხოლოდ კონკრეტული ტიპის

66 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.8, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

67 იქვე

68 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.8, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

69 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.8, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

70 The National Strategy for the Development of Social Entrepreneurship

71 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.8, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

სოციალურ საწარმოებს, მიზნობრივი მხარდაჭერის პოლიტიკის საფუძველზე. ამ ფაზაზე მყოფად ითვლებიან, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები, რომელთა სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემაც ფეხს უწყობს სოციალური მომსახურების სპექტრის ზრდასა და ცვლილებებს. მათ შორისაა შვედეთი, რომელსაც აქვს სოციალური აქტივიზმისა და ჩართულობის დიდი ტრადიცია.⁷²

როგორც უკვე აღინიშნა, ამ ფაზაზე მყოფი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია სოციალურ საწარმოთა მხოლოდ კონკრეტული ტიპების აღიარება და ხელშეწყობა. მაგალითად შვედეთში სოციალური საწარმოების საქმიანობა უკავშირდებოდა მხოლოდ ბავშვთა მომსახურების სფეროსა და შრომის ინტეგრაციის მიზანს (ისევე როგორც ფინეთსა და დანიაში) რამაც სოციალური საწარმოების სამოქმედო სფეროების შემოსაზღვრა გამოიწვია.⁷³ ამან განაპირობა მხარდაჭერის მექანიზმთა მხოლოდ ამ სფეროს წარმომადგენელთა სასარგებლოდ გამოყენება. სწორედ ეს საწარმოები სარგებლობენ შვედეთში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებით. მხოლოდ მათ აქვთ შეღავათიან სესხებზე წვდომა, რომლებიც გაიცემა შვედეთის ეკონომიკური და რეგიონული განვითარების სააგენტოს, დასაქმების სამთავრობო სამსახურისა და შვედეთის სოციალური დაცვის სააგენტოს მიერ.⁷⁴

ის, რომ განვითარების რაღაც სტანდარტი მოქმედებს სოციალური საწარმოების კონკრეტულ ტიპებზე, თუმცა არა ყველა ტიპის სოციალურ საწარმოზე, აფერხებს მსგავს საწარმოთა სრულად ინსტიტუციონალიზაციას, შესაბამისად, ქვეყნის განვითარების ბოლო საფეხურზე გადასვლას.

საწარმოთა ინსტიტუციონალიზაციის ფაზა

განვითარების ბოლო ეტაპზე იმყოფებიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: იტალია, საფრანგეთი, ბელგია და გაერთიანებული სამეფო. ანუ ქვეყნები, რომლებშიც სხვადასხვა სახის სოციალურმა საწარმოებმა დაასრულეს ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ამ პროცესის წარმატებით დასრულება კი ნაწილობრივ კარგად ორგანიზებულმა სოციალურმა აქტივობებმა განაპირობა, ნაწილობრივ ფინანსური ხელშეწყობის მნიშვნელოვანი წყაროების ხელმისაწვდომობამ.

მიუხედავად იმისა, რომ საუბარია განვითარების ერთ საფეხურზე, ამ ქვეყნების გამოცდილება სოციალური მეწარმეობის აღიარებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება. საერთო მახასიათებელი კი, რომელიც ამგვარ ქვეყნებს განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ქვეყნებისგან განასხვავებს უკავშირდება სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ სოციალურ საწარმოთა სრულად აღიარებასა და თითოეული მიმართულების ხელშეწყობის მოტივაციას.⁷⁵ რაც მთავარია, სფეროს ხელშესაწყობად იდგმება კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც სოციალური მეწარმეობის სექტორის წარმომადგენელთა და სახელმწიფო ორგანოთა პარტნიორობაზეა დაფუძნებული. მაგალითისთვის, იტალიაში ინსტიტუციონალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ცენტრალურ და თვითმმართველ სახელისუფლებო ორგანოებს მიეცათ შესაძლებლობა დამატებითი

72 Strijan, Y., „The emergence of work-integration social enterprises in Sweden“ მით. Borzaga C., Defourny J., „The Emergence of Social Enterprise“, Routledge, London, 2001, გვ. 220-235, იხ. ასევე Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.9, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

73 Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.9, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

74 Swedish Agency for Economic and Regional Development, the Government Service for Employment, and the Swedish Social Security Agency.

75 მაგალითისთვის, როგორც იტალიაში ისე დიდი ბრიტანეთში სოციალური საწარმოები აღიქმებიან ნებისმიერი ტიპის, სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული მომსახურების გამწვევებად, რითიც მათ სცილდებათ მხოლოდ შრომითი ინტეგრაციის ხელშეწყობით ან დეფიციტური სოციალური სერვისების მიმწოდებელთა ტრადიციული როლი. სოციალური საწარმოების ახალ სამოქმედო სფეროებს შორის მოაზრება, მაგალითად, განახლებადი ენერგიის წარმოება და მოხმარება, მთელი რიგი გარემოსდაცვითი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება.

ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე მიიღონ „აუტოსორსული“ მომსახურება სოციალური კოოპერატივებისგან, რაც საჯარო შესყიდვების სფეროში სოციალური სექტორის ინტეგრაციის მაგალითია. იმავე მიზნით დიდ ბრიტანეთშიც შეიქმნა საჯარო სექტორის მიერ სოციალური საწარმოებისგან აუტოსორს-სერვისების შეძენის შესაძლებლობა, რა დროსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა პოტენციური მომწოდებლის მიერ აქამდე მიღწეულ სოციალური მნიშვნელობის შედეგებს. სფეროს განვითარების შემაფერხებელი ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის მიზნის მისაღწევად ბრიტანეთის მთავრობამ გაადვილა საწარმოთა დაფუძნებასთან დაკავშირებული წესები, აღმოფხვრა ფაქტორები, რომლებიც ზღუდავდნენ საწარმოთა საქმიანობაში მოხალისეთა მონაწილეობას, ასევე გაუქმდა ზოგიერთი საგადასახადო ბარიერი. მთავრობამ ასევე უზრუნველყო აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოს შექმნის მსურველი ყველა აქტორისთვის. საბოლოოდ, საჯარო უწყებების მხრიდან სოციალურ საწარმოებში ჩაიდო საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები, რაც თავის მხრივ, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზანსაც ემსახურებოდა. შეჯამების სახით რომ ითქვას, ინსტიტუციონალიზაციის ფაზაში მყოფი ქვეყნები გამოირჩევიან სოციალური მეწარმეობის სასარგებლოდ გატარებული მაღალი ხარისხის საჯარო პოლიტიკით. სახელმწიფოს გადაწყვეტილებები მოიცავს სწორი სამართლებრივი რეგულაციების მიღებას, აქტიური საჯარო პოლიტიკის გატარებას, სოციალურ საწარმოთა საქმიანობის ახალი მიმართულებების გათვალისწინებას, სამთავრობო პროგრამებსა და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც შეეფერება სოციალური საწარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.⁷⁶ ამის გათვალისწინებით ბუნებრივია ისიც, რომ ქვეყნები, რომლებიც ინოვაციურ სფეროში მოღვაწე სოციალურ საწარმოთა რესურსების ათვისებას ოპტიმალურად ახერხებენ მდგრადი განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე არიან.

6 სოციალური მეწარმეობის ცნება

6.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სოციალური მეწარმეობის ცნების შინაარსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა. თანამედროვე გაგებით სოციალური მეწარმეობა აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ და მმართველობით განზომილებას და ეყრდნობა ევროკავშირის ფარგლებში დამკვიდრებულ ერთიან განმარტებას.

განმარტების მიხედვით სოციალური საწარმო არის ეკონომიკური საქმიანობის განმხორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კომერციული საქმიანობით მიღებული მოგების ძირითადი ნაწილის ინვესტირებას ახორციელებს სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზნის მისაღწევად და რომლის მმართველობა შეესაბამება მის სოციალურ მიზნებს, არის დემოკრატიული და ინკლუზიური ხასიათის და უზრუნველყოფს პროცესში სოციალურ საწარმოთა დასაქმებულების, მომხმარებლების და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვას.

ის, თუ შემოსავლების რა ნაწილი უნდა იყოს სოციალური საწარმოების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული, ასევე მიღებული მოგების რა ნაწილი უნდა ემსახურებოდეს სოციალური მიზნების შესრულებას, რა წინასწარ განსაზღვრული წესებით უნდა იმართებოდეს

76 Galera G., Salvatori G., “Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe”, International Training Centre of the International Labour Organization(ILO), 2015, გვ.10-

11,https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

საწარმო, ასევე სოციალურ და გარემოსდაცვითი მიზნების ხასიათი და ჩამონათვალი - განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში, შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. ცნება სხვადასხვა ფორმით ასახა და გაითვალისწინა ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობამ. როგორც წესი, ცნების ჩამოყალიბება განაპირობებს სოციალური საწარმოებისთვის იმ წინაპირობების საკანონმდებლო წესით დადგენას, რომლებიც უნდა კმაყოფილდებოდეს მათი სტატუსის აღიარების მიზნით.

გარდა ზემოხსენებულისა, სოციალური მეწარმეობა დაკავშირებულია სოციალური ინოვაციის კომპონენტთან, რაც არის დამხმარე მახასიათებელი სოციალური საწარმოების სხვა დაკავშირებული კატეგორიებისგან გამოცალკევების პროცესში.

სოციალური საწარმოები განსხვავდებიან როგორც კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნეს სუბიექტებისგან, ისე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისგან. პირველი კატეგორიისგან სოციალურ საწარმოებს განასხვავებს საქმიანობის ორმაგი ხასიათი, მათ შორის სოციალური მიზნის მიღწევის უპირატესი ინტერესი, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისგან აცალკევებს არსებითი ეკონომიკური საქმიანობა და მოგების განკარგვის არა აბსოლუტურად, არამედ ნაწილობრივ შეზღუდული სქემა.

სოციალური მეწარმეობა განსხვავდება როგორც სოციალური ბიზნესისგან, ისე სოციალური მომსახურების სფეროსგანაც, უმეტესად იმით, რომ სოციალური მეწარმეობა გულისხმობს სოციალური ინოვაციის გზით იმგვარ სოციალურ პრობლემათა გადაჭრას, რომლებიც ვერ გადაიჭრა აქამდე გატარებული სხვა ვერც ერთი ღონისძიებით.

6.2 ცნებათა შინაარსი სფეროს განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე

სოციალური მეწარმეობის ცნების განსაზღვრა რთული, თუმცა პირველი და აუცილებელი ნაბიჯია სოციალური საწარმოების აღიარებისთვის, რაც თავის მხრივ უკავშირდება მათი საარსებო გარემოს განვითარებას.⁷⁷ საკითხის კომპლექსურობის, თითოეულ შემთხვევაში რეგიონული კონტექსტისა და ცვლადი საარსებო გარემოს გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე, სოციალური მეწარმეობისა და მასთან დაკავშირებული ცნებების (სოციალური საწარმო, სოციალური მეწარმე) ერთიანი საერთაშორისო განმარტება არ არსებობს.⁷⁸ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იმ ძირითადი კრიტერიუმების გამოყოფა, რომელზე დაფუძნებითაც განისაზღვრება სოციალურ საწარმოთა სტატუსი და ის განსხვავდება სხვა მეწარმე სუბიექტებისგან თუ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან. მანამ სანამ ეს კრიტერიუმები მეტ-ნაკლებად ერთნაირი სახით ჩამოყალიბდებოდა, სოციალური მეწარმეობის ცნების მნიშვნელობა რამდენჯერმე შეიცვალა. სოციალური მეწარმეობის ადრინდელი გაგების მიხედვით⁷⁹ სოციალურ მეწარმეობად მოიაზრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას იწყებდნენ

77 როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული „თუ სოციალური მეწარმეობა უნდა განვითარდეს, პირველ რიგში აუცილებელია ერთიანი, კონსტრუქციული განმარტებებზე მუშაობა სოციალური საწარმოების საქმიანობაზე დაკვირვების გზით, არსებული თეორიული ცოდნის გამოყენებით.“ (ავტ. თარგმანი) Jürgen H., Domanski D., Schwarz M., “Rethinking social entrepreneurship: the concept of social entrepreneurship under the perspective of socio-scientific research” Journal of Creativity and Business Innovation, vol. 1. 2015, გვ. 92-93, <http://www.journalcbi.com/social-entrepreneurship.html>, იხ. ასევე Jeremy C., Todd W. M., Lumpkin G. T., “Research in social entrepreneurship: past contributions and future opportunities.” Strategic Entrepreneurship Journal, vol. 3, No. 2, 2009, გვ. 173,161-194, <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.452.4245&rep=rep1&type=pdf>

78 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

79ეს გაგება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ე.წ earned-income-ის მიღების შესაძლებლობას უკავშირდება და სოციალურ მეწარმეობად მოიაზრებს დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ, სოციალური მიზნებით მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს. World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.9-10, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

სოციალური მიზნის მსახურებისთვის, გრანტებსა და შემოწირულობებზე დამოკიდებულების მოსახსნელად.⁸⁰ არასამთავრობო ორგანიზაციები დღემდე ამ პრინციპზე დაყრდნობით იმართება, მათ შორის საქართველოში. ააიპ-ებს მართლაც აქვთ შესაძლებლობა იდეალისტური მისიის ხელშეწყობის მიზნით წამოიწიონ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობა.⁸¹ თუ ეს მიზნები სოციალური ხასიათისაა, ამგვარ პირთა სოციალურ მეწარმეებად კვალიფიცირება შესაძლებელია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური მეწარმეობა სამეწარმეო საქმიანობის არსებით განხორციელებას გულისხმობს,⁸² პრობლემა იქმნება ა(ა)იპ-ების მიერ სამეწარმეო საქმიანობის დამხმარე ხასიათთან და მოგების გადანაწილების აბსოლუტურ შეზღუდვასთან⁸³ დაკავშირებით.⁸⁴ ასევე, განმარტების მიღმა რჩებიან მეწარმე სუბიექტები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობით მიღებულ მოგების ძირითად ნაწილს სოციალური მიზნის მიღწევას ახმარენ. შესაბამისად, სოციალურ საწარმოთა ცნება საჭიროებდა განზოგადებასა და გაფართოებას.

სფეროს შემსწავლელ ლიტერატურაში დამოუკიდებლად განხილული სოციალური მეწარმეობის, სოციალური მეწარმისა და სოციალური საწარმოს ცნებები. თავად სოციალური მეწარმეობა აღწერილია როგორც დინამიური პროცესი, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული აქტორები - იქნებიან ესენი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ინდივიდები, მეწარმეები თუ კომპანიები - ქმნიან და ავითარებენ სოციალური დოვლათის შექმნაზე, საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული ეკონომიკური საქმიანობის სქემას.⁸⁵ ამ სქემის აღსასრულებლად კი ვითარდება ორგანიზაციული სისტემა, რომელიც თავის მხრივ იწოდება სოციალურ საწარმოდ.⁸⁶ შესაბამისად, სფეროსთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ შეიძლება სოციალური მეწარმეობა დაინახოს საკუთარი პერსპექტივით.⁸⁷ მაგალითად სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის სოციალური მეწარმეობა შეიძლება ნიშნავდეს სოციალური, სისტემური ცვლილებების გამოწვევას ძალას⁸⁸ და სივრცეს ახალი, ჰიბრიდული ტიპის პარტნიორობისთვის.⁸⁹ სახელმწიფოსთვის სოციალური მეწარმეობა შეიძლება ნიშნავდეს სახელმწიფოს მიერ სოციალური დოვლათის ან სიკეთის შექმნის პროცესში ნაწილი მარცხის

80 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.10-11, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

81 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი. საქართველოს გარდა, მსგავსი მიდგომა, მათ შორის, საფრანგეთში, ბელგიაში, სლოვენიაში და ბულგარეთში. Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.5, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

82 სოციალური საწარმოების იდენტიფიცირებისთვის სხვა კრიტერიუმებთან ერთად გამოიყენება ეკონომიკური კრიტერიუმი, რომელიც სოციალურ საწარმოდ განიხილავს ორგანიზებული ფორმით სამეწარმეო საქმიანობის წარმართველ სუბიექტს, რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი სწორედ კომერციული საქმიანობით არის მიღებული. მოცემულ საკითხზე ნაშრომის შემდგომ თავებში დეტალურად იქნება საუბარი.

83 მართალია სოციალური საწარმოები მოგების ძირითად ნაწილს რეინვესტირებას უკეთებენ დასახული სოციალური მიზნების ხელშეწყობად, თუმცა თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, სოციალურ საწარმოთათვის ასევე დაშვებულია მიღებული მოგების გარკვეული ნაწილის ინვესტირება და პარტნიორებზე გადანაწილება, რაც საქმიანობის ამ ფორმით წამოწყების დამატებითი მოტივაციაა.

84 მხეიძე ი., „საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევები“, სამაგიდე კვლევა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2017, გვ.12, https://asb.ge/sites/default/files/sakartveloshi_socialuri_mecarmeobis_arsebuli_praktikebi_da_gamocvevebi.pdf

85 Defourny, J., Nyssens, M., „Social Enterprise in Europe: Recent Trends and Developments“, EMES Working Paper, 2008, მით. World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

86 იქვე.

87 Mair, J., Marti, I., „Social entrepreneurship research: A source of explanation, prediction, and delight“, Journal of World Business, vol. 41, ed.1, 2006, გვ. 36-44; იხ. ასევე: Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

88 Nicholls A., „Social Entrepreneurship - New Models of Sustainable Change“, Oxford University Press, 2006, გვ. 99-118. იხ. ასევე Benjamin H., Nicholls A., „Social Entrepreneurship: Definitions, Drivers and Challenges“ Social Entrepreneurship and Social Business, 2021, გვ. 31-48

89 Austin, J., Stevenson, H., Wei-Skillern, J., „Social and Commercial Entrepreneurship: Same, Different, or Both?“, Entrepreneurship: Theory & Practice, vol. 30, no. 1, 2006, გვ. 1-22.

გამოსწორების შესაძლებლობას პასუხისმგებლობის კერძო სექტორისთვის განაწილების გზით.⁹⁰ რაც შეეხება ბიზნესს, ბიზნესისთვის სოციალური მეწარმეობა არის ახალი ბიზნეს მოდელების აღმოჩენის შესაძლებლობა,⁹¹ კერძოდ, სოციალური პასუხისმგებლობით დატვირთული ინვესტიციების სრულიად ახალი სამყარო.⁹²

ამ საკითხზე სხვადასხვა შეხედულებებია ჩამოყალიბებული სფეროს მკვლევართა რიგებში. მათზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ „სოციალური მეწარმეობა ეს არის კონსტრუქცია, რომელიც აერთიანებს მორალური ღირებულებებით დატვირთულ ეკონომიკურ საქმიანობას, მისიას სოციალური დოვლათის შექმნისა, რა დროსაც საჭიროა მნიშვნელოვანი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ინოვაციურობა, პროაქტიულობა და რისკზე წასვლა.“⁹³ სხვა შეხედულებით სოციალური მეწარმეობა არის „პროცესი, რესურსების ინოვაციური გამოყენებისა, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას შეისწავლო და აითვისო სოციალური ცვლილებების კატალიზატორები და იპოვო მარტივი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ეკონომიკური გზები.“⁹⁴ უფრო მარტივი დეფინიციის მიხედვით კი სოციალური მეწარმეობა „ინოვაციური გზებით სოციალური სიკეთის შექმნის პროცესია, რომელშიც ჩართულნი არიან არასამთავრობო, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორები.“⁹⁵ შემოთავაზებული მრავალფეროვანი დეფინიციების შეჯერებით მიიღება ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი ტიპის სოციალური საწარმოსთვის.⁹⁶ დოქტრინის წარმომადგენლები საბოლოო ჯამში თანხმდებიან იმაზე, რომ სოციალური საწარმოს საქმიანობა სოციალურ ან გარემოსდაცვით შედეგებზე არის ორიენტირებული, რა დროსაც ამ შედეგის მიღწევის მიზანი არის ეკონომიკური სარგებლის მიღებაზე, მოგების მაქსიმიზაციასა თუ სხვა მსგავს სტრატეგიულ მიზნებზე უპირატესი. ზემოხსენებული ხორციელდება ინოვაციური გზებით, იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, რა პრინციპებითაც იმართება ბიზნესი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულობას, სანდო და საიმედო ბიზნეს პარტნიორების ძიებასა და პროდუქციისა თუ მომსახურების ხარისხის კონტროლს.⁹⁷ სწორედ ზემოხსენებულზე დაყრდნობით, სოციალური მეწარმეობის მთავარ მახასიათებლებად მიჩნეულია: 1. სოციალური კრიტერიუმი, 2. ინოვაცია და 3. ბაზარზე ორიენტირებულობა.⁹⁸

ქვეყნების მიხედვით ეს კრიტერიუმები დაიხვეწა, მათ ენიჭებოდა სხვადასხვა წონა და მნიშვნელობა. ამ ნიშნით სოციალურმა მეწარმეობამ ოდნავ განსხვავებული შინაარსი შეიძინა ამერიკასა და ევროპაში. როგორც ამერიკელი ავტორები მიუთითებენ, აშშ-ში სოციალური მეწარმეობის ერთიანი განმარტება მოიცავდა: 1.სოციალური ღირებულების შექმნისკენ/სოციალური ცვლილებებისკენ სწრაფვას 2.სოციალურ ინოვაციას 3. საქმიანობის პროცესში ბაზრის რესურსებისა და მენეჯერული

90 Leadbeater, C., "The Rise of the Social Entrepreneur", Demos, London, 1997, გვ.5, გვ.21, გვ. 53-60;

91 Karamchandani A., Kubzansky M., Frandano P., „Emerging Markets, Emerging Models, Market-Based Solutions to the Challenges of Global Poverty“ Monitor Group, New York, 2009, გვ. 14-15, https://theigiin.org/assets/binary-data/RESOURCE/download_file/000/000/5-2.pdf

92 Benjamin H., Nicholls A., "Social Entrepreneurship: Definitions, Drivers and Challenges" Social Entrepreneurship and Social Business, 2021, გვ. 31-48;

93 „social entrepreneurship is “a multidimensional construct involving the expression of entrepreneurially virtuous behaviour to achieve the social mission, a coherent unity of purpose and action in the face of moral complexity, the ability to recognise social value-creating opportunities and key decision-making characteristics of innovativeness, proactiveness and risk-taking”. Mort, G. S., Weerawardena J., Carnegie K., "Social entrepreneurship: Towards conceptualisation", International Journal of Nonprofit & Voluntary Sector Marketing, vol.8 ed.1, გვ.76, <https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1002/nvsm.202>

94 Mair J., Marti I., "Social entrepreneurship research: A source of explanation, prediction, and delight", Journal of World Business, vol. 41, ed.1, 2006, გვ. 36-44

95 Austin J., Stevenson H., Wei-Skillern J., "Social and Commercial Entrepreneurship: Same, Different, or Both?", Entrepreneurship: Theory & Practice, vol.30 ed.1, 2006, გვ.1-22, <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1111/j.1540-6520.2006.00107.x>

96 Martin, R. L., Osberg S., "Social Entrepreneurship: The Case for Definition", Stanford Social Innovation Review, 2007, გვ.29-39 <https://www.ngbiz.org/picture/File/Social%20Entrepreneur-The%20Case%20of%20Definition.pdf>

97 იქვე

98 „sociality, innovation, and market orientation.“ Nicholls A., Cho A. H., "Social Entrepreneurship: The Structuration of a Field", Social Entrepreneurship, New Models of Sustainable Change, Oxford University Press, 2006, გვ. 99-118.

პრაქტიკის გამოყენებას (განურჩევლად ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმისა).⁹⁹ სოციალური საწარმოს ევროპული მოდელი კი 1990 წლებიდან ყალიბდება EMES ევროპული კვლევითი კავშირის¹⁰⁰ (European Research Network) ძალისხმევითა და სხვა აქტორთა ჩართულობით.¹⁰¹ სწორედ ამ დროს მოხდა EMES Network-ის მიერ სოციალური მეწარმეობის დეფინიციის შემოთავაზება, რომელიც ცხრა კრიტერიუმს მოიცავდა და სამ ჯგუფად იყოფოდა: კრიტერიუმთა პირველი ჯგუფი მოიცავდა სოციალური საწარმოების საქმიანობის **ეკონომიკურ განზომილებას** (განგრძობადი საქმიანობა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ან მომსახურების გაწევის სახით, ეკონომიკური რისკების მაღალი მაჩვენებელი, ანაზღაურებადი სამუშაო ძალის ყოლა) კრიტერიუმების მეორე ჯგუფი ეხებოდა **სოციალურ განზომილებას** (საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანის კონკრეტული მიზანი, მოგების განკარგვის შეზღუდული შესაძლებლობები, სამოქალაქო აქტორთა ჯგუფის ჩართულობა) ხოლო ბოლო კრიტერიუმში ეხებოდა საწარმოების **მმართველობის სტრუქტურას** (ავტონომიის მაღალი ხარისხი, გადაწყვეტილების მიღების უფლების ჩამორთმევა კაპიტალის მესაკუთრეთათვის, მმართველობის ინკლუზიური ფორმა, რომელიც აქტორთა ფართო სპექტრის ჩართულობას უშვებს).¹⁰² აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულთაგან სწორედ ევროპული მოდელი უშვებს საწარმოებისთვის ნარჩენი მოგების შეზღუდული ოდენობით დამფუძნებლებს შორის გადანაწილების შესაძლებლობას (თუნდაც იმ პირობებში როდესაც საწარმოში მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კაპიტალ-მფლობელებისთვის არ არის მინიჭებული).¹⁰³ ამერიკული „არა დივიდენდური“ მოდელი ამას გამორიცხავს.¹⁰⁴ ამერიკისგან განსხვავებით ევროპაში ყურადღება ექცევა საწარმოს მმართველობის სისტემასაც, სადაც სოციალური მნიშვნელობის ღირებულების შექმნა (სოციალური აქტივი) საქმიანობის სამეწარმეო მოდელის გამოყენებით არის საწარმოს სოციალურ საწარმოდ კვალიფიცირებისთვის საჭირო ძირითადი და ხშირ შემთხვევაში ერთადერთი კრიტერიუმი.¹⁰⁵ ამერიკული და ევროპული განმარტების ეს ორი მოდელი შესაძლებელია შეჯამდეს შემდეგნაირად:¹⁰⁶

ამერიკული მოდელის მიხედვით სოციალური მეწარმეობის მახასიათებლებია: სამეწარმეო საქმიანობა წარმართული სოციალური ღირებულების შექმნის მიზნით, სოციალურ ინოვაციასთან მჭიდრო კავშირი, მმართველობითი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, საქმიანობისას მეწარმის ინდივიდუალური შესაძლებლობებზე ორიენტირება. მნიშვნელობა არ ენიჭება ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმას, იმას, კომერციულია იგი თუ არაკომერციული, საჯაროა თუ კერძო.

ევროპული მოდელის მიხედვით სოციალური მეწარმეობის მახასიათებლებია: სამეწარმეო საქმიანობა წარმართული სოციალური ღირებულების შექმნის მიზნით, გამოყენებადი რესურსე-

99 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.15-16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

100 მხეიძე ი., „საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევები“, სამაგიდე კვლევა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2017, გვ. 5,

https://asb.ge/sites/default/files/sakartveloshi_socialuri_mecarmeobis_arsebuli_praktikebi_da_gamocvevebi.pdf

101 მათ შორის იყვნენ სოციალური კოოპერატივი იტალიაში, ბელგიის სოციალური მიზნის მქონე კომპანიები (sociétés à finalité sociale), სოციალური და სოლიდარული პასუხისმგებლობის კოოპერატივები პორტუგალიაში და კოლექტიური ინტერესის კოოპერატივები საფრანგეთში (société cooperative d'intérêt collectif)

102 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.15

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

103 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.15,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

104 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.15,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

105 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

106 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

ბის მრავალფეროვნება (ფინანსირების საჯარო წყაროები, ინდივიდუალური ინიციატივები, ვაჭრობა), მმართველობითი სისტემის იმგვარი სტრუქტურა რომელიც დემოკრატიული გზებით გადაწყვეტილებების მიღებას უზრუნველყოფს.¹⁰⁷

6.3 ცნებათა თანამედროვე შინაარსი

სოციალური მეწარმეობის თანამედროვე გაგებაც ზემოხსენებული განმარტებებიდან გამომდინარეობს და უფრო მეტად ევროპული მოდელის შესაბამისად ვითარდება. ხშირ შემთხვევაში სოციალური მეწარმეობის იდენტიფიცირება ხდება სწორედ მათი მმართველობის,¹⁰⁸ მიზნებისა¹⁰⁹ და გავლენის, ანუ მათი საქმიანობის შედეგების მიხედვით.¹¹⁰ ევროკომისიაც დღემდე იზიარებს იმ მიდგომას, რომელიც შემუშავდა EMES European Research Network-ის მიერ და ემხრობა სოციალური საწარმოების შეფასებას მმართველობითი, ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინებით.¹¹¹ კერძოდ, ევროპის კომისია „სოციალურ მეწარმეებად“ მოიხსენიებს ორგანიზაციებს/საწარმოებს თუ:

1. მათ მიერ დასახული სოციალური მიზნები არის მათი კომერციული საქმიანობის მთავარი საფუძველი და მოცემული ხშირ შემთხვევაში ხორციელდება ინოვაციური გზებით.

2. მიღებული მოგება ძირითადად ხმარდება სოციალური მიზნების მიღწევას.

3. თუ მათი ორგანიზაციული სტრუქტურა (მესაკუთრეთა უფლებები და ხელმძღვანელობის სტილი) შეესაბამება მათ სოციალურ მისიას. კერძოდ, გამოყენებულია დემოკრატიული და მონაწილეობით პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის მოდელები.¹¹² კონკრეტული დოკუმენტის მიზნებისთვის დეფინიცია შეიძლება დავიწროვდეს, გაფართოვდეს ან დაკონკრეტდეს. მაგალითად ევროპარლამენტის №1296/2013 რეგულაციის¹¹³ მიზნებისთვის სოციალური საწარმო არის საწარმო, რომელიც წესდების, საკანონმდებლო აქტების თუ მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზეა დაფუძნებული (განურჩევლად სამართლებრივი ფორმისა), რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს გაზომვადი (შეფასებადი) პოზიტიური სოციალური შედეგების მიღება (და არა მესაკუთრეებისთვის, წევრებისა თუ პარტნიორებისთვის/მეწილელებისთვის მოგების მოტანა), და რომელიც აწარმოებს პროდუქციას/ეწევა მომსახურებას და/ან იმუშავებს პროდუქციის წარმოების/მომსახურების მიწოდების იმგვარ მეთოდს, რომელიც მისი სოციალური მიზნის აღსრულებას ემსახურება. ამგვარი საწარმო მის შემოსავლებს უმეტესწილად უნდა იყენებდეს მისი ძირითადი მიზნის მისაღწევად. ასევე, მას უნდა ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული, გაწერილი პროცედურები რომლებიც განსაზღვრავს საწარმოში მოგების გადანაწილების წესებს იმგვარად, რომ განაწილების ამ წესის

¹⁰⁷ იქვე.

¹⁰⁸ Defourny J., Nyssens M., "Social enterprise in Europe: recent trends and developments", Social Enterprise Journal, Vol. 4 No. 3, 2008, გვ. 202-228. <https://doi.org/10.1108/17508610810922703>

¹⁰⁹ Defourny J., Nyssens M., "Social enterprise in Europe: recent trends and developments", Social Enterprise Journal, Vol. 4 No. 3, 2008, გვ. 202-228. <https://doi.org/10.1108/17508610810922703>

¹¹⁰ Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

¹¹¹ Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

¹¹² Defourny J., Develtere P., Fonteneau B., "The Social Economy: The worldwide making of a third sector", L'économie sociale au Nord et au Sud, 1999, გვ.16, https://emes.net/content/uploads/publications/Defourny.Develtere_SE_NorthSouth_Chap1_EN.pdf

¹¹³ Regulation (Eu) No 1296/2013 Of The European Parliament and of the Council of 11 December 2013 on a European Union Programme for Employment and Social Innovation ("EaSI") and amending Decision No 283/2010/EU establishing a European Progress Microfinance Facility for employment and social inclusion, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32013R1296>

შედეგად არ გადაიფაროს საწარმოს ძირითადი სოციალური მიზანი.¹¹⁴ პრაქტიკული მაგალითების სახით რომ ითქვას, ამგვარ საწარმოებს შორის ხვდება, მაგალითად: იტალიაში მოქმედი სამედიცინო ცენტრი, რომელიც მაღალი კვალიფიკაციით ემსახურება მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ კლიენტებს (ძირითადად იმიგრანტებს), საფრანგეთში წყლის-გარეშე მანქანის რეცხვის მომსახურების შემთავაზებელი კომპანია, რომელიც იყენებს ბიოდეგრადირებად პროდუქციას და ასაქმებს უმაღლესი განათლების არ მქონე ან სხვა ნიშნით მოწყვლად პირებს, მათი შრომით ბაზარზე რეინტეგრაციის მიზნით. უნგრეთში რესტორანი, რომელიც ასაქმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ამასთანავე უფინანსებს მათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და ბავშვის მოვლას, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა მოახერხონ მათთვის სტაბილური სამუშაო გარემოს შენარჩუნება. ჰოლანდიის სასწავლო დაწესებულება აუტისტის სპექტრის მქონე, ჰიპერაქტიულ ბავშვთათვის (ასევე იმიგრანტებისა და წერა-კითხვის პრობლემის მქონე საზოგადოების ნაწილისთვის) რომელიც იყენებს სწავლების ინოვაციურ მეთოდებსა და ტექნოლოგიას და ა.შ.¹¹⁵

იმისთვის რომ კიდევ უფრო ცხადი გახდეს რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება საწარმო აღიქმებოდეს სოციალურ საწარმოდ, უპრიანია ძირითადი კრიტერიუმების უფრო დეტალურად მიმოხილვაც.

6.3.1 მმართველობითი კრიტერიუმი

მმართველობით კრიტერიუმში შედის სოციალური საწარმოს მენეჯმენტის, შინაგანი მართვის საკითხები. ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით მოთხოვნილია, რომ სოციალური საწარმო იყოს კერძო სუბიექტი (დამოუკიდებელი საჯარო ზეგავლენისგან) იმართებოდეს დამოუკიდებლად, მონაწილეობასა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. სხვანაირად რომ ითქვას, მოთხოვნილია ის, რომ მმართველობა შეესაბამებოდეს საქმიანობის მიზნებს, ეხმარებოდეს მათ რეალიზაციას.¹¹⁶ ეს კი ხდება მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებას არ იღებს კაპიტალის მფლობელი (მეწილე)¹¹⁷ არამედ პროცესში ჩართულია ორგანიზაციის ყველა წევრი, თითო დამოუკიდებელი და თანაბარი ხმის უფლებით. ამასთანავე, უზრუნველყოფილია საწარმოს მართვისას იმ დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების გათვალისწინება, რომლებზეც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობა, იქნება ეს დასაქმებულები, მომხმარებლები თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები.¹¹⁸ ამ გზით სოციალური საწარმოები მაქსიმალურად იყენებენ არსებულ, მათ შორის ადამიანურ რესურსებს, რათა შექმნან ახალი, სტაბილური და საჭიროებების მქონე პირთა მოთხოვნებზე მორგებული წესრიგი.¹¹⁹

მონაწილეობასა და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობა EMES-ის მიხედვით „იდეალური ტიპის“ სოციალური საწარმოს მახასიათებელია. ის ზრდის სოციალური საწარმოების

114 Art. 2, Regulation (Eu) No 1296/2013 Of The European Parliament and of the Council of 11 December 2013 on a European Union Programme for Employment and Social Innovation ("EaSI") and amending Decision No 283/2010/EU establishing a European Progress Microfinance Facility for employment and social inclusion, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32013R1296>

115 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

116 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

117 რათა მოხდეს ფინანსური დაინტერესებუდან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია.

118 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.15-16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

119 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

მიმართ ნდობას და ქმნის გარანტიებს იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალური მიზნების მიღწევა საწარმოს რეალური პრიორიტეტია. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად ოპტიმალურია მოცემული იყოს სოციალური საწარმოს დეფინიციის იმპერატიული ნაწილი. რამდენად მიღწევადია ამგვარი სისტემის წარმატებული დანერგვა იმ ქვეყნების მასშტაბით, სადაც სოციალური მეწარმეობა ახალი, განუვითარებელი სფეროა? ხომ არ იკარგება მენეჯერების ხელმძღვანელობითი უნარები და შესაბამისად, ხდება მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსის აუთვისებლობა? ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია ქვეყნის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე, თუმცა, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული სტანდარტი ქვეყანათა უმრავლესობის მიერ უპირობოდ არის გაზიარებული.¹²⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონპროექტის¹²¹ მიხედვითაც, მმართველობის კრიტერიუმში წარმოადგენს საწარმოს ერთ-ერთ მახასიათებელს.

6.3.2 ეკონომიკური კრიტერიუმი

ეკონომიკურ კრიტერიუმში იგულისხმება სოციალური საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური მიმართულება, კერძოდ ის, რომ სოციალური საწარმო უნდა საქმიანობდეს პროდუქციის წარმოების ან სერვისის მიწოდების სფეროში.¹²² ბევრ ქვეყანაში, (მათ შორის საქართველოში ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით), არსებობს მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სამეწარმეო საქმიანობა იყოს არსებითი და საწარმოს შემოსავლების უდიდესი ნაწილი სწორედ ბიზნეს საქმიანობის შედეგად იყოს გენერირებული.¹²³ შესაბამისად, ეკონომიკური კრიტერიუმის გათვალისწინებით, სოციალური საწარმო იმართება ბიზნეს პრინციპებზე დაყრდნობით, ოპერირებს იმავე ბაზარზე, რომელზეც ბიზნეს სუბიექტთა უმრავლესობა, თუმცა, ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებისას პრიორიტეტს ანიჭებს სოციალური მიზნების მიღწევას და არა მოგების მაქსიმიზაციას. ხშირ შემთხვევაში, ქვეყნები წინასწარ აიდენტიფიცირებენ სფეროს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება სოციალური საწარმო საქმიანობდეს, თუმცა მოცემული მიემართება საქმიანობის სოციალურ განზომილებას და არ გულისხმობს კომერციულ-ეკონომიკური საქმიანობის არეალის შევიწროებას.¹²⁴ შესაბამისად, ხელშეწყობის არსებობის შემთხვევაში სოციალურ საწარმოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა სრულად აითვისონ, ბიზნესის ნებისმიერი, მათ შორის საჯარო შესყიდვების მიმართულება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოგების მიღების შესაძლებლობა და ინტერესი, რომელიც ამ კრიტერიუმის განუყოფელი ნაწილია, მეწარმე სუბიექტის სახით მოქმედი საწარმოებისთვის (ორგანიზაციებისგან განსხვავებით) არის შეზღუდული და არა გამორიცხული.¹²⁵ ეკონომიკური კრიტერიუმის არსებობა თავისთავად გულისხმობს, რომ სოციალური საწარმოები საკუთარი ბიზნეს საქმიანობით ახერხებენ საკუთარი თავის შენახვას (რაც განპირობებს კიდევ იმას, რომ სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ არსებობდნენ გრანტებისა თუ შემოწირულობების გარეშეც) დასაქმებულთა ანაზღაურებას და მოგების მიღებას. უმრავლეს შემთხვევაში სოციალური

120 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

121 კანონპროექტის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460>

122 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4,

<https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

123 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.10,

<https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>, კანონპროექტის მე-4

მუხლის „გ“ ქვეპუნქტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460>

124 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

125 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.4, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

საწარმოებისთვის დაშვებულია მიღებული მოგების შეზღუდულ ფარგლებში მესაკუთრეებზე გადანაწილებაც, რაც საქმიანობის მამოტივირებელი დამატებითი ფაქტორია.¹²⁶

6.3.3 სოციალური კრიტერიუმი

სოციალური კრიტერიუმი პირველ რიგში გულისხმობს იმგვარი სოციალური მიზნის არსებობას, რომელიც საწარმოს საქმიანობის ამოსავალი წერტილი და მის ეკონომიკურ მიზნებზე უპირატესია.¹²⁷ ამის გათვალისწინებით, სოციალური მეწარმეობის ქვეშ შეიძლება გაერთიანდეს ყველა ის სამეწარმეო წამოწყება/ინიციატივა, რომელიც ემსახურება სოციალურ ან გარემოსდაცვით მისიას.¹²⁸ თუმცა ეს განმარტება ზოგადია და ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობას, შესაბამისად, საჭიროებს დაკონკრეტებას. ქვეყნების უმრავლესობას საკითხის მომწესრიგებელი დოკუმენტით კატეგორიზებული და განსაზღვრული აქვს შესაძლო სოციალური მიზნების ჩამონათვალი. ყველაზე ზოგადი ფორმით მიზნები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: 1.გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარება. 2.სოციალური დოვლათის(საზოგადოებრივი სიკეთის) შექმნა, სოციალური საჭიროების გათვალისწინებით დეფიციტური მომსახურების ან პროდუქტის მიწოდება.¹²⁹ 3.მოწყვლად ან მარგინალიზებულ ჯგუფებში უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა.¹³⁰ ბუნებრივია, რომ თითოეული კატეგორია მოიცავს ქვეკატეგორიებს, რომლებიც თავის მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანი საქმიანობის ჩამონათვალს აერთიანებს. მაგალითად, პირველ ორ კატეგორიასთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითები გვიჩვენებს, რომ სოციალური ინიციატივების ცალკე ექვსი მიმართულების გამოყოფა შესაძლებელი, ესენია: 1.სოციალურ კეთილდღეობასთან და ჯანდაცვასთან დაკავშირებული სერვისები 2.განათლებისა და არაფორმალური სწავლების მიმართულება 3.ეკონომიკური განვითარება 4.უბედურ შემთხვევათა (ბუნებრივ კატასტროფათა) შემდგომი დახმარება 5.სოციალური სამართლიანობისა და პოლიტიკური ცვლილებების ხელშეწყობა 6.საარსებო გარემოსთან დაკავშირებული საკითხების დაგეგმარება და მენეჯმენტი.¹³¹ მესამე კატეგორია კი ნათელი მაგალითია იმისა, რომ სოციალური კრიტერიუმი შეიძლება გამოიხატოს არა საქმიანობის უშუალო შედეგში, არამედ თავად ორგანიზაციის მოქმედებაში. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება დასაქმების სფეროს, სადაც პრიორიტეტია დისკრიმინირებული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, რესოციალიზირებული, უმაღლესი განათლების არ მქონე ან სხვა ნიშნით მოწყვლად ჯგუფთა დასაქმება და გადამზადება. ევროკავშირში სოციალურ საწარმოთა ძირითადი მიმართულებების აღმწერი სქემა ამგვარად გამოიყურება¹³²:

¹²⁶იქვე

¹²⁷დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.5, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

¹²⁸ World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.2-11 <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

¹²⁹ World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.14, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

¹³⁰ World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.14, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

¹³¹ World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.14, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

¹³² Social economy, study for the IMCO Committee, p.58, 2016; World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

ევროკავშირში აქტორთა მიმართულებები:	სოციალური ძირითადი ეკონომიკის სამოქმედო	%
1. დასაქმება და ტრენინგები		14.88
2. გარემოსდაცვითი საკითხები		14.52
3. განათლება		14.52
4. ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივი განვითარება		14.34
5. კულტურა, ხელოვნება, რეკრეაციული საქმიანობა		7.08
6. ჯანდაცვა		6.90
7. ბიზნეს ასოციაციები		2.00
8. საკანონმდებლო, საადვოკატო, პოლიტიკური საქმიანობა		1.63
9. სხვა		4.72
10. სოციალური სერვისები		16.70
სულ:		100

რომ შევაჯამოთ, სოციალური კრიტერიუმში გამოიხატება და ფასდება ორგანიზაციის მართვის ან საქმიანობის შედეგების მიხედვით, რითიც ორგანიზაცია ზემოქმედებს სოციალურ და საარსებო გარემოზე. თავის მხრივ, ამ შედეგთა შეფასების სისტემის განსაზღვრის საკითხიც ცალკე, კომპლექსური და განვითარებადი მიმართულებაა,¹³³ რომლის ფარგლებშიც მუშავდება „პერფორმანსის“ შეფასების სრულიად ახლებური კრიტერიუმები და მეთოდები,¹³⁴ რა დროსაც მხედველობაში მიიღება არა ფინანსური, არამედ ზემოხსენებული, არამატერიალური ხასიათის შედეგები).¹³⁵

6.3.4 სოციალური ინოვაცია

ერთ-ერთი დამატებითი მახასიათებელი, რომელთანაც ასევე აკავშირებენ სოციალურ მეწარმეობას არის „სოციალური ინოვაცია.“ სოციალური ინოვაციების კრიტერიუმში გათვალისწინებულია მაგალითად ევროკომისიის სოციალური ბიზნესის ინიციატივაშიც, რომლის მიხედვითაც: „სოციალური საწარმო... ბაზრისთვის ქმნის საქონელსა და მომსახურებას სამეწარმეო პრინციპების გათვალისწინებით, ინოვაციური გზების გამოყენებით.“¹³⁶ ეს ხდება იმ რწმენით, რომ სოციალური

133ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით აღსანიშნავია შემდეგი ინიციატივები: 2012 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ დაიწყო სოციალური საწარმოების ზემოქმედების შედეგების მკაცრი და სისტემატური მეთოდის შემუშავება. 2014 წლის 3 ივნისს სოციალური ეკონომიკისა და სოციალური მეწარმეობის ექსპერტთა ჯგუფმა (Expert group on social economy and social enterprises – GECES) მიიღო ანგარიში, რომელიც შეიმუშავებს სოციალური ზემოქმედების გაზომვის მინიმალურ სტანდარტულ პროცესს იმ სტანდარტულ კრიტერიუმებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი სოციალური გავლენის გაზომვის ყველა ანგარიშში. პირველმა პანევროპულმა საჯარო და კერძო პარტნიორობამ (the first Network Provider Certified for instant payments of the ECB and Eurozone central banks - SIA) ასევე შეიმუშავა ამ მიმართულებით სოციალური ზემოქმედების შესრულების გაზომვის მეთოდიკა.

134 Stone M., Cutcher-Gershenfeld S., „Challenges of Measuring Performance in Nonprofit Organizations Measuring the Impact of the Nonprofit Sector“, Academic/Plenum Publishers, 2001, გვ. 33-57.

135 Benjamin H., Nicholls A., „Social Entrepreneurship: Definitions, Drivers and Challenges“ Social Entrepreneurship and Social Business, 2021, გვ. 31-48;

136 „...It operates by providing goods and services for the market in an entrepreneurial and innovative fashion“, European Commission, 682 final, „Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Social Business Initiative Creating a Favourable Climate for Social

მეწარმეები დღის წესრიგში მდგარი სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ახალი, ინოვაციური გზებით უნდა გვთავაზობდნენ.¹³⁷ თავის მხრივ, სოციალური ინოვაცია დახასიათებულია როგორც არა მხოლოდ აღმოჩენებისა და სიახლეების ბაზაზე დაწყებული პრაქტიკა¹³⁸ არამედ შესაძლებლობა, შექმნა საზოგადო სიკეთე იმ სფეროში, რომელშიც ამ შედეგის მიღწევა ამ დღემდე ვერც ერთმა სხვა აქტორმა ვერ მოახერხა. ამოსავალი წერტილი მოცემულისა არის იდეა, რომ კერძო სექტორი საუკეთესო საშუალებაა სოციალურ პრობლემებთან ბრძოლის პროცესში სახელმწიფო (საჯარო სექტორის) ძალისხმევის გასაძლიერებლად (და არა ჩასანაცვლებლად).¹³⁹

თეორიაში გამოიყოფა სამი ტიპის სოციალურ ინოვაცია:¹⁴⁰ ინსტიტუციური ინოვაცია, რაც გულისხმობს სიახლის კომპონენტის არსებობას პროდუქტის ან მომსახურების ტიპში, შემავსებელი ინოვაცია (incremental innovation), რაც გულისხმობს უკვე მზა პროდუქტისა და სერვისების არსებულზე უფრო ოპტიმალური ფორმით მიწოდებას და გამრღვევი ინოვაცია (disruptive innovation), რაც გულისხმობს არსებული სოციალური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ინოვაციურად დანახვას.¹⁴¹ შესაბამისად, სოციალური ინოვაცია შესაძლებელია გამოვლინდეს საწარმოს ორგანიზაციული მოდელის მოწყობის ან საქმიანობის პროცესში და გამოიხატებოდეს მომხმარებელთათვის აქამდე უცნობი ტიპის პროდუქტის/მომსახურების შეთავაზებაში, ასევე სოციალური პრობლემის და მათი გადაწყვეტის გზების ახლებურად დანახვაში. თუმცა, სადავოა რამდენად შესაძლებელია მოცემული კრიტერიუმი გახდეს სოციალური საწარმოს დეფინიციის ნორმატიული ნაწილი. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მნიშვნელოვანი სოციალური მიზნების მქონე ბევრ აქტორსაც შეიძლება გაუჭირდეს ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება. ამასთანავე, საჭირო გახდება სოციალური ინოვაციის ობიექტური მახასიათებლების ნორმატიული განსაზღვრა და შემფასებელი ორგანოს ფორმირება, რომელიც ამ კრიტერიუმის არსებობა/არარსებობას დაადასტურებს, ეს კი სერიოზულ პრაქტიკულ და თეორიულ კვლევასა და გამოცდილების დაგროვებას საჭიროებს.

6.4 სოციალურ საწარმოთა განსხვავება სხვა მსგავსი სუბიექტებისგან

სოციალურ საწარმოთა ცნებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოხდეს სოციალური მეწარმეობის განსხვავება მასთან მიმსგავსებული კატეგორიებისგან. მოცემული თავის მხრივ ნათელს გახდის, თუ რატომ განიხილება სოციალური მეწარმეობა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და სამეწარმეო საქმიანობისგან დამოუკიდებლად და რა კონკრეტული საჭიროებები არსებობს ამ სფეროს განვითარებისთვის.

ძირითადი განსხვავება სოციალურ მეწარმეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს/საქველმოქმედო ორგანიზაციებს შორის არის ის, რომ არასამთავრობო

Enterprises, Key Stakeholders in The Social Economy and Innovation” <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0682&from=en>

137 Petrella F., Richez-Battesti N., “Social entrepreneur, social entrepreneurship and social enterprise: semantics and controversies”, Journal of Innovation Economics & Management, vol. 14, no. 2, 2014, გვ. 143-156, <https://www.cairn.info/revue-journal-of-innovation-economics-2014-2-page-143.html>

138 “is not only a descriptor for a set of practices but an emerging phenomenon, a theoretical construct and an on-going field of research within a world of social transformation”, World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

139Lecy J. D., Van Slyke D. M., “Nonprofit sector growth and density: testing theories of government support”, Journal of Public Administration Research and Theory, vol. 23, No. 1, 2013, გვ. 189-214, https://www.researchgate.net/publication/247777877_Nonprofit_Sector_Growth_and_Density_Testing_Theories_of_Government_Support

140 Nicholls A., “Fair Trade: Towards an Economics of Virtue”, Journal of Business Ethics, vol. 92, no. 0, 2010, გვ. 241-255.

141 Benjamin H., Nicholls A., “Social Entrepreneurship: Definitions, Drivers and Challenges” Social Entrepreneurship and Social Business, 2021, გვ. 31-48;

ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებენ ეკონომიკური საქმიანობის კრიტერიუმს, მათი ფინანსური შემოსავლები ძირითადად მხოლოდ გრანტებისა და დონაციის საფუძველზე იქმნება. თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მას მხოლოდ დამატებითი ხასიათი აქვს.¹⁴² რაც შეეხება სოციალურ საწარმოებს, მათთვის გრანტებისა და ქველმოქმედების შედეგად შემოსული ფინანსური რესურსია დამატებითი წყარო, რომელიც აუცილებელი სამეწარმეო საქმიანობის პარალელურად არსებობს.¹⁴³ ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის აკრძალულია ეკონომიკური მოგების წევრებს/დამფუძნებლებს/მმართველ პირებს შორის გადანაწილება, რაც ხშირ შემთხვევაში, სოციალური საწარმოებისთვის შეზღუდული ფარგლებით პრობლემას არ წარმოადგენს. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით სოციალური საწარმოები საჭიროებენ უფრო რბილ და თავისუფალ რეგულაციურ ჩარჩოს, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციები.¹⁴⁴

ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული საწარმოსგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური, საიდანაც სოციალური მიზანი ეკონომიკურ მიზანზე უპირატესია.¹⁴⁵ პირველ შემთხვევაში საწარმოების მმართველობითი სტრუქტურა ემსახურება სისტემის შექმნას, რომელიც მოგების მაქსიმიზაციას უზრუნველყოფს და მართვის მთავარი სადავეებიც ინვესტირების, მეწილეებისა თუ მენეჯერების ხელშია. ამის საპირისპიროდ, სოციალური საწარმოები ფიქრობენ სოციალური შედეგების მაჩვენებელზე და ირჩევენ ინკლუზიური მართვის ფორმას.¹⁴⁶ იმ პირობებში, როდესაც საწარმოებისთვის არ არის შეზღუდული მოგების განკარგვა, სოციალური საწარმოები ექვემდებარებიან შეზღუდვებსა და მკაცრ მოთხოვნებს, რომლებიც მოგების გადანაწილების წესების შემუშავებისას განსაზღვრულობის პრინციპის დაცვას გულისხმობს.¹⁴⁷ განსხვავებულია საწარმოთა და სოციალურ საწარმოთა მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ასევე მათზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების ხარისხიც.¹⁴⁸ მოცემული, თავის მხრივ გულისხმობს იმასაც, რომ შეიძლება არსებობდეს სოციალურ საწარმოთა რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან სანქცირების იმგვარი პირობები, რომლებიც მიუღებელია მეწარმე სუბიექტთა საქმიანობის საკითხის გადაწყვეტის დროს. ამის საპირისპიროდ, შეიძლება უპრიანი იყოს სოციალური საწარმოებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით პრივილეგიების მინიჭება საგადასახადო, საჯარო შესყიდვების, გრანტების გაცემის ან რეგისტრირება/დამფუძნების დროს, თუნდაც მოცემული არ იყოს გათვალისწინებული მეწარმე სუბიექტებისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური მეწარმეობის სფეროს მიჯნავენ - სოციალური მომსახურების სფეროსა თუ სოციალური აქტივიზმისგან, განმასხვავებელ ნიშნად სწორედ სოციალური ინოვაციის კრიტერიუმი გამოიყენება.¹⁴⁹ მაგალითად, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სოციალური მომსახურების სფერო სოციალური

142 მხეიძე ი., „საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევები“, სამაგიდე კვლევა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2017, გვ.12,

https://asb.ge/sites/default/files/sakartveloshi_socialuri_mecarmeobis_arsebuli_praktikebi_da_gamocvevebi.pdf

143 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

144 მხეიძე ი., „საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევები“, სამაგიდე კვლევა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2017, გვ.12-

13, https://asb.ge/sites/default/files/sakartveloshi_socialuri_mecarmeobis_arsebuli_praktikebi_da_gamocvevebi.pdf

145 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

146 მხეიძე ი., „საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული პრაქტიკები და გამოწვევები“, სამაგიდე კვლევა, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2017, გვ.12-13,

https://asb.ge/sites/default/files/sakartveloshi_socialuri_mecarmeobis_arsebuli_praktikebi_da_gamocvevebi.pdf

147 კანონპროექტის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460>

148 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

149 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

მეწარმეობის სფეროსგან განსხვავებით „საკუთარი საზღვრების ფარგლებს ვერასდროს ცდება.“¹⁵⁰ სოციალური მომსახურების სფეროში არ არსებობს კონკრეტული შედეგი, რომლის მიღწევის შემდეგაც პრობლემა გვარდება. თუ მაგალითად ორგანიზაცია ამა თუ იმ სოციალური ტიპის მომსახურებას ეწევა მაგრამ პროცესში არაფერია ინოვაციური, ანუ შედეგია მხოლოდ ის, რომ ადრესატები მსგავს მომსახურებას იღებენ, მაგრამ არ გვარდება რაიმე ტიპის სოციალური პრობლემა (მაგალითად საჭიროების მქონე ადრესატთა რიცხვი არ შემცირდება) მაშინ შეიძლება საქმე გვქონდეს არა სოციალურ საწარმოსთან, არამედ სოციალურ მომსახურებასთან.

საბოლოო ჯამში, ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული კატეგორიებია, თუმცა მათ შორის არსებული განსხვავებები მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური მეწარმეობა ცალკე, დამოუკიდებელი სფეროა და შესაბამისად ახლებურად გააზრებას, სამართლებრივი მოწესრიგებისა და მხარდაჭერის სპეციალური ჩარჩოს შემუშავებას საჭიროებს.

7 სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარება

7.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სამართლებრივი აღიარება მიიღწევა სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო რეგულირებით.¹⁵¹ რეგულაცია პირველ რიგში უნდა ემსახუროდეს სოციალური მეწარმეობისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი კატეგორიების ლეგალური დეფინიციის განსაზღვრას.¹⁵² ამის გარდა, სფეროს რეგულირება ქმნის სოციალური საწარმოებისთვის ფართო ეკონომიკურ ბაზარზე გასვლის, ბიუროკრატიაგან და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დონეზე მათი მნიშვნელობის აღქმადობის გაზრდის, მათი მონიტორინგისა და ზედამხედველობის ბალანსირებული სისტემის დანერგვის საფუძველს.

ქვეყნების მიხედვით განიჩევა სფეროს საკანონმდებლო რეგულირების სხვადასხვა სტრატეგიები. მათ შორის: „მესამე სექტორის“ წარმომადგენლებზე მოქმედი სოციალური ეკონომიკის შესახებ ჩარჩო კანონის მიღება, რომელიც სხვა კატეგორიებთან ერთად მოიცავს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ალტერნატიულად, შესაძლებელია კანონი ეხებოდეს მხოლოდ სოციალურ მეწარმეობას. შესაძლებელია საკითხი მოწესრიგდეს უკვე მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანის გზით. მაგალითად, სამოქალაქო ან სამეწარმეო სფეროს მომწესრიგებელ კოდექსში სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული ნორმების გაჩენის გზით. ასევე, სპეციალურ კანონებში კანონის მიზნიდან გამომდინარე სოციალური მეწარმეობის ცნების დაკონკრეტების შედეგად.

არსებობს საკანონმდებლო გზით საკითხის მოწესრიგებაზე უარის თქმის პრაქტიკა, რა დროსაც სფეროს აღიარება უზრუნველყოფილია მხოლოდ პოლიტიკური დოკუმენტების მიღების გზით და მათ საფუძველზე წარმართული პრაქტიკული საქმიანობით. მოცემული უმეტესწილად მუშაობს ქვეყნებში, სადაც სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მექანიზმები პრაქტიკაში უკვე დანერგილია და მეტ-ნაკლებად წარმატებულად მუშაობს. საკანონმდებლო მოწესრიგების

150 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11,

<https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

151 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

152 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

საწინააღმდეგო არგუმენტები ძირითადად უკავშირდება სისტემის ბიუროკრატიზებისგან, საქმიანობის, სამართლებრივი ფორმების ან ანგარიშვალდებულების ნაწილში არათანაზომიერად შეზღუდვისგან დაცვას.

საკანონმდებლო აღიარება პოზიტიურ გავლენას ახდენს სექტორის ცნობადობასა და რეპუტაციაზე.¹⁵³

იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო, ფინანსური სახსრების განკარგვისას უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, სამართლებრივი აღიარება სახელმწიფოს მხრიდან სფეროს ფინანსური მხარდაჭერის ლეგიტიმაციის გზაა.¹⁵⁴ ეს იძლევა შესაძლებლობას სოციალური მეწარმეობის სფერო და მისი მხარდაჭერის პოლიტიკა დაექვემდებაროს კანონიერებისა და განსაზღვრადობის პრინციპს და დაცული იყოს ბალანსი სფეროს იმპერატიულ და მოქნილ რეგულაციურ რეჟიმს შორის.

სოციალურ საწარმოებზე მორგებული კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაში სოციალური საწარმოები შეძლებენ განცალკევდნენ ბიზნესისა და არაკომერციული სფეროს სხვა წარმომადგენლებისგან ისე, რომ შეინარჩუნონ მათთვის გათვალისწინებული ყველა კანონისმიერი უფლება და შეიძინონ დამატებითი უფლებები.¹⁵⁵

საკანონმდებლო მოწესრიგების ფორმათაგან თითოეულს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე, რაც, როგორც წესი, განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის კონტექსტით. უდავოა, რომ აუცილებელია საკანონმდებლო წესით სოციალური მეწარმეობის დეფინიციის დამკვიდრება, თუმცა, დეფინიცია უნდა მოემსახუროს სოციალურ მეწარმედ პირის კვალიფიცირებისთვის საჭირო ზოგადი კრიტერიუმების დადგენას თუმცა არ გამოიწვიოს სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სფეროების შეზღუდვა, ასევე მათთვის იმგვარ ვალდებულებათა დაკისრება, რომლებიც პრაქტიკაში ვერ შესრულდება. მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ დაიცვას სოციალური მიზნების რეალური აღსრულების ინტერესი, თუმცა სოციალურ საწარმოებს მისცეს ბიზნესის თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით საქმიანობის საშუალება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონმდებლობამ უზრუნველყოს სახელმწიფოს მხრიდან სფეროს მხარდაჭერის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია.

მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი სახით არსებული საკანონმდებლო ჩარჩო უნდა ფარავდეს სოციალური მეწარმეობის ცნებას, კრიტერიუმებს, რეგისტრირების ან სერტიფიცირების საკითხს, სამოქმედო სფეროთა ჩამონათვალს, სოციალური მეწარმეობის სტატუსთან დაკავშირებულ პრივილეგიებს, ინფორმაციას სოციალურ საწარმოთა შესაძლო ორგანიზაციული ფორმაზე, მათ ვალდებულებებს შიდა მმართველობისა და საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვასთან დაკავშირებით. თუმცა იმისთვის, რომ კანონმა პრაქტიკაში იმოქმედოს, აუცილებელია სოციალურ საწარმოდ აღიარება არ იყოს დაკავშირებული ბიუროკრატია და მაღალ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ასევე იმ მოცულობის პასუხისმგებლობასთან, რომელსაც სოციალური საწარმოები პრაქტიკულად ვერ აიღებენ.

153 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.11, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

154 Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization(ILO), 2015, გვ.5, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_emp/---emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

155 იქვე

7.2 სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობა

აღიარების ეს ფორმა სახელმწიფოს მხრიდან გატარებული „რბილი“ ღონისძიებების („Soft policies“) კატეგორიაში შედის და გულისხმობს სოციალური ეკონომიკის იურიდიული აღიარების უზრუნველყოფას.¹⁵⁶ რეალობაში, რომელშიც სოციალური მეწარმეობა სამართლებრივად არის აღიარებული მომხმარებელთა და სახელმწიფოს ნდობა სოციალური მეწარმეობის შედეგად შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების მიმართ განსაკუთრებით მაღალია.¹⁵⁷ ბუნებრივია, აღიარების ერთი ფორმა არ გამორიცხავს მეორეს. უფრო მეტიც, სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმთა შემუშავებისა და განხორციელების პროცესის სრულსაყოფად ხშირ შემთხვევაში საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს სფეროს საკანონმდებლო, პოლიტიკური და ფინანსური აღიარება.

სამართლებრივი აღიარების თვალსაზრისით ქვეყნების გამოცდილება ერთმანეთისგან განსხვავებულია. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული რეგულირების სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული ქვეყნის კონტექსტი, განვითარების დონე, სამართლებრივი კულტურა, ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა და სფეროს წარმომადგენელთა კონკრეტული საჭიროებები.

7.3 სფეროს საკანონმდებლო აღიარება

საკანონმდებლო აღიარება გულისხმობს სოციალური მეწარმეობის საკითხის ნორმატიული აქტით მოწესრიგებას.¹⁵⁸ ევროპაში სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონმდებლობა გამოჩნდა წინა საუკუნის 90-იან წლებში, რის საწყისადაც ითვლება 1995 წელს იტალიის სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონის შემოღება.¹⁵⁹ დღესდღეობით სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა აქვს ევროკავშირის 16 ქვეყანას, ხოლო 11-მდე ქვეყანაში შექმნილია შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტები.¹⁶⁰ ბუნებრივია, თითოეულს განსხვავებული და ინდივიდუალური ფორმით.¹⁶¹ შესაბამისად, არსებობს საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების უამრავი ვარიანტი. ამ ნიშნით განირჩევა შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობის შინაარსი არის ფართო და ეხება სოციალური ეკონომიკის მთლიან სფეროს, ან ორიენტირდება მხოლოდ სოციალურ მეწარმეობაზე. განსხვავებულია შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ირჩევს საკითხის ცალკე ჩარჩო კანონით¹⁶² მოწესრიგების გზას, ან თემატურად უკვე არსებულ სხვადასხვა კანონებში ინტეგრირებას.¹⁶³ კანონი შეიძლება მიზნად ისახავდეს სოციალურ საწარმოთათვის მორგებული ინდივიდუალური

156 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

157 Thirion E., „Fraňková and solidarity- based enterprises, European Added Value Assessment Accompanying the European Parliament's legislative own-initiative report“, European Parliamentary Research Service), 2017, გვ.6,

https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/611030/EPRS_STU%282017%29611030_EN.pdf

158 Borzaga C., „Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.“, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ.56-58 <https://europa.eu/!Qq64ny>

159 Italian Law 1991 (Law No. 381 of 1991) on social enterprises

160 <https://www.oecd.org/cfe/leed/social-economy/legal-frameworks.htm>, Fici A., „European Statute for Social and Solidarity-Based Enterprise“, Policy Department for Citizens' Rights and Constitutional Affairs, European Parliament, 2017, გვ. 6-18

161 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

162 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

163 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის დამკვიდრებას¹⁶⁴ ან ითხოვდეს სოციალურ საწარმოთა მხრიდან უკვე არსებული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებიდან რომელიმეს არჩევას. შესაძლებელია კანონმდებლობა არ ითვალისწინებდეს ამგვარ მოთხოვნას, არამედ შემოჰქონდეს „სოციალური საწარმოს სტატუსის“ ცნება, რითიც იქმნება სოციალური საწარმოების ნებისმიერი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით ოპერირების საფუძველი.¹⁶⁵ განიჩევა შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა ითხოვს სოციალურ მეწარმეთა რეგისტრირებას, ან არ აწესებს ამგვარ მოთხოვნას. ქვეყანათა გარკვეული ნაწილი კანონით ქმნის სოციალურ საწარმოთათვის სტატუსის დამდასტურებელი სერტიფიცირებისა და მარკირების გარანტიებს. კანონების გარკვეული ნაწილი ხაზს უსვამს ასევე სოციალურ საწარმოთა საქმიანობის მონიტორინგისა და სოციალური შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის არსებობის აუცილებლობას.¹⁶⁶

ქვეყნები, რომლებშიც არ არსებობს უშუალოდ სოციალურ მეწარმეობაზე გათვლილი კანონმდებლობა (მათ შორის ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ჰოლანდია და შვედეთი) მოცემულს უკავშირებენ სხვადასხვა მიზეზებს. მაგალითად გერმანიის განმარტებით, ქვეყანაში პრაქტიკულად უკვე არსებობს საზოგადოებრივად სასარგებლო და კომერციული საქმიანობით დაკავებული საწარმოებისთვის საშელავათო/ხელშემწყობ სისტემათა ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული მექანიზმები, რაც დამატებით საკითხის კანონმდებლობით მოწესრიგებას აღარ საჭიროებს. ავსტრიის შემთხვევაში არ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, ღირს თუ არა სოციალური საწარმოების ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მოდელების ერთიანი კანონმდებლობის ფარგლებში გაერთიანება. ჰოლანდიაში საკითხი სხვა პერსპექტივიდანაა დანახული. მათი პოზიციის მიხედვით ხელი უნდა შეეწყოს სოციალური მეწარმეობას როგორც კონცეფციას და არა „სოციალურ საწარმოებს“ როგორც კანონის თანახმად დაფუძნებულ, კონკრეტული ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტებს, რაც შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გზით ისედაც მიღწევადია, შესაბამისად, სოციალური მეწარმეობის სფერო საკანონმდებლო რეგულირებისგან თავისუფალია ფორმისა და შინაარსის ნიშნით.¹⁶⁷

ამგვარ ქვეყნებში საკანონმდებლო რეგულირების, ასევე ამგვარ რეგულირებაზე უარის თქმის შედეგებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წესი ქვეყნებში, სადაც არ არსებობს სოციალური საწარმოების ლეგალური განმარტება და სფეროს აღქმადობის მაღალი ხარისხი, იქმნება კანონის გზით საკითხის რეგულირების (იგულისხმება სპეციალური კანონის მიღება ან არსებული კანონის ცვლილება/ადაპტირება) საჭიროება. ამ პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ დეფინიცია მორგებული უნდა იყოს სოციალურ საწარმოთა დე ფაქტო მდგომარეობას, არ უნდა იყოს ზედმეტად ვიწრო, რათა არ მოხდეს კონკრეტული ტიპისა და საქმიანობის სოციალურ საწარმოთა

164Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019,

<https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

165Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019,

<https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

166მაგალითისთვის, ევროკავშირის წევრ ქვეყანათაგან სოციალური მეწარმეობის საკითხის რეგულირების მიზნით ჩარჩო კანონის მიღებისა და უკვე არსებული კანონმდებლობის (ძირითადად სოციალურ კოოპერატივებთან და არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობის) განახლების გზას მიმართა საფრანგეთმა, ჩეხეთმა, უნგრეთმა, იტალიამ, პოლონეთმა, საბერძნეთმა, პორტუგალიამ და ესპანეთმა. სამეწარმეო სფეროს კანონმდებლობა განახლდა ბრიტანეთსა და ლატვიაში. იმ ქვეყანათა რიგებში რომლებმაც დამკვიდრეს სოციალურ საწარმოთა „სტატუსი“, არის იტალია, დანია და სლოვენია. ცალკე აკრედიტაციის სქემა, რომელიც შრომითი ინტეგრაციის მიზნით არსებულ სოციალურ საწარმოებს მიემართება შემოიღეს ავსტრიაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, გერმანიაში, პოლინეთში, რუმინეთში, სლოვენიაში და ესპანეთში. რეგიონალურ დონეზე მსგავსი მოწესრიგება არსებობს ბელგიაში. მოწესრიგების თანამედროვე ტრენდად ითვლება სოციალური საწარმოსთვის დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭება უფრო ფართო სისტემაში მისი ჩართვის მიზნით. კერძოდ, სოციალურ საწარმოთა სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის, „მესამე სექტორის“ ნაწილად წარმოდგენა. ამის მაგალითია ბულგარეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ლუქსემბურგი, რუმინეთი და სლოვაკეთი. Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini., “Social enterprises and their ecosystems in Europe” Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 53-56 <https://europa.eu/IQq64ny>

167Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini., “Social enterprises and their ecosystems in Europe” Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 53-56 <https://europa.eu/IQq64ny>

არათანაზომიერ მდგომარეობაში ჩაყენება, ასევე სასურველია დეფინიცია იყოს მოქნილი და იძლეოდეს ინტერპრეტირების ლოგიკურ საშუალებას, მიყვებოდეს სოციალურ საწარმოთა განვითარებას.¹⁶⁸

თუ ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე არ იკვეთება სოციალურ საწარმოთა აღიარების პრობლემა, მაღალია თვითაღიარების დონე, სოციალური საწარმოს ცნებისა და სტატუსის საკითხი სრულფასოვნად არის დამუშავებული დოქტრინის საფუძველზე და თემა საკმაოდ ნაცნობია საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის და სამეწარმეო სფეროს წარმომადგენლობისთვის, ასევე, თუ ქვეყანა ვერ ხედავს სოციალურ საწარმოთა სავარაუდო მოქმედების სფეროს საკანონმდებლო წესით განსაზღვრის აუცილებლობას და კანონმდებლობის მიღების ერთადერთი მიზანი ფინანსური და პოლიტიკური ხელშეწყობის მოპოვებაა, მაშინ შეიძლება საკითხის უფრო მარტივად გადაწყვეტა. კერძოდ, კანონის მაგივრად პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები სოციალური საწარმოებისთვის ზედმეტი ვალდებულებების დაკისრების გარეშე გაიწერება.¹⁶⁹ შესაბამისად, კონკრეტული ქვეყნისთვის სწორი მარეგულირებელი სისტემის შერჩევა უამრავ ინდივიდუალურ ფაქტორზეა დამოკიდებული.¹⁷⁰

ამის გათვალისწინებით, მანამ, სანამ მიიღება გადაწყვეტილება საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების თაობაზე, მოცემულს, როგორც წესი, წინ უსწრებს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო გარემოს შეფასება და იმის დადგენა, თუ რა სტანდარტით არის დაკმაყოფილებული სფეროს საჭიროებები არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე, რა აუცილებელი საკითხებია მოსაწესრიგებელი ცვლილებების ხარჯზე. საკანონმდებლო გარემოს შეფასებისას პირველ რიგში უნდა შეფასდეს მისაღები/სავარაუდო რეგულაციის ზეგავლენის ხარისხი დაინტერესებულ პირებსა და მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე¹⁷¹, ასევე ახალი რეგულაციების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები სტანდარტული ხარჯის მოდელის გათვალისწინებით.¹⁷² მიღებული შედეგების გამოქვეყნების შემდგომ უპრიანია პროცესში საკონსულტაციო მიზნებით სფეროს წარმომადგენელთა და დაინტერესებულ პირთა ჩართვა. კანონმდებლობის მიღებამდე ასევე შეიძლება დაისვას კითხვები:

- არსებული კანონმდებლობით აღიარებულია თუ არა სოციალური მეწარმეობის სფერო?
- კანონმდებლობაში უკვე არსებული სამართლებრივი ფორმები იძლევა თუ არა შესაძლებლობას სოციალური მეწარმეობისთვის შემცირდეს ადმინისტრაციული ხარჯები?
- მეწარმეთა მმართველობასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები ფარავს თუ არა სოციალურ მეწარმეთათვის საჭირო მმართველობითი და ზედამხედველობითი მოდელის ჩამოსაყალიბებლად და აღსასრულებლად მნიშვნელოვან საკითხებს?
- არსებობს სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც მიმართულია საწარმოს შიგნით პროფესიული ძალის გაძლიერებისა და გამჭვირვალობის სტანდარტის განმტკიცებისკენ?

168 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.5, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

169 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.5, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

170 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.4 <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

171 მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა განმარტებით, RIA არის - საჯარო ინსტრუმენტი კონკრეტულ ბიზნეს სექტორზე რეგულაციის მიღების შედეგად დამდგარი ფინანსური ზემოქმედების გამოსათვლელად - „an instrument of public policy analysis for identifying the costs of regulation on certain business sectors“. სწორედ RIA-ს შეფასების მეთოდია სტანდარტული ევროკავშირის და მის შემადგენლობაში მყოფი უმეტესი ქვეყნებისთვის.

172 ეს ხდება SCM-ის მოდელის მიხედვით, რაც გულისხმობს კერძო სექტორზე მიღებული კანონმდებლობის მიერ დაკისრებული ხარჯების დათვლის მექანიზმს. „a measurement methodology of administrative costs imposed by legislation to the private sector.“

- აძლევს თუ არა არსებული საკანონმდებლო სისტემა სოციალურ მეწარმეებს ინვესტიციებსა და სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომას?¹⁷³
თუ ამ კითხვათა უმრავლესობაზე პასუხი უარყოფითია, საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა სახეზეა.

7.3.1 საკანონმდებლო მოწესრიგების სხვადასხვა ფორმათა დადებითი და უარყოფითი მხარეები

წინა თავში ჩამოთვლილი საკანონმდებლო მოწესრიგების ფორმათაგან თითოეულს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე, რაც, როგორც წესი, განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის კონტექსტით. სოციალური მეწარმეობის ერთიანი და უნივერსალური დეფინიციის დამკვიდრება კანონის შემუშავების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, თუმცა, დეფინიცია უნდა მოემსახუროს სოციალურ მეწარმედ პირის კვალიფიცირებისთვის საჭირო ზოგადი კრიტერიუმების დადგენას, მმართველობითი, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების ხაზგასმას, თუმცა არ გამოიწვიოს სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სფეროების შეზღუდვა, ასევე მათთვის იმგვარ ვალდებულებათა დაკისრება, რომლებიც პრაქტიკაში ვერ შესრულდება. მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ დაიცვას სოციალური მიზნების რეალური აღსრულების ინტერესი, თუმცა სოციალურ საწარმოებს მისცეს ბიზნესის თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით საქმიანობის საშუალება.

საკანონმდებლო მოწესრიგებამ არ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები ქვეყნებში, სადაც ეს უკანასკნელი არ მოემსახურა სოციალურ საწარმოთა დაფუძნების პროცედურების გამარტივებას, მათთვის ფისკალური ბარიერების გაუქმებასა და თავისუფალი და ფართო სამოქმედო არეალის შექმნას. სოციალურ საწარმოთა ერთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოქცევის მცდელობამ გამოიწვია დე-ფაქტო და დე-იურე ფორმით სოციალურ საწარმოთა არსებობა და მათ მიმართ განსხვავებული მიდგომის ჩამოყალიბება, რამაც ხელი შეუწყო ხელშეწყობის შერჩევითი მეთოდების დამკვიდრებას და სოციალურ საწარმოთა სამომავლო პროგრესის შეჩერებას.¹⁷⁴ სოციალურ მეწარმეთათვის სპეციალური ფორმების არსებობამ გაართულა მათი საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, რაც გამოწვეული იყო თითოეულ ქვეყანაში განსხვავებულ პირობებთან მორგების საჭიროებით. მეორე მხრივ, ქვეყნებში, რომლის კანონმდებლობაც არ აკეთებდა მითითებას სოციალური საწარმოებისთვის შესაბამის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, სოციალური საწარმოების უმრავლესობა შემორჩა როგორც ასოციაცია ან ფონდი (არაკომერციული არასამეწარმეო ტიპის ორგანიზაცია).¹⁷⁵ ამგვარი სოციალური საწარმოები გადააწყდნენ ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება სოციალური საწარმოს საქმიანობის ბუნებას. ამ პრობლემის გადალახვის მიზნით, ხშირია ასოციაციების მიერ დაქვემდებარებული კომპანიების დაფუძნების შემთხვევები, რათა მოხდეს ეკონომიკურ საქმიანობაში უფრო აქტიური ჩართვა. მოცემული ართულებს წმინდა სოციალური მიზნებით მოქმედი ორგანიზაციებისა და ეკონომიკური და სოციალური მიზნების ერთობლივად განმახორციელებელი საწარმოების ერთმანეთისგან განსხვავებას. რთულდება თითოეულისთვის შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ფინანსური მოთხოვნების სწორად შერჩევა, შესაბამისად, მოქმედი, უნივერსალური ხასიათის საგადასახადო მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა, ეკონომიკური სარგებლის განკარგვასთან დაკავშირებული რეგულაციების კონტროლი და აღსრულება, რაც საბოლოო ჯამში, სოციალური მიზნით მოქმედი კომპანიების ჯეროვან და განგრძობად საქმიანობას უშლის ხელს. ეს უარყოფითად აისახება სფეროს წარმომადგენელი

¹⁷³Deolinda M., Ramos M., Social entrepreneurship: legislative contributions, Revista Electrónica de Direito, 2019, გვ. 135-162

¹⁷⁴Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini., "Social enterprises and their ecosystems in Europe" Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 54 <https://europa.eu/IQq64ny>

¹⁷⁵მათ რიგებს მიეკუთვნება საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, გერმანია, პოლანდია და თურქეთი.

ნებისმიერი სუბიექტის რეპუტაციასა და მათ მიმართ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ნდობის ხარისხზე.¹⁷⁶ ოპტიმალურ გამოსავლად ჩაითვალა შემთხვევა, როდესაც უარი ითქვა სოციალურ საწარმოთა დავალებულებზე დაფუძნებულიყვნენ კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მაგრამ კანონმდებლობამ გაითვალისწინა განსხვავებული ვალდებულებები არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის.

რაც შეეხება არჩევანს სპეციალურ საკანონმდებლო მოწესრიგებასა და ამგვარზე უარის თქმას შორის, საკითხი უნდა გადაწყდეს უკვე არსებული მართლწესრიგის შეფასების შემდგომ. პორტუგალიაში, სადაც ასევე არ არსებობს სოციალური მეწარმეობის მომწესრიგებელი სპეციალური რეგულაცია, ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა იმის შეფასებას, თუ რამდენად ეწყობა ხელი სოციალური მეწარმეობის საარსებო გარემოს სპეციალურად მათზე მოქმედი კანონმდებლობის არარსებობის პირობებში.¹⁷⁷ კვლევის ფარგლებში მიმოიხილეს სოციალური ეკონომიკის შესახებ პორტუგალიის ჩარჩო კანონი, ასევე კოოპერატივებთან და სოციალური სოლიდარობის კერძო ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები და რეგულაციები,¹⁷⁸ რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდებოდა სოციალური მეწარმეობის სფეროს.¹⁷⁹ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებული კანონები სოციალური ეკონომიკის ფინანსური მხარდაჭერისა და ინვესტიციებზე წვდომის გაადვილებისთვის უკვე ითვალისწინებენ გარკვეულ მექანიზმებს, თუმცა მათ განსავითარებლად საჭირო იყო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. მაგალითად, მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყო ე.წ. სოციალური საწარმოს „ინვესტორი წევრის“ ცნება,¹⁸⁰ რაც ემსახურებოდა სოციალურ ეკონომიკაში კერძო ინვესტორების ჩართვის წახალისებას. კვლევის მიხედვით, არსებული მართლწესრიგი ასევე იძლეოდა ჯერ კიდევ 2011 წელს, ევროპის კომისიის მიერ შემუშავებული ფინანსირების ერთ-ერთი - ე.წ. Social Impact Bonds — SIB¹⁸¹ მოდელის დანერგვის შესაძლებლობასაც. (მოდელის ვიზუალური სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყურება:¹⁸²

176Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini., “Social enterprises and their ecosystems in Europe” Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 53-56 <https://europa.eu/!Qq64ny>

177Deolinda M., Ramos M., Social entrepreneurship: legislative contributions, Revista Electrónica de Direito, 2019, გვ. 135-162


178 Cooperatives and Private Institutions of Social Solidarity (hereinafter IPSS).

179Deolinda M., Ramos M., Social entrepreneurship: legislative contributions, Revista Electrónica de Direito, 2019, გვ. 135-162

180ინვესტორი წევრი არის პირი, რომელიც კოოპერატივის წევრობის სანაცვლოდ გამოყოფს ინვესტიციებს, თუმცა მას არ აქვს კოოპერატივის ტრანზაქციებში მონაწილეობის უფლება და უწესდება ლიმიტი, ინვესტიციის ოდენობასთან დაკავშირებით. კანონის მიხედვით ინვესტორი წევრის მიღების პროცედურები წესდებით წინასწარ არის გაწერილი და დირექტორთა საბჭოსთვის კანდიდატის წარდგენისა და მოწონების შემდეგ საჭიროებს კრების თანხმობას. ინვესტორი მონაწილის ხმის უფლება არ უნდა აღემატებოდეს სხვა წევრთა ხმის უფლების 10%-ს, ასევე ინვესტორ წევრთა ხმების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჯამური ხმების უფლების 30%-ს.180

181ტრადიციული ფინანსირების მოდელისგან განსხვავებით SIB-ის მოდელი ფინანსური მხარდაჭერის გაცემას უკავშირებს არა საწარმოს საქმიანობას, არამედ საქმიანობის ფაქტობრივ შედეგებს.181 ის ერთმანეთთან აკავშირებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს და ქმნის ფინანსური მხარდაჭერის ჰიბრიდულ მოდელს. მოდელის მიხედვით ინვესტორები აფინანსებენ სოციალური საწარმოების ამა თუ იმ მიზანს, ხოლო სახელმწიფო ინვესტორებს ამ თანხას უბრუნებს (შესაბამისი სარგებლით ან მის გარეშე) საწარმოს მიერ მიზნის რეალურად მიღწევის შემთხვევაში. Understanding Social Impact Bonds, OECD working paper, გვ.3-5, <https://www.oecd.org/cfe/leed/UnderstandingSIBsLux-WorkingPaper.pdf>

182ხელმისაწვდომია: <https://socialfinance.org/social-impact-bonds/>



თუმცა ზემოხსენებულის პრაქტიკაში განსახორციელებლად პოზიტიური საინვესტიციო გარემოსა და ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის გარდა, აუცილებელი იყო სოციალური საწარმოების სტატუსის ნორმატიულად განმტკიცება, ასევე, მათი სავარაუდო სამოქმედო სფეროებისა და სოციალური მიზნების ჩამოთვლა, რომლებიც შეიძლება დაფინანსების მსგავსი სისტემის ნაწილი გამხდარიყო. კვლევაში ყურადღება გამახვილდა კოოპერატივთა საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხზე.¹⁸³ ჩაითვალა, რომ სპეციალური კანონმდებლობის არარსებობის პირობებში არ არის უზრუნველყოფილი სოციალურ საწარმოთა საქმიანობის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კონტროლი. ბევრი ინსტრუმენტი, რომელიც აწესრიგებს მეწარმეთა საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხებს არ ერგება სოციალურ საწარმოებს, რადგან ამ ნიშნით სტანდარტი განსხვავებულია.¹⁸⁴ ზემოხსენებული ქმნის საჭიროებას შეიქმნას მექანიზმები, რომელთა დახმარებითაც სოციალურ საწარმოებში გაკონტროლდება სოციალური მიზნების შესაბამისად მოქმედების შედეგები, მოცემულზე ინფორმაცია პროაქტიულად მიეწოდება საზოგადოებასა და ინვესტორებს, ასევე გაკონტროლდება ფინანსური ტრანზაქციების შესაბამისობა საქმიანობის მიზანთან, თუმცა კომერციული საიდუმლოების ინტერესის გათვალისწინებით. კვლევის მიხედვით იმისთვის რომ ეს მოხდეს, სოციალურ-ეკონომიკურ წარმონაქმნს ან ფინანსურ კონტროლზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ/სახელმწიფო ორგანოს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის წარმოებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.¹⁸⁵ ეს გამოიწვევს სოციალური ეკონომიკის წარმომადგენელთა მიმართ ნდობის ამაღლებას (როგორც კერძო თუ საჯარო სექტორის).

183 Hopt K., "The board of nonprofit organizations: some corporate governance thoughts from Europe", ECGI, Law Working Paper, 2009, გვ.17

184 Thomsen S., "Comparative corporate governance of non-profit organizations", European Company and Financial Law Review, Vol. 11, n. 1, 2014, გვ. 15-30

185 Deolinda M., Ramos M., Social entrepreneurship: legislative contributions, Revista Electrónica de Direito, 2019, გვ. 135-162

საბოლოოდ ჩაითვალა, რომ სოციალურ ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი კანონმდებლობის არსებობის პირობებშიც, რიგ საკითხთა მოგვარების ან გაუმჯობესების მიზნით ოპტიმალურია უშუალოდ სოციალურ მეწარმეობაზე ორიენტირებული რეგულაციების შემუშავება.

7.3.2 სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გარემოს მიმოხილვა რუმინეთის, იტალიის, ბულგარეთისა და დანიის მაგალითზე

იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგების შედეგები, ასევე, ამა თუ იმ ტიპის რეგულირების სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები, უპრიანია კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე რამდენიმე სამართლებრივი სისტემის/კანონის მოკლედ მიმოხილვა.

რუმინეთი

რუმინეთში, 2015 წელს, სოციალური მეწარმეობისა და ეკონომიკის სფეროს აღიარების მიზნით მიიღეს კანონი სოციალური ეკონომიკის შესახებ (The Law of Social Economy No. 219). კანონის მიღების უპირველესი მიზანი იყო სოციალური ეკონომიკის სფეროს მოწესრიგება, ამ სექტორის ხელშემწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავება და საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სოციალური საწარმოების ლიცენზირების პირობების დადგენა. შედეგად, კანონმა შემოიღო "სოციალურ ეკონომიკის", "სოციალური საწარმოსა" და „შრომითი ინტეგრაციის სფეროს წარმომადგენელი სოციალურ საწარმოს" ლეგალური დეფინიცია. კანონი საფუძვლად დაედო ასევე ამ სექტორზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოთა შექმნას, რომელთაც დაეკისრათ კანონიდან გამომდინარე კონკრეტული ფუნქციები (მათ შორის სოციალური ეკონომიკის ეროვნული კომისია, შრომის სამინისტროს სოციალური ეკონომიკის დეპარტამენტი, დასაქმების ეროვნულ სააგენტოს სოციალური ეკონომიკის დეპარტამენტი). ეს მოემსახურა საჯარო-ადმინისტრაციულ დონეზე კონკრეტული პასუხისმგებლობების განსაზღვრასა და გადანაწილებას. ამავე კანონით შეიქმნა სოციალური საწარმოების რეესტრი. კანონის მიღებას თან ახლდა მთავრობის გადაწყვეტილება კანონის აღმასრულებელი მეთოდოლოგიური ნორმების შემუშავების შესახებ (Methodological Norms for applying the Law of Social Economy, Government Decision No. 585/10 August 2016.) სადაც განიმარტა ის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა სოციალურ საწარმოს რეგისტრირებისა და შესაბამისი სერთიფიკატის მიღების მიზნით. ცალკე კრიტერიუმები განისაზღვრა შრომითი ინტეგრაციის სფეროში მოღვაწე სოციალური საწარმოებისთვის, რათა მათ მიეღოთ შესაბამისი სტატუსი და უფლება, საკუთარი წარმოების პროდუქციაზე, სერვისსა თუ დოკუმენტზე დაეტანათ იდენტიფიკაციის აღმნიშვნელი ვიზუალური ელემენტი. ეს მოემსახურებოდა მათი სტატუსის მყისიერ აღქმას ნებისმიერ ორგანოსთან, პირთან თუ დაწესებულებასთან ურთიერთობის ფარგლებში. ამ საკანონმდებლო ღონისძიებამ გახსნა გზა სექტორის მხარდასაჭერი მექანიზმების ასამუშავებლად, რაც შეუძლებელი იქნებოდა ჩარჩო განსაზღვრებების არსებობის გარეშე. მსგავს მექანიზმებს მიეკუთვნება: კანონები სექტორული და საჯარო შესყიდვების მიმართულებით შრომითი ინტეგრაციის სფეროში მოღვაწე სოციალური საწარმოებისთვის შესაბამისი პრივილეგიების მინიჭების შესახებ¹⁸⁶ და კანონი აგრო სფეროში მოღვაწე სოციალური საწარმოებისთვის შესაბამისი პრივილეგიის მინიჭების შესახებ.¹⁸⁷ კანონის მიღებიდან ორი წლის

186 პრივილეგიები გულისხმობს მაგალითად სოციალური დებულებების გათვალისწინებას საჯარო კონტრაქტებში, სოციალურ საწარმოსა და სახელმწიფოს შორის სამომავლო კონტრაქტების წინასწარ შეთანხმების (ე. წ. დაჯავშნილი კონტრაქტები) შესაძლებლობას, საჯარო ხელშეკრულებათა შესრულების ფარგლებში შესაბამისი შრომითი პროგრამების გატარების შესაძლებლობას.

187 რითიც აქტორებს მიენიჭათ უფლება გაეყიდათ პროდუქცია ვარგისიანობის მცირე ვადით, თუ ისინი საქმიანობდნენ სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით.

თავზე, კერძოდ 2017 წელს რუმინეთში დაიწყო პირველი "ოფიციალური" სოციალური საწარმოების რეგისტრაცია და 2018 წლის მონაცემებით რუმინეთში რეგისტრირებული იყო 96 ასეთი საწარმო.¹⁸⁸

იტალია

იტალია ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც სოციალური მეწარმეობის სფეროს ხელშეწყობა საკანონმდებლო ინიციატივებით დაიწყო.¹⁸⁹ დროთა განმავლობაში კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებები,¹⁹⁰ რომლებმაც სოციალურ საწარმოებთან დაკავშირებულ რეგულაციებს საბოლოო და თანამედროვე სახე მისცა, სხვადასხვა სახის საჭიროებით იყო გამოწვეული. იმისთვის, რომ უკეთ იყოს აღქმადი რას გულისხმობდა იტალიაში საკანონმდებლო განვითარება და რა ფორმით განიცადა რეგულაციებმა პროგრესი, უპრიანია სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობაში ცვლილებების ორი ძირითადი პერიოდის (2005-2006 წლის და 2016-2017 წლის ცვლილებები) მიმოხილვა. 2005-2006 წლის რეფორმების მიზანი იყო ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოების სრულად აღიარება (მანამდე სოციალური საწარმოების როლში დე იურე გვევლინებოდნენ სოციალური კოოპერატივები, ხოლო დე ფაქტო სახით ფონდები, ასოციაციები, ა(ა)იპ-ები) და მათი სამოქმედო სფეროს განსაზღვრა. შესაბამისად, ამ პერიოდის რეგულაციების მიხედვით სოციალური საწარმოს აღიარება აღარ იყო დამოკიდებული მის სამართლებრივ-ორგანიზაციულ ფორმაზე. კანონმა დაუშვა სამართლებრივი კატეგორიის - სოციალური საწარმოს - არსებობა და ფორმის ნებაყოფლობითობა, შესაბამისად შესაძლებელი იყო სოციალური საწარმოს სტატუსის მიღება ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ფარგლებში თუ დაკმაყოფილებოდა შემდეგი კრიტერიუმები: საწარმო უნდა ყოფილიყო კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არაერთჯერადად იყო ჩართული სოციალური ღირებულების მქონე სიკეთის შექმნის პროცესში (საქმიანობათა კონკრეტული მიმართულებები ამავე კანონით განისაზღვრა) პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევის გზით და მიზნად ისახავდა არა მოგების მიღებას, არამედ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ზრუნვას. კანონის მიხედვით ორგანიზაცია ჩაითვლებოდა სოციალურ საწარმოდ, თუ მისი შემოსავლების 70% იყო გენერირებული სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე. მოქმედებდა მოგების წევრთა და პარტნიორთა შორის გადანაწილების შეზღუდვა. მოგება სრულად უნდა რეინვესტირებულიყო ძირითადი სოციალური მიზნის მისაღწევად. სოციალური საწარმოები უნდა დარეგისტრირებულიყვნენ მეწარმეთა რეესტრის სოციალური საწარმოების სექციაში (Social Enterprise Section of the Register of Enterprises) რომელსაც სათავეში იტალიის სავაჭრო პალატა ედგა. კანონით განმტკიცდა სოციალური საწარმოების ვალდებულება ფინანსური აღრიცხვისა და სოციალური შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ. ამის გარდა სოციალური საწარმოების ვალდებულებად ითვლებოდა საწარმოს ხელმძღვანელობის პროცესში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დაცვა, როგორც არის გამჭვირვალობა, ღიაობა და დემოკრატიული მმართველობა.

კანონმა გააფართოვა სოციალური საწარმოების საქმიანობის დე იურე სფეროებიც (აქამდე მხოლოდ სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სფერო იყო მოცული) და მათ შორის მოიცვა: ა. ჯანდაცვა ბ. სოციალური ზრუნვა გ. ფორმალური და არაფორმალური განათლება დ. გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საქმიანობა ე. კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, (სოციალური ტურიზმი ვ. კვლევითი და კულტურული საქმიანობის სფერო ზ. ტრენინგები , შრომითი ინტეგრაცია და თავად სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობა.

188 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ. 16, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

189 Borzaga C., „Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.“, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ.28-29 <https://europa.eu/IQ64ny>

190 Law 118/2005 and Legislative Decree 155/2006

მიუხედავად მოცემულისა, ბევრმა ორგანიზაციამ დე ფაქტო სოციალური საწარმოები არ დაარეგისტრირა სოციალურ საწარმოდ. ერთი მხრივ გამჭვირვალობის ვალდებულების მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, მეორე მხრივ სარეგისტრაციო ხარჯების მოცულობის. სოციალურ კოოპერატივებზეც სტატუსი ავტომატურად არ გავრცელდებულა, ისინი სოციალურ საწარმოებად უნდა დარეგისტრირებულიყვნენ კანონით განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულების შედეგად. ამასთანავე, სოციალური საწარმოს სტატუსი არ იყო დაკავშირებული იმ ფისკალურ შეღავათებთან, რომლებიც ისედაც ვრცელდებოდა სოციალურ კოოპერატივებზე. შესაბამისად, კანონის მოქმედი შინაარსით მიღებამ არ გამოიწვია პრაქტიკაში საწარმოთა მხრიდან რეგისტრირება და მათი სტატუსის სახელმწიფოებრივ დონეზე აღიარება. დე ფაქტო მოქმედი სოციალური საწარმოების რიცხვი მკვეთრად აღემატებოდა დე იურე სახით რეგისტრირებულ სოციალურ საწარმოთა ოდენობას.

შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებების ტალღა მოყვა 2016 წლის კანონს „მესამე სექტორის რეფორმის“ შესახებ 106/2016. რეფორმების მიზანი იყო სფეროს (არა მხოლოდ სოციალური მეწარმეობის სექტორის, არამედ მოხალისეობრივი, ფილანთროპიული, საერთო სოციალური მიზნით მოღვაწე ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობის სფეროს დაფარვა - რომლებსაც ერთობლივად „მესამე სექტორი“ ეწოდა). სფეროში არსებული განსხვავებული მიდგომის გამოსწორება, კერძოდ ყველა ტიპისა და ფორმის სოციალური ეკონომიკის წარმომადგენელთათვის საერთო ტიპის შემზღუდველი თუ წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა (საგადასახადო პრივილეგიების ჩათვლით) ასევე იმ ადმინისტრაციული თუ ფინანსური ბარიერების მოხსნა, რომლებიც აქამდე ხელს უშლიდნენ სოციალურ საწარმოთა განვითარებას. საერთო რეგულაციური ჩარჩო წარდგენილ იქნა 117/2017 განკარგულების სახით. მასში განიმარტა „არაკომერციული საქმიანობისა“ და „საერთო ინტერესის“ ცნებები, განისაზღვრა საქმიანობათა ჩამონათვალი რომელსაც შეიძლება „მესამე სექტორის“ წარმომადგენელი ორგანიზაციები ეწეოდნენ. უშუალოდ სოციალური მეწარმეობასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდა სპეციალური განკარგულებით (decree 112/2017) და დადგინდა მისი თანამედროვე, მოქმედი დეფინიცია. კერძოდ, სოციალური საწარმო განისაზღვრა როგორც კერძო ორგანიზაცია, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი, სოლიდარული და სოციალური განვითარების მიზნებით, ანაწილებს მოგებას ამ მიზნების მისაღწევად და ამავე მიზნების მიღწევისთვის პასუხისმგებლობასა და გამჭვირვალობაზე დაფუძნებულ მმართველობით მოდელს ირჩევს, რომელიც უშვებს მმართველობაში დასაქმებულების, მომხმარებლებისა და დაინტერესებული პირების აქტიურ მონაწილეობას.¹⁹¹ საინტერესოა, რომ ცვლილებების მიხედვით მეწარმე სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის მოგების გადანაწილებასთან დაკავშირებული აბსოლუტური შეზღუდვა შეიცვალა. კერძოდ, სოციალური საწარმოებს, რომლებიც კოოპერატივების, შპს-ების ან სხვა სახის მეწარმე სუბიექტის სახით იყვნენ რეგისტრირებული, მიეცათ უფლება წლიური მოგების 50%-ის ინვესტორებზე განაწილების (ან სხვა მესამე სექტორის წარმომადგენელთათვის გადაცემის) იმ პირობებში, როდესაც მოგების მინიმუმ 50% კვლავ რეინვესტირდება სოციალური მიზნისთვის. ასოციაციებისა და ფონდებისთვის - რომლებსაც ჩვენთან არარეგისტრირებული კავშირები და ა(ა)იპ-ები შეესაბამება, მოგების გადანაწილების შეზღუდვა უცვლელი დარჩა. 2005/2006 წლის რეგულაციაში ჩამოთვლილ სოციალურ საქმიანობათა ჩამონათვალს დაემატა საზოგადოებრივი მაუწყებლობის, სამართლიანი ვაჭრობის (fair trade), სოციალური საცხოვრისის, ემიგრანტებისა და დევნილების დახმარების

¹⁹¹“a social enterprise is now defined as a "private organization that runs entrepreneurial activities for civic, solidarity and social utility purposes and allocates profits principally to achieve its corporate purpose by adopting responsible and transparent management modalities and favoring the largest possible participation of employees, users, and other stakeholders interested in its activities" *Borzaga C., "Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy."*, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, <https://europa.eu/!Qg64ny>

სერვისები, ასევე, მიკროკრედიტების გაცემის, სოციალური აგრო-კულტურისა და ორგანიზებული დანაშაულის პროცესში ჩამორთმეული სივრცეების ხელახალი გამოყენება - განაწილების სფეროები (re-use and requalification of premises seized from organised crime). კანონმა ყველა სოციალური კოოპერატივი სოციალურ საწარმოდ აღიარა, მათი სამართლებრივი სტატუსისა და ფორმის ცვლილების გარეშე, თუმცა ავტომატური სახით სოციალურ კოოპერატივებს მიენიჭათ მხოლოდ ჯანდაცვისა და განათლების სექტორში მოღვაწეობის უფლება. სხვანაირად რომ ითქვას, სოციალური კოოპერატივები დარჩნენ სოციალური უზრუნველყოფის დარგში მოღვაწე სოციალურ საწარმოებად. კანონმა გაითვალისწინა სოციალური საწარმოების გადასახადისგან გათავისუფლება წევრთა შორის გადაუნაწილებელი მოგების ნაწილში და განამტკიცა სხვა მიზნობრივი ღონისძიებები ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმოს სტატუსის მიღება ნებაყოფლობითი დარჩა, კანონის მიხედვით მესამე სექტორის ყველა წარმომადგენელ ორგანიზაციას, რომელთა კომერციული შემოსავალი აღემატებოდა სხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს, როგორიცაა შემოწირულობები და სუბსიდიები, უწევდა მეწარმე სუბიექტებთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის მიერ დადგენილი ყველა წესის შესრულება.

აღსანიშნავია, რომ იტალიაში არ არსებობს ვიზუალური ნიშანი, მარკირების ან სერტიფიცირების სისტემა სოციალური საწარმოებისთვის, რითიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იმთავითვე თვალსაჩინო იქნებოდა სოციალური საწარმოს სტატუსი, თუმცა არსებობს სოციალური ანგარიშგების სისტემები, რომლებიც მოქმედებს სოციალური საწარმოებისა და სოციალური კოოპერატივებისათვის. კერძოდ, სოციალურმა კოოპერატივებმა და სოციალურმა საწარმოებმა უნდა შეადგინონ ყოველწლიური სოციალური ანგარიში (bilancio sociale) რაც შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მითითებების შესაბამისად ხორციელდება. ანგარიშები - რომლებიც შესაძლავს გადაეცემა იტალიის სავაჭრო პალატას - მიზნად ისახავს საქმიანობის სოციალურ მიზნებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. მათ შორის ამ პროცესში საწარმოს მიერ გენერირებული დამატებითი ღირებულების ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და დაინტერესებულ პირთათვის ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ორგანიზაციის სოციალური მისიის აღწერის გარდა, ანგარიში ასევე მოიცავს მიზნის მისაღწევად გამოყენებული რესურსების, მიღწეული შედეგებისა და ორგანიზაციის საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების აღწერას.

ბულგარეთი

სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო რეგულირების პროცესი ბულგარეთში შეფასებულია როგორც ხანგრძლივი და რთული და გულისხმობს სახელმწიფოებრივ ნაბიჯებს, რომელიც აერთიანებს ერთი მხრივ სფეროზე პასუხისმგებელი საქვეუწყებო სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ სფეროსთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმისა და კანონმდებლობის მიღებას.¹⁹² კერძოდ, ბულგარეთში ამ მიმართულებით გადადგმულ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებად მიჩნეულია: 1. შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სოციალური ეკონომიკის სამუშაო ჯგუფის შექმნა (Working group on Social Economy at the Ministry of Labour and Social Policy (MLSP))(2010), სოციალური ეკონომიკის ნაციონალური კონცეფციის ჩამოყალიბება (Establishment of the National Concept for Social Economy, 2012), სოციალური ეკონომიკის სფეროში 2 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და 2018 წლის 18 ოქტომბრის (ძალაში შევიდა 2019 წლის 2 მაისიდან) კანონი სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის საწარმოთა შესახებ (Act on Enterprises of the Social and Solidarity Economy). ბულგარეთის კანონი

192 Jeliazkova M., „Social enterprises and their ecosystems in Europe, updated country report: Bulgaria., European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ. 50-52, <https://europa.eu/IQq64ny>

სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის წარმომადგენელ საწარმოთა შესახებ ქვეყნის მასშტაბით მიღებული პირველი აქტია, რომელიც აღიარებს სოციალური ეკონომიკის სფეროში მოქმედ სხვადასხვა სახის აქტორებს, მათ არსებობასა და ფუნქციონირების ძირითად ფორმებს. კანონი განსაზღვრავს სოციალურ საწარმოთა დეფინიციასა და მექანიზმებს, რომლებიც მათ სახელმწიფოსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების დამყარებაში დაეხმარება. კანონი ასევე მიუთითებს სოციალური საწარმოების როლზე ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაში და განიხილავს მათ როგორც ჰიბრიდული ტიპის მაღალი ეკონომიკური და სოციალური პროდუქტიულობის მქონე წარმონაქმნებად.

კანონი ჩამოთვლის სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის სფეროს წარმომადგენელთა შემდეგ პრინციპულ მახასიათებლებს:

1. სოციალური მიზნების უპირატესობა ეკონომიკურთან შედარებით. 2. საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლისთვის სწრაფვა 3. მმართველობის საჯაროობა და გამჭვირვალობა 4. სახელმწიფო უწყებათაგან დამოუკიდებლობა 5. გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესში საწარმოს წევრთა და დასაქმებულთა ერთობლივი მონაწილეობა. ამის გარდა კანონში ინტეგრირებულია ფორმალური და პროცედურული წესები, რომლებიც ეხება სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის სფეროს წარმომადგენელთა იდენტიფიცირებას, ასევე, საფუძველია ჩაყრილი ქვეყნის მასშტაბით სოციალურ საწარმოთა ნაციონალური რეესტრის შექმნისთვის. კანონის მიხედვით რეესტრის შექმნა მიზნად ისახავს სოციალური საწარმოების მოდელის სპეციფიკის შენარჩუნებასა და მათი საქმიანობის მკაფიოდ სოციალური მიზნებისკენ მიმართვას. ამასთანავე, ზუსტი ინფორმაციის შეგროვებას სოციალური საწარმოების საქმიანობის დინამიკაზე და მომხმარებლებისა და ინვესტორების რწმენისა და სანდოობის გაზრდას სოციალური საწარმოებისა და მათი საქმიანობის მიმართ. რეესტრაციისთვის საჭირო ინფორმაციათა ნუსხა სტანდარტული, გამარტივებული და მცირე მოცულობისაა. კანონი არ ითვალისწინებს სარეგისტრაციო ხარჯებს ან სხვა ტიპის ფინანსურ ვალდებულებებს, თუმცა ითვალისწინებს რეესტრაციის მსურველ სოციალურ საწარმოთათვის, საქმიანობის სოციალური ღირებულების შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცებას.¹⁹³ ამ მეთოდოლოგიის მიხედვით შედგენილი შეფასების დოკუმენტი ხდება საწარმოს რეესტრირების ერთ-ერთი წინაპირობა. თუ საწარმოს მხრიდან წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოთა მიერ შექმნილი სოციალური ღირებულების მაჩვენებელი ნეგატიურად შეფასდა, საწარმო არ დარეგისტრირდება. ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კანონი ასევე ითვალისწინებს სფეროს მიხედვით სერტიფიცირების სისტემას, რომელიც სოციალურ საწარმოებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა თუ გაწეული მომსახურების ტიპის მიხედვით სპეციალურ ნიშანს/მარკას ანიჭებს. ეს ნიშანი შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა სოციალურმა საწარმომ ნებისმიერი ურთიერთობის ფარგლებში რეესტრში მისი რეესტრირების შემდგომ.

კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ორი ტიპის, კერძოდ A და A+ ტიპის სოციალურ საწარმოებს. A კლასის სოციალურ საწარმოთა რიგებში შედის საწარმო განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, თუკი აკმაყოფილებს შემდეგ წინაპირობებს: 1. ეწევა სოციალური მნიშვნელობის საქმიანობას და ქმნის სიკეთეს, რომელიც გაზომვადია შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. 2. მართულია გამჭვირვალედ, პროცესში საწარმოს დასაქმებულთა მონაწილეობით. 3. საგადასახადო ანგარიშგების შემდგომ დარჩენილი მოგების 50%-ს მაინც (არა ნაკლებ 7,500 BGN/3,835 ევროსი) იყენებს სოციალური მიზნების ხელშეწყობისთვის ან 4. საწარმოს თანამშრომელთა მინიმუმ 30% (არანაკლებ 3 ადამიანი) ირიცხება შეზღუდული შესაძლებლობების წარმომადგენელთა ჯგუფში. მოცემულის პარალელურად A+ სოციალურ საწარმოთა რიგებშია საწარმო, განურჩევლად ორგანიზაციულ-

¹⁹³ ბულგარეთის კანონი სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის წარმომადგენელ საწარმოთა შესახებ (Act on Enterprises of the Social and Solidarity Economy), მუხლი 5(5)(1))

სამართლებრივი ფორმისა, რომელიც ზემოჩამოთვლილ წინაპირობებთან ერთად დამატებით აკმაყოფილებს რომელიმეს მაინც შემდეგი წინაპირობებიდან: 1. მის მიერ შექმნილი სოციალური ღირებულების მქონე რესურსი სრულად მოხმარდა იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებშიც უმუშევრობის დონე საანგარიშო წელს იყო ქვეყანაში დაფიქსირებული უმუშევრობის საშუალო მაჩვენებლის ტოლი ან მეტი 2. საწარმო საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის შემდგომ დარჩენილი შემოსავლიდან სოციალური მიზნებისთვის ხარჯავს მინიმუმ 50%-ს, რაც ტოლია ან აღემატება 75,000 BGN-ს (38,350 ევროს) 3. საწარმოში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის წარმომადგენელთა მინიმუმ 30% უწყვეტად მუშაობდა საწარმოში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. რეგისტრირებული სოციალური საწარმოებისთვის კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ რესურსებზე წვდომას. მაგალითად, მათთვის ხელმისაწვდომია სოციალური დაცვის ფონდის ფინანსური რესურსები (Social Protection Fund). კანონის მიხედვით საჯარო უწყებებს შეუძლიათ სახელმწიფო თუ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება მიზნობრივად, საჭიროების გათვალისწინებით გადასცენ სოციალურ საწარმოების A+ ტიპებს გამარტივებული პროცედურების საფუძველზე (ტენდერის, აუქციონის გარეშე).

დანია

სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შექმნისკენ სვლა დანიაში 2013 წლიდან დაიწყო, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ქვეყნის ფარგლებში მოქმედმა სოციალურ საწარმოთა კომისიამ დანიის სახელმწიფოს წარუდგინა რეკომენდაციული შინაარსის ანგარიში. კომისიის ანგარიშში ინტეგრირებული იყო 5 ძირითადი რეკომენდაცია, რომელთაგანაც პირველივე ეხებოდა უშუალოდ სოციალური მეწარმეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შემუშავებას.¹⁹⁴ სახელმწიფოს მიერ კანონის მიღება მოხდა რეკომენდაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 9 თვის თავზე - რეგისტრირებული სოციალური საწარმოების შესახებ კანონის სახელწოდებით. მოცემულ კანონთან ერთად დანიაში სოციალური საწარმოების სფეროს ეხება კიდევ რამდენიმე სხვა საკანონმდებლო ჩანაწერი.¹⁹⁵ ერთ-ერთი მაგალითი მსგავსი დამხმარე რეგულაციისა არის დებულება რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორებისგან დამოუკიდებელი - ცალკე არსებული ერთეულის (ორგანიზაციის) გამოყოფის შესაძლებლობას, რომელიც ამა თუ იმ ტიპის სოციალურ მომსახურებაზე უწყებისგან დამოუკიდებლად აიღებს პასუხისმგებლობას. დანიის სოციალური მეწარმეობის კომისიის დასკვნაში ფიქსირდება, რომ სოციალური საწარმოები ამ მეთოდის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საშუალებად არის მიჩნეული.¹⁹⁶ იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკულად დანიაში სოციალური საწარმოების სამი ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ფიქსირდება (ფონდები, ასოციაციები, შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოება) დაშვებულია სამივე ფორმის საწარმოს სოციალურ საწარმოდ რეგისტრირება. კანონი ასევე განსაზღვრავს სოციალური საწარმოს დეფინიციას, რომლის მიხედვითაც სოციალური საწარმოები არიან „კერძო მმართველობითი სისტემის მქონე სუბიექტები, რომლებიც ბიზნეს საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებით ემსახურებიან კონკრეტულ

194 მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სფეროს შესახებ საზოგადოების ზოგადი ცნობიერების ამაღლებას, მესამე რეკომენდაცია სოციალური მეწარმეობის სფეროში ჩართულ პირთა და ორგანიზაციის წარმომადგენელთა სამეწარმეო და ხელმძღვანელობითი უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მესამე რეკომენდაცია მოიცავდა სახელმწიფო კაპიტალზე სოციალურ საწარმოთა წვდომის გაზრდას, ხოლო მეხუთე რეკომენდაცია აკონკრეტებდა საჯარო და კერძო სფეროს თანამშრომლობის ფარგლებში სოციალური პასუხისმგებლობის როლის დამკვიდრებას (მათ შორის საერთო პროექტებისა და საჯარო შესყიდვების განხორციელების მიმართულებით, *Hulgård L., Chodorkoff L., Social enterprises and their ecosystems in Europe updated country report: Denmark. European Commission, Publications Office of the European Union, გვ. 26-28 <https://europa.eu/!Qq64ny>*

195 *Hulgård L., Chodorkoff L., Social enterprises and their ecosystems in Europe updated country report: Denmark. European Commission, Publications Office of the European Union, გვ. 26-28 <https://europa.eu/!Qq64ny>*

196 *Hulgård L., Chodorkoff L., Social enterprises and their ecosystems in Europe updated country report: Denmark. European Commission, Publications Office of the European Union, გვ. 26-28 <https://europa.eu/!Qq64ny>*

სოციალურ მიზნებს.¹⁹⁷ დეფინიციის შესაბამისად განისაზღვრა ის კრიტერიუმებიც, რომლებსაც სოციალური საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ მათი სტატუსის აღიარებისთვის, კერძოდ: საწარმოს უნდა ჰქონდეს მიზანი, რომელიც სასარგებლო იქნება სოციალური, კულტურული, დასაქმებასთან, ჯანდაცვასთან ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ნიშნით, საწარმოს შემოსავლების ძირითადი ნაწილი უნდა მიიღებოდეს სამეწარმეო საქმიანობის (პროდუქტის ან მომსახურების წარმოება) გზით, შესაბამისად კომერციული საქმიანობა საწარმოსთვის უნდა იყოს საქმიანობისა და ფინანსური რესურსების მობილიზების ძირითადი ფორმა. საწარმო უნდა იყოს საჯარო უწყებებისგან დამოუკიდებელი და უნდა იმართებოდეს ინკლუზიურად. შემოსავლების გადანაწილების თვალსაზრისით კანონმდებლობა ითვალისწინებს შემოსავლების ძირითადი ნაწილის სოციალური მიზნებისთვის რეინვესტირებას, თუმცა უშვებს შეზღუდული სახით მოგების პარტნიორებს შორის დივიდენდების სახით განაწილებას, თანხების სხვა სოციალურ საწარმოში ინვესტირებას, დონაციას ან საქველმოქმედო მიზნებით განკარგვას.

როგორც ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს, მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი სახით არსებული საკანონმდებლო ჩარჩო უნდა ფარავდეს სოციალური მეწარმეობის ცნებას, კრიტერიუმებს, რეგისტრირების ან სერტიფიცირების საკითხს, სამოქმედო სფეროთა ჩამონათვალს, სოციალური მეწარმეობის სტატუსთან დაკავშირებულ პრივილეგიებს, ინფორმაციას სოციალურ საწარმოთა შესაძლო ორგანიზაციული ფორმაზე, მათ ვალდებულებებს შიდა მმართველობისა და საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვასთან დაკავშირებით. თუმცა იმისთვის, რომ კანონმა პრაქტიკაში იმოქმედოს, აუცილებელია სოციალურ საწარმოდ აღიარება არ იყოს დაკავშირებული ბიუროკრატია და მაღალ ადმინისტრაციულ ხარჯებთან, ასევე იმ მოცულობის პასუხისმგებლობასთან, რომელსაც სოციალური საწარმოები პრაქტიკულად ვერ აიღებენ.

7.3.3 სოციალურ მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარების საერთაშორისო მექანიზმები

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარება და საკანონმდებლო დონეზე მისი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის გამოწვევა არ არის. საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. ევროკავშირის მიერ ჯერ კიდევ 2011 წელს ჩამოყალიბებულ, სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობისკენ მიმართულ დოკუმენტში¹⁹⁸ ერთ-ერთ მთავარ მიზნად გათვალისწინებულია სწორედ საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება¹⁹⁹ იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს სოციალურ საწარმოთა საზღვრებს მიღმა აქტივობებს. მოცემული პირველ რიგში მოემსახურება ერთიანი პრინციპების შექმნას, მათ ჰარმონიზებასა და განსხვავებული მოწესრიგების პირობებში მოქმედი სოციალური საწარმოების საერთაშორისო საქმიანობის გამარტივებას. როგორც დოკუმენტშია მოხსენიებული, ევროპულ ან ნაციონალურ დონეზე არსებული მარეგულირებელი სისტემა არ არის საკმარისი სოციალური საწარმოების კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სოციალური საწარმოები სირთულეებს აწყდებიან ინვესტორთა მოზიდვის პროცესში, არ აქვთ სახელმწიფო გრანტებზე, საჯარო ხელშეკრულებებზე წვდომა.²⁰⁰

¹⁹⁷“Social enterprises are privately held and through their business and profits, have the purpose of promoting specific social objectives”

¹⁹⁸European Commission, 682 final, “Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Social Business Initiative Creating a Favourable Climate for Social Enterprises, Key Stakeholders in The Social Economy and Innovation” <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0682&from=en>

¹⁹⁹“Improving the legal environment”, Developing appropriate European legal forms which could be used in European social entrepreneurship” European Commission, 682 final, “Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Social Business Initiative Creating a Favourable Climate for Social Enterprises, Key Stakeholders in The Social Economy and Innovation” <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0682&from=en>

²⁰⁰European Commission, 682 final, “Communication From The Commission To The European Parliament, The Council, The European Economic and Social Committee and the Committee of the Regions Social Business Initiative Creating a Favourable Climate

2017 წლის 23 ოქტომბერს, ევროპის პარლამენტმა შექმნა ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელიც ეხებოდა სოციალური და სოლიდარული საწარმოების შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.²⁰¹ რეკომენდაციის მიხედვით დოკუმენტი უნდა შეიქმნას და იგი უნდა დაიდენტიფიცირებდეს სოციალური საწარმოს ტიპურ მახასიათებლებს, მათ შორის - სოციალური მიზნების ეკონომიკურ მიზნებზე უპირატესობას, დემოკრატიულ მმართველობას, ნამატი მოგების რეინვესტირებას, პროცესში მოხალისეობრივი და უფასო მონაწილეობის შესაძლებლობას და ა.შ.²⁰²

მიუხედავად ამ და მსგავსი ინიციატივების/რეკომენდაციების არსებობისა, ამ ეტაპისთვის ევროკავშირის ფარგლებში არსებული რეგულაციებიდან (რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს სოციალური მეწარმეობის საკითხს) მოქმედია მხოლოდ კანონი ევროპული კოოპერატივების საზოგადოების შესახებ (the Statute for European Cooperative Society – SCE)²⁰³ და რეგულაცია სამეწარმეო ფონდების შესახებ (Regulation (EU) No. 346/2013 on European Entrepreneurship Funds).²⁰⁴ კომისიის ინიციატივები საერთო ევროპული სოციალური საზოგადოების საკანონმდებლო აქტის შექმნის შესახებ²⁰⁵ არ იქნა გაზიარებული შესაბამისი მხარდაჭერის არარსებობის გამო. ამის მიზეზი კომისიის მიერ 2018 წლის 8 ნოემბერს ევროპარლამენტისთვის მომზადებულ საპასუხო დასკვნაში იკითხება. კომისიის აზრით, მსგავსი საკანონმდებლო აქტის შექმნისთვის ბაზა ჯერ მომზადებული არ არის შემდეგ მიზეზთა გამო: წევრი ქვეყნების მასშტაბით სოციალური მეწარმის სტატუსის მნიშვნელობა განსხვავდება რადიკალურად, შესაბამისად, საჭიროა ერთი მნიშვნელობის მქონე სტატუსის შემოღებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებთან დამატებითი დისკუსიები.

მოცემული არ ნიშნავს, რომ ევროკომისიის მხრიდან არ მიდის აქტიური მუშაობა მზაობის მისაღწევად. სოციალური მეწარმეობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით შეიქმნა ევროპული სოციალური ფონდი (The European Social Fund) რომელიც ევროპის მასშტაბით სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი რესურსია. ფონდის ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 10 ტრილიონ ევროს და მისი თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებთან დგება 7 წლიანი ოპერაციული პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შედეგად. ეს ოპერაციული პროგრამები აღწერს იმ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ აქტივობებს, რომლებიც თანამშრომლობის ფარგლებში წევრი ქვეყნების მიერ სოციალური მეწარმეობის ხელშესაწყობად უნდა განხორციელდეს.²⁰⁶ იგეგმება და ხორციელდება უამრავი ტიპის აკადემიური, კვლევითი და ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებები.

ევროკავშირი არ არის ერთადერთი ორგანიზაცია რომელიც ამ მიმართულებით ნაბიჯებს დგამს. ყურადსაღებია მაგალითად გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 2001 წელს მიღებული რეზოლუცია კოოპერატივების როლზე სოციალურ განვითარებაში, რითიც მოხდა სფეროს ხელშეწყობი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმისკენ მოწოდება და სფეროზე მომუშავე გაეროს შიდა სააგენტოს შექმნა (Task Force on Social and Solidarity Economy (TFSSE) კოოპერატივების ხელშეწყობის შესახებ რეკომენდაციები 2002 წლის თარიღით გაცემულია ILO-ს მიერაც (Recommendation on the promotion of cooperatives (Recommendation 193/2002).

for Social Enterprises, Key Stakeholders in The Social Economy and Innovation” <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0682&from=en>

201 recommendations to the Commission on a Statute for Social and Solidarity Enterprises (2016/2237 (INL)).

202 Santos F., Almeida F., “Portugal inovação social: na encruzilhada dos tempos”, Revista Cooperativismo e Economia Social, 39, 2017, გვ. 443-462

203 Regulation on the Statute for a European Cooperative Society (2003)

204 Regulation (EU) No. 346/2013 of the European Parliament and of the Council of 17 April on European Entrepreneurship Funds

205 the Statute for a European mutual society of 2006, the 2012 proposal for a Regulation on the Statute for a European Foundation (EF)

206 The ESF 2014-2020 and the National Strategy of the SE (Spain) Operational Programme on the social economy and social inclusion, - Informe de resultados, გვ.23, <https://fse.cepes.es/informe-resultados>, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

8 სოციალური მეწარმეობის სფეროს პოლიტიკური აღიარება

8.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიზნები

როგორც წესი, სოციალური მეწარმეობის სფეროს პოლიტიკური აღიარება ხდება სამართლებრივი აღიარების პარალელურად და გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება-ხელშეწყობის ვალდებულების აღებას. ზემოხსენებული მიიღწევა შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტების, სტრატეგიებისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავების გზით.

მსგავსი ტიპის დოკუმენტები არ ანაცვლებს საკანონმდებლო რეგულაციებს, თუმცა არსებობს ქვეყნების მაგალითები, სადაც სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა ხდება მხოლოდ პოლიტიკური აღიარების გზით. მსგავსი მიდგომა ამართლებს მხოლოდ იმგვარ გარემოში, რომელშიც არსებობს სოციალური მეწარმეობის სფეროს საზოგადოებრივი და თვითაღიარების მაღალი მაჩვენებელი, ასევე განვითარებული დოქტრინა, სოციალური მეწარმეობის ცნების უნივერსალური აღქმა, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება და ძლიერი სამოქალაქო სექტორი, რომელიც ხელისუფლების კონსულტირების პასუხისმგებლობას წარმატებით ართმევს თავს.

პოლიტიკურ დოკუმენტთა უმრავლესობას აქვს კონკრეტული მიზნები, რომელთა განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებიც განისაზღვრებიან ამავე დოკუმენტით. ამ მიზნებს შორის შეიძლება იყოს: სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმთა შემუშავება და აღსრულება, სოციალური მეწარმეობის სფეროს მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრა, სოციალური მეწარმეობის სფეროს წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების აღიარება, სფეროსთვის აქტუალურ საკითხთა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სფეროს შესახებ პერიოდული ანგარიშგების სისტემის შემოღება, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება შესაბამისი არაფორმალური და ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გზით, კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის და პასუხისმგებლობის გადანაწილების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება, სფეროს შემაფერხებელი ბიუროკრატიული მექანიზმების აღმოჩენა და შემსუბუქება, სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სფეროების შინაარსის კონკრეტიზება, სოციალური შედეგებისა და ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა და ა.შ.

იმისთვის, რომ მსგავსმა დოკუმენტებმა გამოიღონ სასურველი შედეგი, ისინი პასუხისმგებელ საჯარო უწყებებს უნდა აკისრებდნენ კონკრეტული დროით შემოსაზღვრულ, მკაფიო ვალდებულებებს და უდგენდნენ ანგარიშვალდებულების მაღალ ხარისხს.

იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც მოახერხეს მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ფორმით მსგავს დოკუმენტთა შემუშავება დაბალია. პოლიტიკური დოკუმენტი წარმატებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მის შედეგად მიღწეულ იქნა სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარება და ინსტიტუციონალიზაცია, სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა მათთვის ფართო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობის მიცემის გზით, საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაცია ან საგადასახადო შეღავათების დაწესება, სფეროს სპეციალისტთა გადამზადების სისტემის დანერგვა და სოციალური გავლენის/შედეგის/ეფექტის შეფასებისა და გაზომვის ქმედითი მეთოდოლოგიის შემუშავება.

ეს მოხერხებადია, თუკი პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავების, აღსრულებისა და შემდგომი განვითარების პროცესში გამოყენებული იქნება საჯარო რესურსების ფართო სპექტრი, დაინერგება

კერძო აქტორებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არაფორმალური და ინსტიტუციონალიზებული მექანიზმები და სტრატეგიას ექნება გრძელვადიანი მოქმედების პერსპექტივა.

8.2 სოციალური მეწარმეობის პოლიტიკური აღიარების მნიშვნელობა

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (უმეტესად იმგვარ ქვეყნებში, სადაც სოციალური საწარმოების დე-ფაქტო საარსებო გარემო შედარებით შესწავლილი და ფაქტობრივად ფორმირებულია) საკანონმდებლო აღიარების პარალელურად, ან რიგ შემთხვევებში მის გარეშე, მოქმედებს სოციალური მეწარმეობის სფეროს პოლიტიკური აღიარების მექანიზმები. მოცემული მიიღწევა სახელმწიფოს მხრიდან სფეროს ხელშეწყობი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და დეკლარირების გზით, რაც შესაბამისი პოლიტიკური დოკუმენტებისა და სტრატეგიის შემუშავებაში გამოიხატება. როგორც წესი, ეს ხდება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, რა დროსაც ისახება სფეროს განვითარების კონკრეტული სტრატეგია, განისაზღვრება ამა თუ იმ სახელისუფლებო ორგანოსთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები, სფეროს განვითარებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი კონკრეტული ორგანოები და გეგმის შესრულების ვადები.²⁰⁷ შესაბამისად, საჯარო მნიშვნელობის დოკუმენტში, რომელსაც არსებითად აქვს სახელმწიფო ორგანოების კონკრეტული ვალდებულებებით ბოჭვის ძალა, შეიძლება ინტეგრირდეს სოციალური მეწარმეობის განვითარების მისიაც, რაც, ბუნებრივია გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს არსებობის, ასევე მისი ხელშეწყობის აუცილებლობის აღიარებას. სხვანაირად რომ ითქვას, იმ პირობებშიც კი, თუ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სოციალური საწარმოს სტატუსს, ხოლო მართლწესრიგი ამგვარი სტატუსის ოფიციალური ფორმით მინიჭების საშუალებებს არ ითვალისწინებს, პოლიტიკურ დოკუმენტში საკითხის ინტეგრაციის და პრაქტიკაში მისი აღსრულების შედეგად მიღწევადია ქვეყნის ფარგლებში დე-ფაქტო სტატუსით მოქმედი სოციალური საწარმოების აღიარება. სახელმწიფო ხელშეწყობაც სწორედ მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტთა შემუშავებაში და შემდგომ, მათ აღსრულებაში გამოიხატება.

წმინდა ეკონომიკური გაგებით, საკითხის პოლიტიკური აღიარებისა და ხელშეწყობის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც სახეზეა ოთხი მარტივი წინაპირობა: (1) ხილვადი სოციალური ან ეკონომიკური რეალობა, რომელიც მოითხოვს საჯარო სექტორის ინტერვენციას (2) უფლებამოსილი საჯარო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია იმ ქმედების განხორციელებაზე, რომელიც საჭიროა არსებული სოციალური ან ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე (3) იდენტიფიცირებადი მიზნები, რომელთა მიღწევასაც მოემსახურება უფლებამოსილი ორგანოს კონკრეტული ნაბიჯები (4) პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ ამ მიზანთა ასრულება.²⁰⁸

8.3 სოციალურ მეწარმეობის პოლიტიკური დოკუმენტებით აღიარების ფორმები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

ის, თუ რა ფორმით განახორციელებს ქვეყანა სოციალური მეწარმეობის პოლიტიკურ აღიარებას დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის რეალობაზე. არსებული საჭიროებების გათვალისწინებით,

207A map of social enterprises and their eco-systems in Europe, Directorate-General for Employment, Social Affairs and Inclusion, European Commission, 2015.

208 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.9 <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

პოლიტიკური დოკუმენტები შეიძლება ემსახურებოდეს, მაგალითად, სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობი და სფეროზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა/განსაზღვრას (რაც მოხდა მაგალითად ლუქსემბურგში, სლოვაკეთში, ბრიტანეთში, დანიაში და ჰოლანდიაში), საჯარო დისკრეციას დაქვემდებარებულ იმ სფეროთა რეფორმას, რომელშიც სოციალური საწარმოების ჩართვის პრაქტიკული მაჩვენებელი მაღალია, ან ერთიანი პოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც აერთიანებს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობ სხვადასხვა ინიციატივებს.²⁰⁹ არსებობს ბევრი ქვეყნის მაგალითი, რომელთა განხილვაც შეიძლება მსგავსი ტიპის პოლიტიკური დოკუმენტების არსში უკეთ გასარკვევად. მაგალითად ხორვატიაში ამ მიზნით მოქმედი ხორვატიის რესპუბლიკის სოციალური მეწარმეობის განვითარების ნაციონალური სტრატეგია - 2015-2020.²¹⁰ სტრატეგია შემუშავდა დაინტერესებულ პირთა აქტიური ჩართულობით, არასამთავრობო ორგანიზაციათა, სოციალურ საწარმოთა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. იგი დიდწილად ეფუძნება ევროპის კომისიის მიერ შემუშავებულ სოციალურ საწარმოთა კონცეფციას და მიზნად ისახავს სოციალურ მეწარმეთათვის საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ფინანსური გარემოს გაუმჯობესებას, სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციას, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებას. სოციალური სფეროს ხელშეწყობას ემსახურება შვედეთში 2018 წელს მიღებული სტრატეგია სოციალური საწარმოების, სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციის შესახებ. (Strategy for social enterprise, social entrepreneurship and social innovation - 2018.²¹¹ სტრატეგია პირველ რიგში განსაზღვრავს სოციალური საწარმოების მახასიათებლებს,²¹² სტრატეგიის ზოგადი მიზანი კი სოციალური საწარმოების ეკონომიკის სფეროში აქტიური ინტეგრაციაა, რაც მათ მისცემს პრაქტიკულ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ სოციალური და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში. ინიციატივები, რომლებიც სტრატეგიის შესაბამისად უნდა აღსრულდეს მათ შორის ეხება სფეროში მოქმედი პირების კომპეტენციის ამაღლებაზე ზრუნვას, მრჩეველი და საკონსულტაციო ჯგუფების ჩამოყალიბებასა და სოციალურ საწარმოთა საქმიანობის შედეგების შეფასების სისტემის შექმნას. სტრატეგიის შექმნას მოყვა 3 წლიანი შეთანხმების გაფორმება შვედეთის ეკონომიკის, რეგიონული განვითარებისა და შვედეთის ინოვაციების სააგენტოსთან, ხოლო სტრატეგიის აღსრულებაში მათი მონაწილეობისთვის დაფინანსების სახით გამოიყო ყოველწლიური ანაზღაურება 20 მილიონი შვედური კრონის (დაახლოებით 1.8 მილიონი ევროს ექვივალენტი) ოდენობით.²¹³

საინტერესოა ესპანეთის მაგალითიც, რომელიც ერთ-ერთი პირველია იმ ქვეყანათაგან, რომელმაც სოციალური ეკონომიკის სფეროს სრულად მომცველი კანონმდებლობის (Act 5/2011 of March 2011) პარალელურად შეიმუშავა სოციალური ეკონომიკის სტრატეგია (2017-2020)(2017-2020 Spanish Social Economy Strategy). ეს არის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია ესპანეთის სახელმწიფოს მიერ, თვითმმართველი ორგანოების, სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით. სტრატეგიის მიზნები მოიცავს მათ შორის: "იმ ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ საწარმოებს. განსაკუთრებით მათ, ვინც მხარს უჭერს ყველაზე არახელსაყრელ სექტორებსა და გარემოში დასაქმებას და დაფუძნებულია მსგავს ტერიტორიაზე". სტრატეგია ჯამში აერთიანებს 11

209Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini., "Social enterprises and their ecosystems in Europe" Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 53-56 <https://europa.eu/!Qq64ny>

210the Strategy for the Development of Social Entrepreneurship in the Republic of Croatia for the period of 2015-2020, https://www.oecd-ilibrary.org/industry-and-services/boosting-social-enterprise-development_9789264268500-en

211გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგია მოქმედებს იმ პირობებში, როდესაც უნიფიცირებული და სპეციალური კანონი სოციალური მეწარმეობის შესახებ არ არსებობს.

212კერძოდ: 1.ბიზნეს საქმიანობის გზით სოციალური მიზნების მიღწევა 2. საქმიანობის პროდუქტიულობის დამდგარი სოციალური მიღწევებით შეფასება და ბიზნეს საქმიანობით მიღებული შემოსავლების სოციალურ მიზნებში ინვესტირება.

213Gawell M., Social enterprises and their ecosystems in Europe, updated country report: Sweden, European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ. 40, <http://ec.europa.eu/social/main.jsp?advSearchKey=socenterfiches&mode=advancedSubmit&catId=22>

ძირითად სტრატეგიულ მიმართულებასა და 63 კონკრეტულ ღონისძიებას, რომელიც ამ მიმართულებების მიხედვით გაწერილ გეგმებს შეესაბამება. ზოგადი საკითხების პარალელურად (როგორიცაა სოციალური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა) სტრატეგია ასევე მოიცავს კონკრეტულ მიზნებს, მათ შორის: სექტორის განვითარების შემაფერხებელი სამართლებრივი ბარიერების გაუქმებას (ბიუროკრატიის შემსუბუქება), სოციალურ საწარმოთა პირდაპირი მონაწილეობის უზრუნველყოფას სფეროს განვითარების სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში, ციფრული ეკონომიკის სფეროში მოღვაწე სოციალური საწარმოების ფინანსური ხელშეწყობის მიზანს, სოციალური ეკონომიკის მიმართულებით მონაცემთა დამუშავების პროცესის ხელშეწყობასა და სანდო სტატისტიკის შექმნას.²¹⁴

ბულგარეთში მოქმედი სოციალური მეწარმეობის განვითარების ორწლიანი სამოქმედო გეგმა შეიქმნა სოციალური ეკონომიკის ნაციონალური კონცეფციის პრაქტიკაში იმპლემენტაციისა და ამ მიმართულებით პრიორიტეტული საქმეების განსაზღვრის მიზნით. სამოქმედო გეგმა ამგვარ პრიორიტეტულ საქმეთა შორის ითვალისწინებს, მაგალითად: 1. დაინტერესებულ პირებში სოციალური ეკონომიკის სფეროს ბუნებასა და ფუნქციონირების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის სოციალურ მეწარმეთა ყოველწლიური ევროპული ფორუმის გამოყენებით; 2. სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის სფეროს ხელშეწყობი უფლებამოსილი სტრუქტურების განსაზღვრას; 3. სოციალური ეკონომიკის სფეროს შესახებ ინფორმაციის აკუმულირებასა და ორგანიზებას; 4. სოციალური ეკონომიკის სფეროს შესწავლის მიზნით წარმოებულ საგანმანათლებლო, ტრენინგ და კვლევით საქმიანობათა ხელშეწყობას. სამოქმედო გეგმათა მიღება-აღსრულების უწყვეტმა პროცესმა ხელი შეუწყო სოციალური საწარმოების მონიტორინგისა და მათი საქმიანობის რეალური შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას. ასევე, სოციალური საწარმოების შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნას.²¹⁵

მიუხედავად ამ მაგალითებისა, მსგავს ქვეყანათა ჩამონათვალი მწირია. ქვეყნების უმრავლესობას არ აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილებით აღებული პასუხისმგებლობა სოციალური მეწარმეობის განვითარებისა. ცოტა ქვეყანაზე თუ შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური დოკუმენტის მიღების გზით შემდგომ სოციალური მეწარმეობის თემის სრულფასოვნად მოწესრიგება.²¹⁶ მოცემულში იგულისხმება ის, რომ პოლიტიკური დოკუმენტის მიღების შედეგად მიღწეულ იქნა: 1. სოციალური მეწარმეობის სამართლებრივი აღიარება და ინსტიტუციონალიზაცია, სპეციალურად შექმნილი სამართლებრივი ფორმის შემოღება ან სტატუსის მინიჭების პროცედურის განსაზღვრა; 2. ფისკალური ხასიათის წამახალისებელი მექანიზმების განსაზღვრა; 3. სპეციალისტთა გადამზადების

214 The Spanish Strategy for the Social Economy, ხელმისაწვდომია: <http://www.boe.es/boe/dias/2018/03/20/pdfs/BOE-A-2018-3857.pdf> The Spanish Strategy for the Social Economy, ხელმისაწვდომია: <http://www.boe.es/boe/dias/2018/03/20/pdfs/BOE-A-2018-3857.pdf>

215 Jeliazkova M., „Social enterprises and their ecosystems in Europe, updated country report: Bulgaria., European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ. 50-52, <https://europa.eu/!Qq64ny>

216 სოციალური ეკონომიკის კონცეფციის აღიარების დონის მიხედვით ევროკავშირის ქვეყანათა განვითარება წევრი სახელმწიფოების მიხედვით შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ქვეყნები, სადაც სოციალური ეკონომიკის კონცეფცია ფართოდ არის აღიარებული და ფართოდ მიღებული: ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი პორტუგალია და ესპანეთი სოციალური ეკონომიკის კონცეფცია სარგებლობს დიდი აღიარებით საჯარო ხელისუფლების მიერ და აკადემიური და სამეცნიერო სამყაროში, ისევე როგორც თავად სოციალური ეკონომიკის სექტორში.

ქვეყნები, სადაც სოციალური ეკონომიკის კონცეფცია აღიარებულია ზომიერი დონით: ბულგარეთი, კვიპროსი, დანია, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. ამ ქვეყნებში სოციალური ეკონომიკის კონცეფცია თანაარსებობს სხვა კონცეფციებთან ერთად, როგორიცაა არაკომერციული სექტორი, ნებაყოფლობითი სექტორი და სოციალური საწარმოები.

სოციალური ეკონომიკის კონცეფცია ნაკლებად ცნობილია, ჩნდება ან უცნობია შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, გერმანია, ლატვია, ლიტვა, მალტა, ნიდერლანდები და სლოვაკეთი. დაკავშირებული ტერმინები არაკომერციული სექტორი, ნებაყოფლობითი სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი სარგებლობენ შედარებით მაღალი დონის აღიარებით. - ამის წყარო დოკუმენტი რომელი წლისაა? ლატვიასი რამდენადაც ვიცი კანონი მიიღეს

სისტემის დანერგვა და ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა (ქოუჩინგი, მენტორინგი); 4. ღონისძიებათა გატარება, რომლებიც მიმართულია სოციალურ საწარმოთათვის საჯარო ბაზრის გახსნაზე (სოციალური საწარმოების მომსახურებაზე მოთხოვნის გაჩენისა თუ საჯარო შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის შემოღებით); 5. ფინანსური მხარდაჭერის სხვა მექანიზმების დანერგვა; 6. სოციალური გავლენის/შედეგის/ეფექტის შეფასებისა და გაზომვის ქმედითი მეთოდოლოგიის შემუშავება.

8.4 პოლიტიკური აღიარების პროცესთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები

როგორც ამ ქვეყნების გამოცდილების შეფასებით იკვეთება, თუ ნაციონალურ, ევროპულ ან რეგიონულ პოლიტიკურ აქტორებს სოციალური ეკონომიკის განვითარების მიმართულებით სურთ გრძელვადიან პერსპექტივაში შედეგიანი სტრატეგიის შემუშავება, მნიშვნელოვანია თემას მიუდგნენ პოლისტიკურად. სოციალური ეკონომიკის პოლიტიკა უნდა აერთიანებდეს მთელი სამთავრობო აპარატის რესურსს, რათა თავიდან იქნას აცილებული თემის ჩაკეტვა ერთი გენერალური უწყების უფლებამოსილების ფარგლებში. სახელისუფლებო ორგანომ უნდა შეძლოს საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებული ორგანიზაციების ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება, ასევე, მთავრობა უნდა იყოს მინდობილი ისეთ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც შეასრულებს სფეროს "შიდა წარმომადგენლის" ("internal policy entrepreneur"), როლს, ანუ უხელმძღვანელებს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით პოლიტიკური ინიციატივების შემოტანასა და აღსრულებას საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

სოციალური ეკონომიკის პოლიტიკის განვითარების პროცესი უნდა ეფუძნებოდეს თანამონაწილეობის პრინციპს. განვითარების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესში დაინტერესებულ პირთა აქტიური ჩართულობა. უნდა შემუშავდეს წინასწარ შეთანხმებული საჯარო-კერძო ურთიერთობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივ სამოქალაქო დიალოგზე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძლიერი და დამოუკიდებელი, სოციალური ეკონომიკის სფეროს შუამავლის არსებობა, რომელიც იქნება დამაკავშირებელი ხიდი საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის, შესაბამისად დიალოგის პროცესის ფასილიტატორი. უნდა შეიქმნას როგორც არაფორმალური, ისე ინსტიტუციონალიზებული გარემო სოციალური დიალოგისა წარმართვისა და კონსულტაციის მიღებისთვის. უნდა დაინერგოს მიღებული რჩევების დოკუმენტირების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ გამოყენებას პოლიტიკის ერთობლივი შემუშავების, განხორციელებისა და მართვის ეტაპებზე. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შექმნან საკონსულტაციო ორგანოები, დაკომპლექტებული სოციალური ეკონომიკის წარმომადგენელთა მრავალფეროვანი შემადგენლობით. ოპტიმალურია არაფორმალური ფორუმებისთვის საფუძვლის ჩაყრა, რაც გაადვილებს სფეროსთან დაკავშირებული პოლიტიკური ინიციატივების ყოველდღიურ მონიტორინგს არასასურველი სამართლებრივი ბიუროკრატისგან დამოუკიდებლად, რაც როგორც წესი უკავშირდება ახალი პოლიტიკური ინიციატივების დეკლარირებას. სოციალური ეკონომიკის პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციას მორგებული ინსტრუმენტებითა მექანიზმებით. მან უნდა გააერთიანოს სხვადასხვა მექანიზმები რომლებიც ფართო და მრავალწლიანი სტრატეგიის ნაწილი გახდება.²¹⁷

217 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.50, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

9 სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტიტუციური რგოლის შექმნა

9.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სფეროს მხარდამჭერი ინსტიტუციური დაწესებულებები.

მსგავსი დაწესებულებების სახეები მრავალგვარია. ისინი არსებობენ სხვადასხვა ფორმით, ლეგიტიმაციის სხვადასხვა საფუძვლებით, მისიითა და პასუხისმგებლობით, დამოუკიდებლობის და ანგარიშვალდებულების განსხვავებული ხარისხით.

მათი მთავარი მისიაა საჯარო და კერძო სექტორის შორის შუამავლობა, მათი ხელშეწყობა სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში. უმრავლეს შემთხვევაში მათი როლი ასევე გულისხმობს სოციალური მეწარმეობის ან მათი კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლობას, მათი სახელით გამოსვლასა და მათი ინტერესების ადვოკატირებას.

მსგავს ინსტიტუციურ დაწესებულებათა ფუნქცია შეიძლება იყოს საკონსულტაციო საქმიანობა. სახელმწიფო და კერძო სექტორის მრჩეველის პასუხისმგებლობის შეთავსება, აკადემიური საქმიანობის განვითარება სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული დოქტრინისა და თეორიული ცოდნის განსავითარებლად.

რიგ შემთხვევაში საჯარო ინსტიტუციურ დაწესებულებათა ფუნქცია უკავშირდება სოციალური მეწარმეობის წარმომადგენელთა კონტროლს, მონიტორინგს და შესაბამისი ანგარიშების მომზადებას სახელმწიფოს უფლებამოსილი სტრუქტურებისთვის, ასევე სოციალურ საწარმოთა დახმარება ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში, მათთვის ტექნიკური და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევის გზით.

როგორც წესი, მსგავს ინსტიტუციურ დაწესებულებათა საქმიანობა არ არის მხოლოდ მოხალისეობრივი, განპირობებულია სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებამოსილებებისა და ფუნქციონირების აღიარებით და ითვალისწინებს სახელმწიფოსთან პარტნიორობას, მათ შორის, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობებს, რაც მათ სტაბილურობას განაპირობებს.

9.2 სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციური ხელშეწყობის მნიშვნელობა

სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება და სოციალურ საწარმოთა საარსებო გარემოს ხელშეწყობა კომპლექსური საკითხია და უმეტეს შემთხვევაში საჭიროებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობას, ასევე აქტორთა შორის გარკვეული პასუხისმგებლობების ეფექტურ გადანაწილებას.

სწორედ ამ მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში აპრობირებულია იმგვარ, ხშირ შემთხვევაში ჰიბრიდული სტატუსის ორგანოთა არსებობა, რომელთა მთავარი ფუნქცია სოციალური მეწარმეობის ადვოკატირება, პოპულარიზება და ამ მიმართულებით საკონსულტაციო საქმიანობაა.²¹⁸

მსგავსი ორგანოები შეიძლება არსებობდნენ სხვადასხვა ფორმით, საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებითა და პასუხისმგებლობით, საჯარო ან კერძო დაწესებულების სახით. მათი ფუნქციები განსხვავდება ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის სფეროს საჭიროებების

²¹⁸Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020

გათვალისწინებით, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში უკავშირდება შუამავლის, ფასილიტატორისა და სექტორებს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულებას.

9.3 სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციური ხელშეწყობის ფორმები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

ევროპის ბევრ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციურად გაძლიერების მიზნით ოპერირებს ნაციონალურ ან/და რეგიონულ დონეზე მოქმედი ფედერაციები. ისინი არა მხოლოდ იცავენ სოციალური მეწარმეობის სფეროს წარმომადგენელთა ინტერესებს, არამედ ეწევიან საკონსულტაციო საქმიანობას და უზრუნველყოფენ მათ ტექნიკურ, პოლიტიკურ, ფინანსურ, სოციალურ მხარდაჭერას. მსგავს ფედერაციათა რიგებშია მაგალითად CNCRES (Conseil National des Chambres Régionales de l'Economie Sociale) რომელიც დაფუძნდა **საფრანგეთში**, 2004 წელს. ეს არის ნაციონალური დაწესებულება, რომელსაც აქვს ხუთი ძირითადი ფუნქცია, მათ შორის:

1. საფრანგეთის რეგიონული სოციალური ეკონომიკის პალატების წარმომადგენლობა
2. საფრანგეთის სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის სტრუქტურირება და ამ სტრუქტურის დანერგვა აქტორთა საქმიანობაში
3. სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის წარმომადგენელთა ხილვადობის და აღიარების ხარისხის გაზრდა
4. სოციალური ინოვაციის ღონისძიებათა ხელშეწყობა.

თავად CNCRES - როგორც ფედერაცია, არის სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის საფრანგეთის ნაციონალური საბჭოს წევრი, 6 ხმით. ეს ნიშნავს, რომ ეროვნულ დონეზე ამ მიმართულებით გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების დაგეგმვისას მათ აქვთ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის რეალური ბერკეტი.

საინტერესოა საფრანგეთშივე მოქმედი, ე.წ რეგიონული ეკონომიკის კოოპერატიული კლასტერების (Regional economic cooperation clusters (Pôles Territoriaux de Coopération Economique-PTCE)) საქმიანობა. მათი სტატუსი კანონმდებლობით არის აღიარებული (საფრანგეთის კანონი სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის შესახებ) French Law of Social and Solidarity Economy in 2014)), ხოლო მათი რაოდენობა 2017 წლის მონაცემებით დაახლოებით 50-ს უდრიდა. ეს გაერთიანება წარმოადგენს საჯარო და კერძო სფეროს წარმომადგენლების რეგიონულ ჯგუფს, რომელიც მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე აგროვებს და ადგენს სოციალური ეკონომიკის განვითარების მიმართულებით ინოვაციურ ინიციატივებს. მათი გარკვეული ნაწილი ფინანსდება საჯარო წყაროებიდან, შესაბამისი საპროექტო შიდა სამთავრობო გრანტების საფუძველზე, ან თვითმმართველი, რეგიონული ორგანოების მიერ. მათი საქმიანობის მთავარი მიზანია, ინიციატივები იყოს რაც შეიძლება კონკრეტული და უშუალოდ მათი სამოქმედო რეგიონისა თუ ტერიტორიის საჭიროებებს მორგებული.²¹⁹

CNCRES-ის მსგავს ფუნქციას ასრულებს ესპანეთში ესპანეთის სოციალური ეკონომიკის დამსაქმებელთა კონფედერაცია (The Spanish Social Economy Employers' Confederation (CEPES), დაფუძნებული 1992 წელს. მისი ინტერ-ინდუსტრიული ფორმის გათვალისწინებით, ის ესპანეთში სოციალური ეკონომიკის სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური წარმომადგენელია. ის აერთიანებს ნებისმიერ სფეროში მოღვაწე სოციალურ საწარმოებსა და ორგანიზაციებს (სულ 26 ორგანიზაცია) საიდანაც თითოეული წარმოადგენს საკუთარი ინდივიდუალური სფეროს ინტერესებს.

219 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.19 <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

ამავე პრინციპით მუშაობს პორტუგალიაში 2017 წელს შექმნილი პორტუგალიის სოციალური ეკონომიკის კონფედერაცია (the Confederation of the Portuguese Social Economy, (CESP). ის აერთიანებს სოციალური ეკონომიკის სფეროს წარმომადგენლებიდან სექტორების მიხედვით შერჩეულ წევრებს და მათი ჩართულობით სამოქალაქო და საჯარო სექტორთან დიალოგისას წარმოადგენს კოოპერატივების, საერთო საზოგადოებებისა და სოციალური საწარმოების ინტერესებს.²²⁰ პორტუგალიაში ასევე არსებობს ევროპული ფონდების უსაფრთხო განკარგვის მაკონტროლებელი ორგანო ე.წ. Securities Exchange Commission-ი რომელიც შექმნილია კანონმდებლობის²²¹ ფარგლებში, სამეწარმეო ფონდებთან დაკავშირებული ევროკავშირის რეგულაციის²²² ქვეყნის ფარგლებში იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნებისთვის.²²³ კომისიას კანონის საფუძველზე ენიჭება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა აკონტროლოს ორგანიზაციები, რომლებიც განკარგავენ სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირისგან მიღებულ სახსრებს.²²⁴ უშუალოდ სახელმწიფო ორგანოთა კონსულტირების მიზნებისთვის, რაც გულისხმობს პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში სახელმწიფოთა კონსულტირებასა და ინფორმირებას, ბელგიაში არსებობს ე. წ. „მრჩეველი სააგენტოები“ რომელთა სტატუსიც სამართლებრივად არის განმტკიცებული ველონის რეგიონის ხელისუფლების მიერ.²²⁵ სააგენტოები არსებობენ ფონდების, ასოციაციების, კოოპერატივების სახით, საკონსულტაციო საქმიანობის ნაწილში ფინანსდებიან ხელისუფლების მიერ და მსგავსი საკონსულტაციო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროებენ ხელისუფლების 3 წლიან ნებართვას.²²⁶ სლოვენიაში არსებობს დაინტერესებულ პირთა ერთობაზე დაფუძნებული, სფეროს ადვოკატირებით განმახორციელებელი ორგანო, სოციალური საწარმოების საბჭო.²²⁷ ის დაკომპლექტებულია ქვეყანაში მოქმედი ყველა სამინისტროს მხრიდან თითო წარმომადგენლით (გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსი), ასევე აერთიანებს სოციალურ საწარმოთა ორ წარმომადგენელს, სფეროს ექსპერტსა და ერთ სოციალურ პარტნიორს. იტალიაში, სოციალურ საწარმოთა ეკოსისტემის მთავარ აქტორებად მიჩნეულები არიან: 1. საჯარო პოლიტიკის განმახორციელებლები 2. კვლევითი ინსტიტუტები და დამკვირვებლები 3. კავშირები და 4. ფინანსური შუამავლები ²²⁸ რომელთაგანაც ე.წ. „კავშირების“ წარმომადგენლებს აქვთ სხვადასხვანაირი ინსტიტუციური სახე, ფორმა და ფუნქცია. მათ შორისაა **წარმომადგენლობითი ორგანოები**, ფედერაციული დაწესებულებები, რომლებიც ითავსებენ სფეროს პოლიტიკური წარმომადგენლების, ადვოკატების ფუნქციებს. ფედერაციების ძირითადი მიზანია სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარება და კონსოლიდაცია მასზე ფართო საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების გზით. არსებობენ ასევე **ნაციონალური, რეგიონული თუ ლოკალური კონსორციუმები** რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი ტიპის კორპორაციულ გაერთიანებებს. როგორც ეს შესაბამის წყაროშია მითითებული²²⁹ კონსორციუმების მთავარი მიზანია სახელმწიფოსთან ურთიერთობაში „გენერალური კონტრაქტორის“ როლის შეთავსება, წვრილ სოციალურ საწარმოებთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში. კერძოდ, საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება იმ

220 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.38 <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

221 Law 18/2015 of 4 March

222 Regulation (EU) No. 346/2013 of the European Parliament and of the Council of 17 April on European Entrepreneurship Funds)

223 This Regulation was amended by Regulation 2017/1991 of the European Parliament and of the Council of 25 October 2017. It will enter into force on 1.3.2018.

224 Deolinda M., Ramos M., Social entrepreneurship: legislative contributions, Revista Electrónica de Direito, 2019, გვ. 135-162

225 Government of the Walloon Region of Belgium, Décret 27-05-2004

226 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.39 <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

227 the Council for Social Entrepreneurship

228 Borzaga C., „Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.“, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ.60 <https://europa.eu/Qq64ny>

229 Borzaga C., „Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.“, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ.60-65 <https://europa.eu/Qq64ny>

მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს შესყიდვების ფორმალური კრიტერიუმები კონტრაქტის სიდიდის, გამოცდილებისა და ფინანსურად მდგრადი პოზიციის ფლობასთან დაკავშირებით, საჯარო ხელშეკრულების მოპოვების შემდგომ კი მომსახურების გაწევის პროცესში სოციალურ საწარმოთა მაქსიმალური ინტეგრაცია. კონსორციუმები ასევე აქტიურობენ ფინანსურ დაწესებულებებთან მოლაპარაკების მიმართულებით, რათა მოიპოვონ შეღავათიანი სესხების მიღების უფლება სფეროს კოლექტიური წარმომადგენლებისთვის. ხშირად სწორედ კონსორციუმები გამოდიან სოციალურ საწარმოთა თავმდებებად საბანკო და სხვა ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში. თავად კონსორციუმები ფინანსდებიან სხვადასხვა წყაროებიდან, (მათ შორის საწევრო შენატანები) და მოქმედებენ როგორც ლოკალურ, ისე ნაციონალურ დონეზე. ISTAT census-ის მონაცემების შესაბამისად, იტალიაში 2011 წლის მონაცემებით ფიქსირდებოდა 405 ლოკალური კონსორციუმი. იტალიაში აქტიურად მოღვაწეობენ ასევე ე. წ. **მხარდამჭერი კავშირები** რომლებიც წარმოდგენილი არიან მსხვილი არასამეწარმეო ორგანიზაციების სახით. ისინი ასრულებენ სახელმწიფო სექტორთან წარმომადგენლების როლს, საკოორდინაციო საქმიანობას, ასევე ხელს უწყობენ სფეროს წარმომადგენელთა ერთიანი ჯგუფების, კავშირების შექმნას, იმ ადამიანთა თუ ორგანიზაციათა გაერთიანებას, რომლებიც მსგავსი სოციალური და საზოგადოებრივი მიზნებით საქმიანობენ.²³⁰ აღსანიშნავია ასევე იმგვარ კავშირთა მუშაობა (ე. წ. ინკუბატორები, აქსელერატორები) რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას უშუალოდ სოციალურ მეწარმეთა ფინანსური დახმარების მიზნებისთვის (ისინი არჩევენ, აფინანსებენ და მხარს უჭერენ სოციალურ ან გარემოსდაცვითი მიზანზე ორიენტირებულ წამოწყებებსა და სტარტაპებს მათ საწყის ფაზაში.²³¹

პოლონეთში სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის (Polish National Programme for Social Economy Development (KPRES)), ფარგლებში დაფუძნდა სოციალური ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო კომიტეტი. ეს კომიტეტი არის დარგზე პასუხისმგებელ ორგანოთა და დარგის წარმომადგენელთა შორის სოციალური დიალოგის ხელშეწყობი ორგანო, რომელიც მოქმედებს პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესაბამისად. მის დაფინანსებაზე პასუხისმგებელია შრომისა და სოციალური სამინისტრო, ხოლო მისი დაკომპლექტება ხდება სახელმწიფო წარმომადგენლების ერთობლივი ძალებით. (რეგიონების, დეპარტამენტებისა და ოფისების წარმომადგენლებით, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სოციალური ეკონომიკის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული საკითხების აღსრულებაზე, ასევე სოციალური საწარმოებისა და ეკონომიკის სფეროს უშუალო წარმომადგენლებით). კომიტეტის ძირითად ფუნქციებში შედის:

- ნაციონალურ დონეზე სოციალური ეკონომიკის სფეროში აქტივობების კოორდინირება
- KPRES-ის იმპლემენტაციის პროცესში სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის სოციალური ეკონომიკის სფეროს განვითარების შესახებ ანგარიშებსა და შუალედურ შეფასებებზე დაყრდნობით
- KPRES-ს იმპლემენტაციის პროცესსა და სოციალური ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მიღება
- სოციალური ეკონომიკის სფეროში ინოვაციური პროექტებისა და სამეცნიერო კვლევების ორგანიზება და მონიტორინგი.
- სოციალური ეკონომიკის განვითარების პროგრამის მონიტორინგი და ზედამხედველობა
- სოციალურ ეკონომიკის სტრატეგიულ პროგრამებთან დაკავშირებით რეკომენდაციების წარდგენა, სამართლებრივი და ფინანსური მიმართულებით ინიციატივების შემუშავება
- განვითარების სტრატეგიისა და დაკავშირებული პროგრამების იმპლემენტაცია და სტრატეგიის შესაძლო ცვლილებების განხილვა.

230 მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაცია (Rete Misericordie) იტალიაში.

231 მათ რიცხვში შედის მაგალითად Avanzi-Make a Cube, FabriQ, Impact Hub და ა.შ

- სოციალური ეკონომიკის სექტორიდან იმ პირთა შერჩევა, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას საკონსულტაციო შეხვედრებში.²³²

დიდი ბრიტანეთში სოციალური საწარმოების მთავარ წარმომადგენელ ინსტიტუციურ კავშირს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის სოციალური საწარმო (Social Enterprise UK (SEUK), ჩამოყალიბებული 2002 წელს, სოციალურ საწარმოთა კოალიციის ფორმით. იგი ითვლის დაახლოებით 800 წევრ ორგანიზაციას და 15000-მდე პარტნიორ მხარეს. კოალიცია ფაქტობრივად წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით „სოციალურ საწარმოთა“ ხმას, ამ მიმართულებით პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილე ძირითად ძალას და დაინტერესებულ პირთა თანამშრომლობის ხელშეწყობა რგოლს.²³³

ბულგარეთში, სოციალური ეკონომიკისა და სოციალურ საწარმოთა ხელშესაწყობად 2010 წელს შეიქმნა სოციალური ეკონომიკის სამუშაო ჯგუფი. მათ დაევალიათ სოციალური ეკონომიკის ნაციონალურ კონცეფციაზე მუშაობა, ასევე 2 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა დაინტერესებულ პირთა მრავალფეროვანი შემადგენლობით. კერძოდ, მასში შევიდნენ რელევანტური საჯარო უწყებების წარმომადგენლები, პროფკავშირები და დამსაქმებლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური საწარმოები, აკადემიური წრის წარმომადგენლები, კავშირები და კოოპერატივები. სწორედ ამ სამუშაო ჯგუფმა განაპირობა 2012 წელს სოციალური ეკონომიკის ნაციონალური კონცეფციის და სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების 2 წლიანი სახელმწიფო სამოქმედო გეგმის შემუშავება. (გეგმა განახლებადია ყოველ 2 წელიწადში ერთხელ).²³⁴ ბულგარეთის მაგალითი ასევე საინტერესოა იმიტომაც, რომ სოციალური მეწარმეობის სფეროს ინსტიტუციურ ხელშეწყობასთან დაკავშირებული კონკრეტული ფუნქციები გადანაწილებულია სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. ამ მხრივ წამყვანი სახელმწიფო ორგანოა შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო რომლის, სოციალური ეკონომიკის სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ მოვალეობებს შორის შედის: 1. სოციალური მეწარმეობის სფეროს წარმომადგენელთა ხელშეწყობა საჯარო უწყებებთან დიალოგის ორგანიზებისა და წარმართვის პროცესში 2. საჯარო ელექტრონული პლატფორმის მართვა, სადაც სფეროთი დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დააფიქსირონ და ატვირთონ სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული იდეები, რაც მათ სამომავლო ინვესტიორებთან დაკავშირებასა და სოციალურ მეწარმეობაში მათ ჩართვას მოემსახურება. 3. ნაციონალურ დონეზე ტრენინგების ჩატარება/გამდოლა, რომლებიც ემსახურება სოციალური საწარმოების მენეჯმენტის წარმომადგენელთა უნარების განვითარებას 5. სოციალურ საწარმოთა სარეგისტრაციო პროცესებისა და შესაბამისი რეესტრის ზედამხედველობა, სოციალურ საწარმოთა სერტიფიცირება/მარკირება 6. სხვა სამინისტროებთან სოციალური ეკონომიკის სფეროს საჭიროებებთან დაკავშირებით აქტიური კომუნიკაცია, უწყებათა ჩართულობით წამოწყებული საერთო ინიციატივების ხელმძღვანელობა.²³⁵

232 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ.19 <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

233 Triponel A., Agapitova N., „Legal frameworks for social enterprises - lessons from comparative study of Italy, Malaysia, South Korea, United Kingdom and United States“ World Bank Group, 2016, გვ. 59, [https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel:%20Agapitova%20\(2017\)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf](https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel:%20Agapitova%20(2017)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf)

234 Jeliaskova M., „Social enterprises and their ecosystems in Europe, updated country report: Bulgaria., European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ. 50-52, <https://europa.eu/IQ64ny>

235 Jeliaskova M., „Social enterprises and their ecosystems in Europe, updated country report: Bulgaria., European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ. 59, <https://europa.eu/IQ64ny>

10 სოციალური საწარმოების სამართლებრივი ფორმები და მათი მახასიათებლები

10.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური საწარმო კერძო სამართლის იურიდიული პირია, ის არსებობს კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ტრადიციულად, სოციალურ საწარმოთა უმრავლესობა იქმნებოდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ასოციაციების, კავშირების, სოციალური კოოპერატივების) სახით, თუმცა დროის სვლასთან ერთად იმატა სოციალური საწარმოების მეწარმე სუბიექტებად ჩამოყალიბების ტენდენციამ.

რიგ ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, შეიქმნა უშუალოდ სოციალურ საწარმოზე მორგებული სპეციალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. რიგ შემთხვევაში ამ ნაბიჯმა გამოიწვია სოციალურ საწარმოთა დე-ფაქტო და დე-იურე ფორმით არსებობა, რამაც თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა სოციალურ საწარმოთა სხვადასხვა ფორმების მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას და მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ საწარმოთა პრივილეგიებას.

ქვეყანათა უმრავლესობაში დაშვებულია სოციალურ საწარმოთა კანონით დადგენილი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირება, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია სოციალური მეწარმეობის მახასიათებელი ყველა ძირითადი კრიტერიუმი.

10.2 სოციალური საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარება სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი ორგანიზაციები უმეტესად ასოციაციების ან კოოპერატივების ფორმით არსებობდნენ²³⁶ პრაქტიკის განვითარებასთან ერთად გამოიკვეთა, რომ სოციალური მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა, კანონით დაშვებული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით.²³⁷ მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ქვეყნები ცდილობენ გაითვალისწინონ სოციალური საწარმოების საქმიანობის ყველასგან განსხვავებული ასპექტები და შექმნან მათთვის მაქსიმალურად შესაფერისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.²³⁸ შედეგად, სოციალური საწარმოებისთვის მუშავდება ინდივიდუალური სამართლებრივი ფორმები.²³⁹ ამის მაგალითია ბელგიაში - სოციალური მიზნის მქონე კომპანია (the Social Purpose Company), ბრიტანეთში - საზოგადოებრივი ინტერესის კომპანია (the Community Interest Company (CIC), იტალიაში პირველი ან მეორე ტიპის სოციალური კოოპერატივი

236 Galera G., Salvatori G., "Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe", International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.5, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-/-ed_emp/-/-emp_ent/-/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

237 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

238 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

239 Triponel A., Agapitova N., "Legal frameworks for social enterprises - lessons from comparative study of Italy, Malaysia, South Korea, United Kingdom and United States" World Bank Group, 2016, გვ.12-29, [https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel%20Agapitova%20\(2017\)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf](https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel%20Agapitova%20(2017)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf)

(Social Cooperatives (Types 1 and 2), ამერიკაში მცირე მოგების შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია (Low-profit limited liability company)).²⁴⁰ სოციალური საწარმოები მათთვის სპეციალურად შექმნილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არსებობდნენ ესპანეთშიც.²⁴¹ თუმცა ეს არ გამოირიცხავს სხვა სამართლებრივი ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოების მიმდებლობას. ასეთი ქვეყნები ცნობენ სოციალური მეწარმეების დე იურე ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმებს, მაგრამ არ გამოირიცხავენ დეფინიციის დონეზე დე ფაქტო სოციალური საწარმოების არსებობასაც. მაგალითად, ჩეხეთში დე იურე ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოების გარდა (სოციალური კოოპერატივები), მოქმედებენ დე ფაქტო სოციალური საწარმოები ასოციაციების, საზოგადოებრივი სარგებლის კომპანიების (public benefit companies), ინსტიტუტების, ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების (church legal persons) კოოპერატივების (არა სოციალური) და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების სახით.²⁴² მოცემულთაგან საინტერესოა მაგალითად საზოგადოებრივი სარგებლის მომტანი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიების ორგანიზაციული ფორმა. ეს ფორმა ჩეხეთში 1995 წელს მიღებული კანონის შესაბამისად დამკვიდრდა²⁴³ იმ ორგანიზაციათათვის სპეციალური პირობების შესაქმნელად, რომლებიც არაკომერციული მიზნების ქონის მიუხედავად, აქტიურად იყვნენ ჩართულები ეკონომიკურ საქმიანობაში.²⁴⁴ ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც მათ გამოარჩევდა სოციალური კოოპერატივებისგან - კლასიკური გაგებით - იყო ეკონომიკური საქმიანობის დამხმარე და მეორადი ხასიათი და მმართველობის სტანდარტული ფორმა. სწორედ ამიტომ, ჩეხეთის ხელისუფლებამ სცადა სამართლებრივი ფორმის ჰიბრიდული მოდელის პრაქტიკაში დაშვება.²⁴⁵ მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული მიდგომა ხელს უწყობს იმ საჭიროებების დაკმაყოფილებას, რომელიც მხოლოდ სოციალურ საწარმოებს აქვთ (და არ აქვთ კომპანიებს ან არასამათავრობო ორგანიზაციებს, მაგალითად, საქმიანობის გამჭვირვალობის განსხვავებული სტანდარტები, ნაკლები ბიუროკრატია დაფუძნების ან რეგისტრირების ეტაპზე, ფინანსური სახსრების მიღების, აღრიცხვის ან დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი, კორპორაციული მმართველობის განსხვავებული წესები) ამავე მიზეზით სოციალური საწარმოებისთვის რთულია საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და გაფართოება.²⁴⁶ მათ უწევთ ერთი ქვეყნის მასშტაბით იმოქმედონ სულ სხვა რეჟიმზე დაქვემდებარებით, განსხვავებული სამართლებრივი ფორმით, სხვა ქვეყანაში მოიგონ აბსოლუტურად განსხვავებული გარემო. ამავე მიზეზით რთულდება თანმიმდევრული მონაცემების შეგროვებაც სოციალურ საწარმოთა სამოქმედო ფარგლების შესახებ სხვადასხვა ქვეყნების მასშტაბით.²⁴⁷ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკმაოდ რთულია ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იმგვარად შემუშავება, რომ პრაქტიკაში მოცემული

240 Triponel A., Agapitova N., "Legal frameworks for social enterprises - lessons from comparative study of Italy, Malaysia, South Korea, United Kingdom and United States" World Bank Group, 2016, გვ.12-29, [https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel,%20Agapitova%20\(2017\)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf](https://sswm.info/sites/default/files/reference_attachments/Triponel,%20Agapitova%20(2017)%20Legal%20frameworks%20for%20social%20enterprises_EN.pdf)

241 სოციალური საწარმო ესპანეთში შეიძლება იყოს 1. კოოპერატივი (Cooperatives) 2. დახურული შრომითი ცენტრი (Sheltered Employment Center) ან 3. შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოები (Work Integration Social Enterprises), Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

242 Fraňková E., "Social enterprises and their ecosystems in Europe Updated country report: Czech Republic." European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ.10 <https://europa.eu/!Qq64ny>

243 Act no. 248/1995 on Public Benefit Companies (PBC)

244 Fraňková E., "Social enterprises and their ecosystems in Europe Updated country report: Czech Republic." European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ.10 <https://europa.eu/!Qq64ny>

245 Fraňková E., "Social enterprises and their ecosystems in Europe Updated country report: Czech Republic." European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ.25 <https://europa.eu/!Qq64ny>

246 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

247 Benjamin H., Nicholls A., "Social Entrepreneurship: Definitions, Drivers and Challenges" Social Entrepreneurship and Social Business, 2021, გვ. 31-48

აკმაყოფილებდეს სექტორის ყველა საჭიროებას. ამ მიზეზით მითითებულ ქვეყანათა პრაქტიკა არ გაიზიარეს მაგალითად იტალიასა და საფრანგეთში, სადაც სოციალურ საწარმოთათვის განსაზღვრულია არა კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, არამედ სოციალური მეწარმის სტატუსი. ამ გზით მსუბუქდება სოციალური მეწარმეობის აღიარებისთვის საჭირო ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული მოთხოვნები და ნარჩუნდება სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლება.²⁴⁸ მიჩნეულია, რომ სტატუსის მიღებისა და აღიარების პროცესი, ორგანიზაციის რეგისტრირებისა და კონკრეტული ფორმით დაფუძნების პროცესის კონტროლზე უფრო ადვილია.²⁴⁹ მიჩნეულია ისიც, რომ თუ სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე სუბიექტის მხრიდან ვალდებულებათა დარღვევებს ექნება ადგილი, სტატუსის შეჩერება/ჩამორთმევა ნაკლებად ბიუროკრატიულ სანქციას წარმოადგენს, ვიდრე ორგანიზაციის ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია.²⁵⁰ ამ და სხვა მიზეზთა გამო, ქვეყნების უმრავლესობაში არ იქმნება სპეციალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, არამედ უკვე არსებული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით მოქმედ საწარმოებს ენიჭება კონკრეტული სტატუსი. სტატუსის მიღება კი დაკავშირებულია წინასწარ ჩამოყალიბებულ წინაპირობებთან.²⁵¹ მაგალითად სლოვენიაში, სოციალური მეწარმეობის აქტი (the Social Entrepreneurship Act) საშუალებას აძლევს საზოგადოების, ინსტიტუტის, ფონდის, კოოპერატივის ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ფორმით არსებულ იურიდიულ პირს მოითხოვოს ეს სტატუსი, თუ ის წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და არ არის შექმნილი მხოლოდ მოგების მიღების მიზნით.²⁵² თავის მხრივ, იგივე აქტი განარჩევს ამ სტატუსის ორ განსხვავებულ ტიპს:

ა ტიპი - სოციალური საწარმო, რომელიც ახორციელებს ერთი ან რამდენიმე ტიპის სოციალურ-სამეწარმეო საქმიანობას, ჩამოთვლილს ამავე აქტის მე-5 მუხლში ან განსაზღვრულს სოციალურ-სამეწარმეო საქმიანობათა მომწესრიგებელი რეგულაციით.²⁵³

ბ ტიპი - შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმო, რომელიც ასაქმებს მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებს.

რუმინეთის ჩარჩო კანონი სოციალური ეკონომიკის შესახებ²⁵⁴ ასევე განარჩევს ორი ტიპის სოციალურ საწარმოს. მოცემულ შემთხვევაშიც პირველი ტიპის სტატუსს იღებს ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიული პირი მოქმედი სოციალური ეკონომიკის სფეროში, იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული. მეორე ტიპის სტატუსი კი ენიჭება საზოგადოებას, რომლის დასაქმებულთა მინიმუმ 30% არის მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი, შესაბამისად იმგვარი სოციალური საწარმო, რომლის სოციალურ მიზანსაც წარმოადგენს მსგავსი ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ მარგინალიზაციის, გარიყვის, დისკრიმინაციის, უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრა. ზემოხსენებული ორი მაგალითით იკვეთება ის, რომ კანონი შეიძლება ასხვავებდეს სოციალურ საწარმოთა სამოქმედო სფეროებს და სტატუსის მინიჭების პირობებიც ამ განსხვავებასთან იყოს დაკავშირებული. მოცემული შეიძლება მოემსახუროს ამა თუ იმ ტიპის სოციალური საწარმოს კონკრეტული საჭიროებების, ასევე მათ ზედამხედველობასა თუ რეგისტრირებაზე პასუხისმგებელი რელევანტური ორგანოს სწორად განსაზღვრას.

248 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

249 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

250 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

251 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

252 ეს ფინანსური კრიტერიუმი სლოვენიაში კმაყოფილდება მაშინ, როდესაც კომპანია მესაკუთრეებს შორის არ ანაწილებს აქტივებსა და მოგებას

253 Art. 5 of the Social Entrepreneurship Act, Regulation on Determination of Activities of Social Entrepreneurship

254 The Framework Law of Romania on Social Economy

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგ ქვეყანაში არსებობს შეზღუდვა ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით. მაგალითად იტალიაში მოქმედი მსგავსი შეზღუდვის მიხედვით სოციალური კოოპერატივებს არ აქვთ უფლება გახდნენ სამეწარმეო პირები.²⁵⁵ მსგავსი მიდგომა არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოშიც. მოცემული რეგულაცია ა(ა)იპ-ების საქმიანობაზე კერძო ეკონომიკური ინტერესების გავლენის ზრდის პრევენციას ემსახურება. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები განსხვავდებიან სოციალურ საწარმოთაგან სწორედ ეკონომიკური კომპონენტით. იმ პირობებში, როდესაც გასაგებია რეორგანიზაციის უფლების შეზღუდვის საფუძვლები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, არალოგიკურია იმავე ფარგლებში შეზღუდვების დაწესება სოციალური საწარმოებისთვის, რომელთათვისაც არსებითად ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაა. მოცემული კი მეწარმე სუბიექტის ორგანიზაციული ფორმით უფრო ოპტიმალურად ხორციელდება, ვიდრე არაკომერციული, არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული უნდა იყოს სოციალურ საწარმოთა მხრიდან სოციალური მიზნების ერთგულება, რაც დემოკრატიული მმართველობითი სისტემის, საგადასახადო კონტროლისა და საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტირებით მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „სოციალური საწარმო“ შესაძლოა საქმიანობას ეწეოდეს როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის, ისე ა(ა)იპ-ის ფორმით.²⁵⁶ შესაბამისად, ნებისმიერი საწარმო/ორგანიზაცია, მოქმედი ნებისმიერი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით განიხილება სოციალურ საწარმოდ, თუ ის ეწევა ბიზნესსაქმიანობას და პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციით იღებს შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, აქვს მკაფიოდ გამოხატული სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზანი და მოგების რეინვესტირებას უპირატესად ახდენს თავისი სოციალური მიზნების მისაღწევად/გასაზრდელად.²⁵⁷ ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს სოციალური საწარმოს ოფიციალური განმარტება, სტატუსი ან სამართლებრივი აღიარების სხვა მსგავსი მექანიზმი. ეს ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საწარმოს/ორგანიზაციის სოციალური საწარმოდ ცნობა მხოლოდ პრაქტიკული ხასიათის, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე მოქმედებაა, რომელსაც სამართლებრივი საფუძველი, ან რაიმე ტიპის ავტომატური სამართლებრივი შედეგი არ აქვს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებობდეს თვითაღიარების მაღალი ხარისხი და ორგანიზაცია/საწარმო აცნობიერებდეს საკუთარი საქმიანობის, ასევე ამ საქმიანობიდან გამომდინარე საჭიროებების რეალურ ხასიათს.²⁵⁸

255 Borzaga C., “Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.” European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ. 22, <https://europa.eu/!Qq64ny>

256 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.6, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

257 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.6, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

258 დათუაშვილი ე., „სოციალური მეწარმეობა საქართველოში საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2020, გვ.6, http://seageorgia.ge/uploads/files/research_sea_csi_5f0da812d3a20.pdf

11 სოციალური საწარმოების რეგისტრაცია, აკრედიტაცია და ზედამხედველობა

11.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სოციალურ საწარმოთა რეგისტრაცია წარმოადგენს საწარმოთა იურიდიული აღიარების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკულ მექანიზმს.

სოციალურ საწარმოთა რეგისტრაცია ერთი მხრივ ემსახურება სოციალურ საწარმოთა სტატუსის დეკლარირებას, მეორე მხრივ სოციალური საწარმოების შესახებ ზუსტი ინფორმაციის შეგროვებასა სტატისტიკის წარმოებას, დაინტერესებულ პირთათვის მათი შემდგომი მიწოდების/გაზიარების მიზნით.

სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების წინაპირობები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში სოციალურ საწარმოდ რეგისტრირებას ექვემდებარება კანონით დაშვებული სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმით მოქმედი პირი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა კონკრეტული სოციალური მიზნით. სოციალური მიზანი, ასევე მმართველობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები გაწერილი უნდა იყოს სოციალური საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში. ზოგიერთი ქვეყანა სოციალური საწარმოს მხრიდან ითხოვს ქვეყანაში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად სოციალური გავლენის შედეგების შეფასების დოკუმენტს.

სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების განმახორციელებელი ორგანოები, მათი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. რიგ შემთხვევაში რეგისტრირების ფუნქცია შეთავსებული აქვს მეწარმე და არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირთა რეესტრს. ზოგ შემთხვევაში უწყების შიგნით გამოყოფილია სოციალურ საწარმოთა რეგისტრირებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული დეპარტამენტი, რომელიც ანგარიშვალდებულია შესაბამისი სამინისტროს მიმართ.

რიგ შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილებას სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების შესახებ იღებს კონკრეტული სამინისტრო (უმრავლეს შემთხვევაში ეს არის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ან შრომისა და სოციალური სამინისტრო)

როგორც წესი, რეგისტრირების ეტაპზე განმცხადებლის დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემმოწმებელ ორგანოთა კომპეტენცია გამოყოფილია სფეროს წარმომადგენელთა საქმიანობის შემდგომ კონტროლზე პასუხისმგებელი ორგანოებისგან.

შეიძლება ქვეყნის მასშტაბით, სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების მოთხოვნის პარალელურად, ან მისგან დამოუკიდებლად არსებობდეს სოციალურ საწარმოთა სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის, ასევე მარკირების სისტემა, რაც უზრუნველყოფს სოციალურ საწარმოთა მიერ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის ფარგლებში ვიზუალურად აღქმადი ფორმით კონკრეტული სიმბოლოს გამოყენებას და სოციალურ საწარმოთა სტატუსის უნივერსალურ მიმღებლობას.

11.2 სოციალურ საწარმოთა რეგისტრირებისა და აკრედიტაციის მეთოდები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური საწარმო ორგანიზაციული ფორმით მოქმედი კერძო სამართლის სუბიექტია, მისი შექმნა და დაფუძნება ხშირ შემთხვევაში უკავშირდება მის შესაბამის ორგანოში რეგისტრირებას.²⁵⁹ თუმცა, მოცემული არ არის საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გზა. შესაძლებელია სისტემა არ ითვალისწინებდეს სოციალური საწარმოსთვის ცალკე რეგისტრირების ვალდებულებას, თუმცა განსაზღვრავდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ სოციალური საწარმოს სტატუსის მინიჭებას განცხადების საფუძველზე (მათ შორის საჯარო სახით ხელმისაწვდომ პლატფორმასა თუ სისტემაში ინფორმაციის გამოქვეყნების გზით).²⁶⁰ მოცემული ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული პროცედურების, შესაბამისად ხარჯების თავიდან არიდების ეფექტური საშუალებაა.²⁶¹ მიუხედავად ამისა, გამართლებული ფორმით სტატუსის მინიჭების პრაქტიკულად მუშა სქემის დასახვა საკმაოდ რთულია. მოცემული ითვალისწინებს სტატუსის შინაარსის ჩამოყალიბებას, სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების საკანონმდებლო წესით განსაზღვრას, სოციალურ საწარმოთა ტიპების გამოყოფას, სპეციალური უფლებამოსილი ორგანოს შექმნას/განსაზღვრას, სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის ზუსტი წინაპირობების ჩამოყალიბებას, განაცხადის წინაპირობებთან შესაბამისობის დამდგენი პროცედურების განსაზღვრას, ასევე, სტატუსის ქონის დამადასტურებელი შესაბამისი ნიშნის შექმნას და ამ ინფორმაციის საჯაროობის, სარწმუნოებისა და სიზუსტის სტანდარტის შემუშავებას. შესაბამისად, პრაქტიკაში მეტია შემთხვევები, როდესაც სოციალური საწარმოს დე-იურე წარმოქმნა სწორედ რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული.²⁶² სოციალურ საწარმოთა რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ პირად შეიძლება მოიაზრებოდეს ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ზოგადად იურიდიული პირის რეგისტრირებაზე. იმის მიხედვით თუ როგორ არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დანაწილებული ქვეყნის ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა ტიპის (სამართლებრივი ფორმის) საწარმოსთვის ეს ორგანო სხვადასხვა იყოს. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება გადანაწილდეს მაგალითად ადმინისტრაციული ორგანოებზე, სასამართლოზე, სამინისტროსა თუ საქვეუწყებო დაწესებულებებზე.²⁶³ მაგალითად სლოვენიაში, კონკრეტული სამართლებრივი ფორმით კომპანიის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი ორგანო წყვეტს სოციალური საწარმოს სტატუსის ბედსაც.²⁶⁴ დანიაში საკითხს წყვეტს დანიური ბიზნესის მარეგულირებელი ორგანო. იტალიაში, სოციალურ ურთიერთობათა და შრომის სამინისტრო არის პასუხისმგებელი სოციალური მეწარმეობის სტატუსის მინიჭებაზე, მაშინ, როდესაც უშუალოდ სამართლებრივი პირის რეგისტრაციას ლოკალური უფლებამოსილი ორგანოები ახორციელებენ.²⁶⁵ ზოგიერთ ქვეყანას ჰყავს შერეული ტიპის კომიტეტები ან საბჭოები, რომლებიც განიხილავენ სოციალური მეწარმეობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ თემებს. მაგალითად ლატვიაში არსებობს

259 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

260 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-6, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

261 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-6, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

262 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-6, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

263 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.5-10, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

264 Slovenian Law on Social Entrepreneurship No. 20/2011, მოთ. Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.6, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

265 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.4-7, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

სოციალურ საწარმოთა კომისია რომელიც შეიქმნა საზოგადოებრივი კეთილდღეობის (welfare) სამინისტროს ქვეშ, როგორც მარეგისტრირებელი ორგანო და დაევალა განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენა სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმებთან. მისი დასკვნის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების შესახებ იღებს სამინისტრო.²⁶⁶

რაც შეეხება უშუალო პასუხისმგებლობებს, რომლებიც მარეგისტრირებელ ორგანოებს ეკისრებათ, მათგან უმნიშვნელოვანესია ვალდებულება შემოწმდეს აპლიკანტის შესაბამისობა სოციალური საწარმოს სტატუსის მისაღებად საჭირო მოთხოვნებთან.²⁶⁷ მაგალითად სლოვენიაში მარეგისტრირებელი ორგანო პასუხს აგებს განაცხადში მითითებული ინფორმაციის შემოწმებაზე, შეფასებასა და ანალიზზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი წარმატებულ განაცხადთა ავტორებს არეგისტრირებს.²⁶⁸ ქვეყნებში სადაც მარეგისტრირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების პასუხისმგებლობები იკვეთება, კომპეტენციათა ფარგლები გაცილებით ფართოა და მოიცავს როგორც კონტროლსა და ზედამხედველობას, ასევე სამოქმედო და მარეგულირებელი პოლიტიკის შესახებ რჩევებისა და მითითებების გაცემას. მაგალითად ლატვიაში საზოგადოებრივი კეთილდღეობის სამინისტრო არის როგორც სოციალური საწარმოების მარეგისტრირებელი, ისე ზედამხედველი ორგანო. რუმინეთში სტატუსის მინიჭებასა და გაუქმებაზე პასუხისმგებელია სოციალური ეკონომიკის დეპარტამენტი, რომელიც ლოკალური შრომითი ოფისების (დეპარტამენტის) ქვეშ ფუნქციონირებს.²⁶⁹ ზოგიერთ ქვეყანაში პირიქით, რეგისტრაციასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მკაფიოდ გამოიჯნულია. მაგალითად სლოვენიაში შიდა ადმინისტრაციული ორგანოები პასუხს აგებენ მხოლოდ რეგისტრაციის პროცესზე, ხოლო საწარმოებზე ზედამხედველი ორგანოა ეკონომიკისა და ტექნოლოგიის განვითარების სამინისტრო.²⁷⁰ ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ საწარმოებზე გრანტების გაცემას ეხმარებიან სამინისტროს ზედამხედველობისა და ანგარიშის მომზადების საქმეში და აწვდიან მას ინფორმაციას ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ. რუმინეთში შრომითი დაწესებულებები რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ საწარმოთა რეგისტრაციას, ასევე აწვდიან ანგარიშს შრომის სამინისტროს რაიმე ტიპის დარღვევის ან შეუსაბამო აქტივობის დაფიქსირების შემთხვევაში.²⁷¹ თუ საქმე ეხება სოციალური ეკონომიკის სფეროში ოჯახთა, სოციალური დაცვის ქვეშ მყოფთა ან ხანში შესულთა უფლებებს, დაწესებულებას უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი რეკომენდაციები.²⁷²

საქართველოში ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო სოციალურ საწარმოთა რეგისტრირების უფლების საჯარო რეესტრის სააგენტოსთვის მინიჭება, რა მიზნითაც წარდგენილი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტი.²⁷³

266 Slovenian Law on Social Entrepreneurship No. 20/2011, მით. Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.14-15, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

267 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.4-7, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

268 Slovenian Law on Social Entrepreneurship No. 20/2011, მით. Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.6, 14-15 <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

269 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.12-13, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

270 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.4-7, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

271 Briefer on cutting edge trends in social enterprise regulation, European Center for Not-for-Profit Law, 2019, გვ.4-7, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

272 Comparative Analysis of the Regulatory Framework for Social Enterprises, European Center for Not-for-Profit Law, 2015, გვ.6, <https://ecnl.org/sites/default/files/files/ECNL-Comparative-analysis-on-regulation-of-SE-Eng-2015.pdf>

273 კანონპროექტი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/204485?>

11.3 სოციალურ საწარმოთა ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება

საწარმოთა ანგარიშვალდებულება სახელმწიფოს წინაშე ქვეყანათა უმეტეს ნაწილში მათი ოპერაციული საქმიანობის რუტინულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სოციალური საწარმოების მიმართ მათი საზოგადოებრივი/სოციალური მისიიდან და მათი მხარდამჭერი პოლიტიკებიდან გამომდინარე, მათი ანგარიშვალდებულების მიმართ გაზრდილი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესი არსებობს. განსაკუთრებით იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული სოციალური საწარმოს ფორმისა და სახელის ბოროტად (გადასახადების შესამცირებლად, ფინანსური მხარდამჭერის მისაღებად და ა.შ.) გამოყენება და ამ გზით იმ საწარმოებისთვის რეპუტაციული და ინსტიტუციური ზიანის მოტანა, რომლებიც რეალურად და კეთილსინდისიერად იბრძვიან მათი სოციალური მისიის აღსასრულებლად.

თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალური საწარმოების ანგარიშვალდებულების მოთხოვნები მათი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე განსაზღვრება, და რამდენადაც მათი დიდი ნაწილი კერძო სამართლის სუბიექტს წარმოადგენს (სამეწარმოს ან არასამეწარმოს) მათ, ქვეყნის კანონმდებლობით ასეთი სუბიექტებისთვის განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ზოგადი მოთხოვნები ეკისრებათ.²⁷⁴ თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, ესპანეთი და ბრიტანეთი და სხვა) სოციალურ საწარმოებს დამატებითი ანგარიშვალდებულების მოთხოვნები წაეყენებოდათ, რაც ძირითადად მათი მხრიდან სოციალური მისიის ანგარიშის წარდგენის ვალდებულებაში გამოიხატება.²⁷⁵

იტალიაში სოციალური საწარმოებისა და სხვა სამართლებრივი სუბიექტების საგადასახადო, ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშვალდებულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტრო. დამოუკიდებელმა და სერთიფიცირებულმა აუდიტორმა უნდა დაადასტუროს სოციალური საწარმოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში. ამას გარდა, სოციალურმა საწარმომ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს უნდა წარუდგინოს სოციალური მისიის ანგარიში, სადაც აღიწერება ის საქმიანობა, რომელიც კომპანიამ განახორციელა წესდებით განსაზღვრული მიზნის მიღწევისთვის.²⁷⁶

დიდი ბრიტანეთში სოციალური საწარმოები სათემო ინტერესის კომპანიის (The community interest company (CIC)) სტატუსით არიან რეგისტრირებული და ადმინისტრაციული ორგანოს, რეგულატორის (Regulator) ზედამხედველობას ექვემდებარება. მსგავსი კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგება სხვა სამართლებრივი სუბიექტების მსგავსად ხორციელდება. ერთადერთი განსხვავება რეგულატორისთვის სათემო ინტერესის (community interest report) ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ვალდებულებაა. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე თუ: 1. გასული წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ რა შედეგები მოუტანა საზოგადოებას. 2. ინფორმაცია ბენეფიციარებთან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ კონსულტაციის გავლაზე და ამ კონსულტაციის შედეგები. 3. ინფორმაცია დირექტორის ანაზღაურებაზე. 4. ინფორმაცია ქონების გადაცემაზე. 5. ინფორმაცია დივიდენდების, ან ფასიანი ქაღალდების შესახებ.²⁷⁷

274 LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012 http://ecn1.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

275 LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012 http://ecn1.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

276 LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012 http://ecn1.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

277 LEGAL FRAMEWORK FOR SOCIAL ECONOMY AND SOCIAL ENTERPRISES: A COMPARATIVE REPORT, ECNL, September 2012 http://ecn1.org/dindocuments/442_ECNL%20UNDP%20Social%20Economy%20Report.pdf

ბულგარეთი: ბულგარეთის კანონმდებლობა განასხვავებს ორი ტიპის -A კლასისა და A+ კლასის სოციალურ საწარმოებს, რომლებსაც განსხვავებულ პრივილეგიებსა და ანგარიშვალდებულებებს უკავშირებს. კანონმდებლობით A კლასის სოციალური საწარმოები სამი წლის განმავლობაში ერთხელ, ხოლო A + კლასის საწარმოები ორ წელიწადში ერთხელ ვალდებული არიან შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს წარუდგინონ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ისინი კვლავ აკმაყოფილებენ სოციალური საწარმოს რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სოციალური მისიისა და სხვა კრიტერიუმების მიმართულებით.²⁷⁸ ინფორმაციის წარუდგენლობის ან კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში საწარმოს მოეხსნება სოციალური საწარმოს სტატუსი.²⁷⁹

ლუქსემბურგი: სოციალური საწარმოების ფინანსური ანგარიშვალდებულების ყველაზე განსხვავებული მოდელი აქვს შერჩეული ლუქსემბურგს, რომელიც საწარმოთა კომერციალიზაციის და ფინანსური მოგების სოციალური მიზნების სფეროში რეინვესტირებაზეა ფოკუსირებული. კერძოდ, ლუქსემბურგის კანონმდებლობის თანახმად, სოციალური გავლენის საწარმოებს (la société d'impact sociétal (SIS)) არ შეუძლიათ საწარმოს თანამშრომელს მინიმალური ხელფასის ექვსმაგ ოდენობაზე მეტი შრომის ანაზღაურება მისცენ, რისი დარღვევაც შესაბამის სამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირდება.²⁸⁰

11.3.1 ზედამხედველი ორგანოები

ბევრ ქვეყანაში სოციალური საწარმოების ზედამხედველობასა და რეგისტრაციას ერთი და იგივე ორგანოები ახორციელებენ. მაგალითად, ლატვიაში კეთილდღეობის სამინისტრო (Ministry of Welfare) პასუხისმგებელია, როგორც სოციალური საწარმოების რეგისტრაციაზე/სტატუსის მინიჭებაზე, ასევე მათი საქმიანობის დადგენილი რეგულაციების შესრულებაზე ზედამხედველობაზე.²⁸¹ რუმინეთშიც, სოციალური საწარმოების სტატუსის მინიჭებასა და ჩამორთმევაზე პასუხისმგებელი არიან ერთი და იგივე ორგანოები- ადგილობრივი შრომითი ოფისების სოციალური ეკონომიკის დეპარტამენტები.²⁸²

ქვეყანათა გარკვეულ ნაწილში, მკაცრად გამიჯნულია მარეგისტრირებელი და ზედამხედველი ორგანოები. ასეთ სახელმწიფოთა შორისაა სლოვენია, სადაც სოციალურ საწარმოების სტატუსის რეგისტრაციაზე ადგილობრივი ხელისუფლებას პასუხისმგებელი, ხოლო სოციალური საწარმოების საქმიანობის ზედამხედველობას ეკონომიკის განვითარებისა და ტექნოლოგიის სამინისტრო ახორციელებს. სამინისტროს ზედამხედველობის პროცესში ეხმარებიან, სოციალური საწარმოებისთვის გრანტის გამცემი ორგანოები, რომლებიც ანგარიშს აწვდიან სამინისტროს და ატყობინებენ სოციალური საწარმოების მხრიდან კანონშესაბამობის დაფიქსირების შემთხვევაში.²⁸³

278 Bulgaria, Social and Solidarity-based Enterprises Act, Art. 10 (13), https://base.socioeco.org/docs/social_and_solidarity_based_enterprises.pdf;

279 იქვე.

280 Social enterprises and their ecosystems in Europe | Country report LUXEMBOURG, European Commission, 2020, p. 30;

281 Latvia: Art. 4 of the Social Enterprise Law, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

282 Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ICNL, June 2019 p. 13, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

283 Briefer on Cutting Edge Trends in Social Enterprise Regulation, ICNL, June 2019 p. 13, <https://ecnl.org/sites/default/files/files/Briefer-on-social-enterprise-regulation.pdf>

11.3.2 კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა / სოციალური საწარმოს სტატუსის ჩამორთმევა

სოციალური საწარმოების მიმართ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შეუსრულებლობა სოციალური საწარმოებისთვის შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დადგომას იწვევს, რაც უმეტეს შემთხვევაში სოციალური საწარმოს სტატუსისა და თანმდევი ბენეფიტების ჩამორთმევაში ან/და ფინანსურ პასუხისმგებლობაში გამოიხატება.

ლატვიის კანონმდებლობით, კომპანიას სოციალური საწარმოს სტატუსი უნდა ჩამოერთვას, თუ მისი საქმიანობა აღარ აკმაყოფილებს სოციალურმა საწარმოსთვის კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს, ან/და საქმიანობის პროცესში არსებითად არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.²⁸⁴ კომპანიისთვის სოციალური საწარმოს სტატუსის ჩამორთმევის შემთხვევაში, ის ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში ვალდებულია სრულად გადაიხადოს საგადასახადო შეღავათების შედეგად მიღებული ბენეფიტები იმ წლებისთვის, რომლის განმავლობაშიც გამოვლინდა კანონმდებლობასთან შეუსაბამობა.²⁸⁵ ამასთანავე, კომპანიას შემდეგი 12 თვის განმავლობაში ეზღუდება უფლება ხელახლა მოიპოვოს სოციალური საწარმოს სტატუსი.²⁸⁶

სამხრეთ კორეაში დასაქმებისა და შრომის სამინისტრო სოციალურ საწარმოს სერთიფიცირებას გაუუქმებს თუ საწარმო აღარ აკმაყოფილებს კანონმდებლობით რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სტატუსის მოიპოვა ცრუ ინფორმაციის წარდგენით ან თაღლითური გზით, სტატუსის მიღების მიზანი იყო მოტყუებით ან თაღლითურად დაფინანსების მიღება, და სხვა. იმ საწარმოს, რომელსაც ჩამოერთვა სოციალური საწარმოს სტატუსი, ასევე სხვა საწარმო, რომელიც იდენტურად განიხილება სტატუსის ჩამორთმევიდან 3 წლის განმავლობაში აღარ შეიძლება მიენიჭოს/აღუდგეს სოციალური საწარმოს სტატუსი.²⁸⁷ ამავდროულად, სამხრეთ კორეის კანონმდებლობა განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც სოციალური საწარმო დროულად არ წარადგენს ყოველწლიურ ანგარიშს, ან არ შეასწორებს მასში არსებულ ინფორმაციას, უნებართვოდ ისარგებლებს სოციალური საწარმოს სახელით, ან სხვა სახით დაარღვევს საკანონმდებლო მოთხოვნებს.²⁸⁸

284 Latvia: Art. 11(3) of the Social Enterprise Law, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

285 Latvia: Art. 12 of the Social Enterprise Law, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

286 Latvia: Art. 13 of the Social Enterprise Law, available at: <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

287 South Korea, Social Enterprises Promotion Act (Act No. 8217), Art. 18,

<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/78610/84122/F-684569511/KOR78610%20Eng%202012.pdf>

288 იქვე. Art. 23;

ფინეთში შრომის სამინისტრო სოციალურ საწარმოს გაუქმებებს რეგისტრაციას თუ საწარმო აღარ აკმაყოფილებს რეგისტრაციის წინაპირობებს ან სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის, თუ სოციალურ საწარმოს დასაქმებულთა მინიმუმ 30% აღარ წარმოადგენს შშმ პირს ან/და გრძელვადიან უმუშევარ პირს 6 თვის განმავლობაში ან/და სახელმწიფოსგან სუბსიდიების მიღების მიზნით საწარმომ წარადგინა ცრუ ინფორმაცია, დამალა ისეთი ინფორმაცია, რასაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა სუბსიდიების მიღებაზე ან სახელმწიფო უწყებებს არ მიაწოდა საჭირო ინფორმაცია სუბსიდიების მიზნობრივი ხარჯვის შესამოწმებლად.²⁸⁹ სამინისტრო ვალდებულია სოციალური საწარმოს სტატუსის მოხსნის გადაწყვეტილების მიღებამდე, სოციალურ საწარმოს მისცეს შესაძლებლობა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია მათ წინააღმდეგ მიმდინარე პროცედურებთან დაკავშირებით. სოციალურ საწარმოებს ასევე უფლება აქვთ გაასაჩივრონ შრომის სამინისტროს გადაწყვეტილება სოციალური საწარმოს სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით.

12 სოციალური მეწარმეობის ფინანსური ხელშეწყობა

12.1 სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო ხელშეწყობა საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაციის მაგალითზე

12.1.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სოციალურ საწარმოთათვის საჯარო ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა ფინანსური ხელშეწყობის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია, რაც საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის სოციალურ მეწარმეობაზე გავრცელებით მიიღწევა. მოცემული გულისხმობს საჯარო შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინებას.

ტრადიციულად, საჯარო შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინებასთან დაკავშირებით არსებობდა შეზღუდვები, რაც კონკურენციის სამართლის პრინციპებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის მიერ გატარდა მსგავსი შეზღუდვის მოხსნის ღონისძიებები და წევრ ქვეყნებს მოეწოდათ საჯარო შესყიდვების განხორციელებისას გაეთვალისწინებინათ სოციალური კრიტერიუმი. (თუკი შესყიდვის ღირებულება არ აღემატებოდა დადგენილ ზღვრულ ოდენობას.)

მითითება გათვალისწინებულ იქნა რიგი წევრი ქვეყნების მიერ, თუმცა რეგულაციის პრაქტიკაში დანერგვა არ წარმოადგენს მარტივ საქმეს, უმეტესწილად ამ მიმართულებით ცნობიერებისა და ცოდნის, საკითხის გააზრების დაბალი დონის გათვალისწინებით.

საჯარო შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინება ასევე გართულებულია იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს კონკრეტული მითითებები, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ეს უკანასკნელი. კერძოდ, რას ნიშნავს ამ შემთხვევაში სოციალური კრიტერიუმი, რა წინაპირობების დაკმაყოფილებას გულისხმობს ეს უკანასკნელი და როგორ ხდება მისი შეფასება და გათვალისწინება.

უმეტეს შემთხვევაში სოციალურ საწარმოთა პრივილეგირება საჯარო შესყიდვების მიმართულებით ხორციელდება ე. წ. „დაჯავშნილი კონტრაქტების“ საფუძველზე, ან თვითმმართველი

289 Finland, Act on Social Enterprises (1351/2003 revised 924/2012), https://www.ilo.org/dyn/natlex/natlex4.detail?p_lang=en&p_isn=73937

ორგანოებისთვის იმგვარი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე, რომელიც მათ აძლევს შესაძლებლობას შესყიდვების პროცედურების განხორციელების გარეშე შეიძინონ სოციალურ საწარმოთაგან კონკრეტული სოციალური მომსახურებები.

საჯარო შესყიდვების მიმართულებით აღინიშნება სოციალურ საწარმოთა შერჩევითი პრივილეგიების შემთხვევები. როგორც წესი, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული შეღავათებით სარგებლობენ მხოლოდ კონკრეტული საქმიანობის განმახორციელებელი სოციალური საწარმოები, მათ შორის, უმრავლეს შემთხვევაში, შრომითი ინტეგრაციის მიზნით დაფუძნებული სოციალური საწარმოები.

12.1.2 სოციალური საწარმოების ხელშეწყობის მიზნით საჯარო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაცია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

კეთილშობილური სოციალური მიზნების გარდა, რომელსაც სოციალური საწარმოები ემსახურებიან, არსებობს ობიექტურ საჭიროებებთან დაკავშირებული მიზეზები, რომლებიც სოციალური საწარმოების ფინანსურად ხელშეწყობას ამართლებენ. ეს მიზეზები ხშირ შემთხვევაში იმ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელთა გადალახვაც სოციალურ საწარმოებს ყოველდღიური საქმიანობის პროცესში უწევთ. სოციალური მეწარმეობა გულისხმობს ბიზნეს გეგმის განვითარებას იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს საზოგადოების საჭიროებები, მარკეტინგისა და ბრენდ სტრატეგიები სამიზნე ჯგუფების ინტერესებს ერგებოდეს, ბუღალტრული საქმეები იწარმოებოდეს მკაცრი რეგულაციების შესაბამისად (რომელიც როგორც წესი წარმოადგენს მეწარმე და არასამეწარმეო ორგანიზაციებისთვის დადგენილი რეგულაციების კომბინაციას), საქმიანობის პროდუქტიულობის ხარისხი ფასდებოდეს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სოციალური შედეგების გათვალისწინებით ხოლო ადამიანური რესურსები იმართებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ერთი მხრივ კვალიფიციური და ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვა, ამასთანავე მოწყვლადი ჯგუფების შრომით ბაზარზე ინტეგრირება.²⁹⁰ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორმაგ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად ის, რომ სოციალური საწარმოები შეიძლება სარგებლობდნენ გარკვეული ფინანსური მხარდაჭერითა და პრივილეგიებით, სწორედ მათი სტატუსიდან გამომდინარეობს.²⁹¹

საჯარო სექტორი მსგავსი ფინანსური მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყარო/რესურსად განიხილება. ფინანსურმა მხარდაჭერამ შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს. მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების სტრატეგიამ შესაძლოა უპირატესობა მიანიჭოს სოციალურ საწარმოებს წმინდა კომერციული საქმიანობის ნაწილში. მათი საქმიანობის მასშტაბის მიხედვით, სოციალურ საწარმოებს შეიძლება ჰქონდეთ უფლება ისარგებლონ შეღავათიანი მიკროსაფინანსო მომსახურებით ან მიიღონ მონაწილეობა მთავრობების მიერ შემოღებული ფინანსური გრანტების კონკურსში(სოციალური ინვესტიციების მისაღებად ან სოციალური ზემოქმედებისთვის გამოყოფილი ობლიგაციებისთვის).²⁹²

მოცემული თავი შეეხება საჯარო შესყიდვების მიმართულებას, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო მიდგომის განვითარების შემთხვევაში, შეიძლება გადაიქცეს სოციალურ საწარმოთა ფინანსური ხელშეწყობის მძლავრ მექანიზმად. ამ მიმართულებით სოციალური საწარმოებისთვის პოზიტიური ცვლილებები ნიშნავს სოციალური საწარმოს დაშვებას საჯარო

290 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.16, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

291 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.11, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

292 World Youth Report: Youth Social Entrepreneurship and the 2030 Agenda, United Nations, New York, 2020, გვ.17, <https://www.un.org/development/desa/youth/wp-content/uploads/sites/21/2020/07/2020-World-Youth-Report-FULL-FINAL.pdf>

ბაზარზე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად, კონკურენციის პოლიტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვებში სოციალური პუნქტების დანერგვა არ იყო დაშვებული, 2014 წელს საჯარო შესყიდვების რეფორმის პაკეტმა ეს ნაწილობრივ შეცვალა.²⁹³ კერძოდ, ევროკავშირის 2014 წლის რეფორმა საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით მოიცავდა დებულებებს, რომლებიც მოუწოდებდა საჯარო სექტორს საჯარო შესყიდვების განხორციელებისას გაეთვალისწინებინა სოციალური კომპონენტი. უფრო კონკრეტულად, ის იძლეოდა შესყიდვების პროცედურებში სოციალური დათქმების ინტეგრირების შესაძლებლობას.²⁹⁴ მსგავსი სულისკვეთებით 2012 წელს, ზოგადი ეკონომიკის ინტერესის სერვისების (Services of General Economic Interest-SGEI) მიერ შემუშავდა ინიციატივის პაკეტი, რომელმაც უფრო მეტი მოქნილობა შემოიღო საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სოციალური საწარმოების დაკონტრაქტების მიმართულებით.²⁹⁵ მიუხედავად იმისა, რომ წესები საჯარო ორგანოებს საშუალებას აძლევს შესყიდვების პროცედურებში შეიტანონ სოციალური დებულებები - ეს რჩება დისკრეციად და არა ვალდებულებად. შესაბამისად, პოლიტიკის გაზიარება დამოკიდებულია ქვეყნის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე. 2016 წლის ინფორმაციით 21-მდე წევრმა სახელმწიფომ უარი თქვა ამ დებულებების ტრანსმისიაზე მათ ეროვნულ კანონმდებლობაში, შესაბამისად, საჯარო კონტრაქტებში სოციალური კრიტერიუმების ჩართვის პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის განვითარებული.

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც დირექტივა ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოიტანა არის ჩეხეთი.

ჩეხეთის საჯარო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა, 2016 წლის 1 ოქტომბრიდან ²⁹⁶ ეფუძნება ევროკავშირის განახლებულ დირექტივას. (EU Directive 2014/24). კანონის შესაბამისად საჯარო უწყებებმა შესყიდვების პროცესში დაბალი ღირებულების კრიტერიუმის გარდა უნდა გაითვალისწინონ მომსახურების/პროდუქტის ხარისხთან და მისი წარმოების/მოწოდების ეთიკურ და სოციალურ შედეგებთან დაკავშირებული კრიტერიუმები. 2017 წლის 24 ივლისს, ჩეხეთის ხელისუფლებამ მიიღო რეზოლუცია „პასუხისმგებლიანი საჯარო შესყიდვების“ სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით (Resolution on Guidelines for the Application of Responsible Public Procurement Commissioning Applied by the Public Administration and Local Authorities (Resolution No. 531). რეზოლუცია საჯარო უწყებებს (სამინისტრო, რეგიონული, მუნიციპალური და სხვა ტიპის საჯარო ორგანოები) მოუწოდებს პროდუქციისა თუ მომსახურების შესყიდვების განხორციელებისას გაითვალისწინონ შესყიდვის შესაძლო გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები. რეზოლუციის მიხედვით „პასუხისმგებლიანი შესყიდვები“ უნდა ხორციელდებოდეს საჯაროდ, გამჭვირვალედ და საზოგადოებაში ქმნიდეს კარგ და სწორ, საჯარო თუ კერძო პირთა შთამაგონებელ პრაქტიკას.²⁹⁷ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩეხეთის შრომისა და სოციალური ურთიერთობების სამინისტრო აქტიურად ზრუნავს ამ მიმართულებით საჯარო უწყებათა ცნობიერების ამაღლებაზე, ვინაიდან მიჩნეულია, რომ „პასუხისმგებლიანი საჯარო შესყიდვების“ ნაკლებობა პირველ რიგში პროცესში ჩართულ პირთა პროფესიული მოუმზადებლობით, საკითხის შესახებ ინფორმაციული

293 *Thirion E.*, „Statute for social and solidarity- based enterprises, European Added Value Assessment Accompanying the European Parliament's legislative own-initiative report“, European Parliamentary Research Service), 2017, გვ.26-27, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/611030/EPRS_STU%282017%29611030_EN.pdf

294 *Thirion E.*, „Statute for social and solidarity- based enterprises, European Added Value Assessment Accompanying the European Parliament's legislative own-initiative report“, European Parliamentary Research Service), 2017, გვ.26-27, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/611030/EPRS_STU%282017%29611030_EN.pdf

295 *Monzón J.L., Chaves R.*, Recent evolutions of the Social Economy in the European Union, CIRIEC- International - Centre international de recherches et d'information sur l'économie publique, sociale et coopérative, 2017, გვ.48-49

296 Directive, transposed to the Czech law by the Public Procurement Act 134/2016

297 *Borzaga C., Galera G., Franchini B., Chiomento S., Nogales R., Carini.*, “Social enterprises and their ecosystems in Europe” Comparative synthesis report. European Commission, Publications Office of the European Union. გვ. 69 <https://europa.eu/IQ64ny>

დეფიციტით და შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის არსებობის მნიშვნელობის გაუზრებლობით არის გამოწვეული.²⁹⁸

ესპანეთში, გავრცელებული მიდგომის საპირისპიროდ, ევროპის პარლამენტის დირექტივები საჯარო შესყიდვების შესახებ (2014/23/UE, 2014/24/UE on public procurement) საკუთარ კანონმდებლობაში ასახა, 2017 წლის ოქტომბერში, ეროვნული საჯარო სექტორის ხელშეკრულებათა აქტის მოდიფიცირების გზით. აქტმა განსაზღვრა სოციალური ეკონომიკის სფეროს ის წარმომადგენლები, რომლებიც ისარგებლებდნენ ახალი რეგულაციებიდან გამომდინარე პრივილეგიებით. აქამდე მოქმედი აქტის მიხედვით სარგებელს იღებდნენ კომპანიები, რომლებსაც ჰყავდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულები. მაგალითად აქტის მე-7 მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო უშუალოდ მსგავსი საწარმოებისთვის განკუთვნილი (ე.წ. წინასწარ შეთანხმებული, დაჯავშნილი) კონტრაქტები.) ცვლილებებმა გააფართოვა სოციალური მიმართულება. მან დაუშვა მსგავსი „დაჯავშნილი“ კონტრაქტების არსებობა სოციალური, კულტურული და ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე საწარმოებისთვისაც, შემდეგ შემთხვევებში: თუკი საწარმოს მისიაა იმ მიზნების მიღწევა, რომელიც უკავშირდება დებულების პირველ მუხლში ჩამოთვლილი საჯარო მომსახურების მიწოდებას, თუ საწარმოს მოგება რეინვესტირდება სოციალური მიზნების მიღწევაში, თუ ის არის დემოკრატიული და მონაწილეობითი მმართველობის პრინციპებზე დამყარებული და თუ წინა სამი წლის განმავლობაში საწარმო მსგავსი მომსახურების ფარგლებში არ დაკონტრაქტებულა.²⁹⁹

იტალიაში ჯერ კიდევ 1990 წელს მიღებული კანონები უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობით მათ პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი სოციალური სერვისების გაწევის დისკრეციული უფლებამოსილება გადაეცათ კერძო მიმწოდებლებისთვის. კონკრეტული სოციალური სფეროს მიმართულებით მოღვაწეობის გამოცდილების ნაკლებობამ და საჯარო უწყებათათვის ადამიანური რესურსების ნაწილში დაწესებულმა შეზღუდვებმა ბევრ თვითმმართველ ორგანოს მისცა მოტივაცია სოციალური მომსახურების მიწოდების უფლებამოსილება გადაეცათ უკვე მოქმედი სოციალური საწარმოებისთვის/კოოპერატივებისთვის და შესულიყვნენ მათთან სამართლებრივ ურთიერთობაში.³⁰⁰ შესაბამისად ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და განათლების სფეროში მოღვაწე ძალიან ბევრი სოციალური საწარმოს/სოციალური კორპორაციის კლიენტურის ძირითად ნაწილს სწორედ ადგილობრივი საჯარო უწყებები წარმოადგენენ. საჯარო შესყიდვების მიმართულებით შესაბამის ხელშეწყობ რეგულაციათა დასაწერგად იტალიაში ჯერ კიდევ 2006 წელს მიიღეს სამუშაოს, მომსახურებისა და პროდუქციასთან დაკავშირებული საჯარო ხელშეკრულებების კოდექსი (Code of public contracts relating to works, services and supplies). ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა შესყიდვის განხორციელებისას შერჩევის ეკონომიკური კრიტერიუმების სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმებისთვის დაქვემდებარება. დაინერგა „უპირატესი“ შესყიდვის სისტემა ბ ტიპის (შრომითი ინტეგრაციისთვის მოღვაწე) სოციალური კოოპერატივებისთვის.

298 *Fraňková E.*, “Social enterprises and their ecosystems in Europe Updated country report: Czech Republic.” European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ.69 <https://europa.eu/!Qg64ny>

299 *Chaves R., Monzón J. L., and others.*, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ. 40, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

300 *Borzaga C.*, “Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Italy.”, European Commission, Publications Office of the European Union, 2020, გვ.27 <https://europa.eu/!Qg64ny>

სისტემა გულისხმობდა სახელმწიფო მუნიციპალიტეტების მხრიდან ე. წ. „უპირატესი შესყიდვის“ ფარგლებში გამართულ ტენდერებში მხოლოდ იმ მომწოდებელთა კანდიდატურის განხილვას, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს/კოოპერატივის კრიტერიუმებს და ჰყავდათ მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელ დასაქმებულთა მინიმალური ოდენობა მაინც. სისტემამ გაიარა ევროკავშირის მხრიდან ვერიფიკაცია და დადასტურდა იმ პირობით, რომ ამ სისტემის ფარგლებში კონტრაქტები დაიდებოდა მხოლოდ 200 000 ევროზე ნაკლები ღირებულების ურთიერთობის ფარგლებში. ამ რეფორმების შემდგომ, საჯარო შესყიდვების სფეროში სოციალურ საწარმოთათვის პოზიტიური გარემოს შექმნის გარდამტეხ მოვლენად ითვლება 2016 წელს მიღებული ახალი კოდექსი ტენდერების შესახებ.³⁰¹ კოდექსმა გააფართოვა შესაძლებლობა ტენდერის ფარგლებში ინტეგრირებულიყო სოციალური და გარემოსდაცვითი (მათ შორის ინოვაციებთან დაკავშირებული) კრიტერიუმები, გაამარტივა პროცესები და გახადა ისინი უფრო გამჭვირვალე, ხოლო შრომითი ინტეგრაციის იმგვარი კომპანიებისთვის, რომელთა დასაქმებულების 30% მაინც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისგან შედგება, „უპირატესი“ შესყიდვის მოქმედება გავრცელდა 200 000 ევროზე მაღალი ღირებულების ხელშეკრულებებზეც.³⁰²

საჯარო შესყიდვებში სოციალური კრიტერიუმის გათვალისწინების მაგალითია **დიდი ბრიტანეთიც**, სადაც ამ მიზნით შემუშავდა შესაბამისი რეგულაციები. მათ შორის, საჯარო მომსახურების აქტი (2012, რომელიც ამოქმედდა 2013 წელს) რომლის მიხედვითაც აუთსორსინგის დროს სამთავრობო უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ აუთსორს-სერვისების პოტენციური მომწოდებლის მიერ მათ სამოქმედო არეალში, კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილი. აქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ შემსყიდველმა ორგანომ „უნდა გაითვალისწინოს ა)შესყიდვის საგანს როგორ შეუძლია ეკონომიკური, სოციალური ან გარემოსდაცვითი მიმართულებით არსებული გარემოს გაუმჯობესება და ბ) შესყიდვების განხორციელების პროცესში რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფო ორგანოს ამის ხელშესაწყობად.“³⁰³ ეს წარმოადგენს საჯარო შესყიდვების ფარგლებში სოციალური კრიტერიუმის ირიბად გათვალისწინების მაგალითს. ამგვარი რეგულაციის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს საჯარო სექტორის მიმართვა სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის გამომუშავებაზე.³⁰⁴ მსგავსი კონტრაქტებისთვის (კონტრაქტებისთვის, სადაც ფასდება სოციალური ღირებულების მაჩვენებელი) დაწესებულია 134 000 ევროს ზღვარი. აქტის მიღებიდან გარკვეული დროს გასვლის შემდეგ, ბრიტანეთმა შეაფასა აქტის შედეგები. შეფასების ეტაპზე აქტის რეალური მიზნების აღსრულების ერთ-ერთ მთავარ ბარიერად აქტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ არაერთგვაროვან პრაქტიკასთან ერთად, განისაზღვრა სოციალური ღირებულების განსაზღვრის და კონკრეტული შესყიდვის ფარგლებში მისი გათვალისწინების პრობლემა. მიუხედავად მოცემულისა, მცირე მასშტაბის კვლევის ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ 298 რესპონდენტიდან აქტის შედეგებს პოზიტიურად აფასებდა 60%, 82% ფიქრობდა რომ მას ჰქონდა დადებითი გავლენა

301 Legislative Decree 50/2016

302 Art. 112 of Legislative Decree 50/2016

303 „public authorities should “consider (a) how what is proposed to be procured might improve the economic, social and environmental well-being of the relevant area, and (b) how, in conducting the process of procurement, it might act with a view to securing that improvement.” Lyon F., Stumbitz B., Vickers B., Social enterprises and their ecosystems in Europe updated country report: United Kingdom, European Commission, Publications Office of the European Union, 2019, გვ.58

https://ec.europa.eu/social/main.jsp?advSearchKey=socnteco&mode=advancedSubmit&catId=22&doc_submit=&policyArea=0&policyAreaSub=0&country=0&year=0

304 Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization (ILO), 2015, გვ.11, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/-emp_ent/-coop/documents/publication/wcms_535145.pdf

ლოკალურ ეკონომიკაზე, ხოლო 72%-ის აზრით პოზიტიური შედეგები თვალსაჩინო იყო ლოკალური ბიზნესებისთვის.³⁰⁵

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნებს შეუძლიათ საჯარო შესყიდვების სფეროში სოციალურ საწარმოთა ინტეგრაციის კონცეფციის მოდიფიცირება. მხარდაჭერის არასტანდარტული მოდელის შემუშავება, რაც, მაგალითად მოხდა შვედეთში.³⁰⁶ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც გამოიწვია სოციალური ინიციატივების ზრდა შვედეთში, არის საჯარო სერვისების სფეროში სოციალურ საწარმოთა ჩართვა და ამ მხრივ კონკურენციის გაზრდა. ეს სისტემა ჯერ კიდევ 1990 წლიდან იღებს სათავეს. ამავე მიზნით შემუშავდა 2008 წლის კანონი საჯარო სექტორში არჩევანის სისტემის შესახებ (law on the System of Choice in the Public Sector) რომელიც საშუალებას აძლევდა ინდივიდებსა და თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლებს საჯარო ხასიათის მომსახურება (ძირითადად ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში) სახელმწიფოს მხრიდან გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებით შეეძინა იმ კერძო სფეროს წარმომადგენლებს, რომელთაც სახელმწიფოს ჰქონდა გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება. მათ შორის იყო მაგალითად ბავშვებზე მზრუნველობასთან დაკავშირებული სერვისები, რომელთა 90%-იც სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდა. სწორედ ამგვარი არჩევანის არსებობამ გაუხსნა ფართო ბაზრის კარები ჯანდაცვასთან დაკავშირებული მომსახურების სფეროს კერძო წარმომადგენლებს, მათ შორის, სოციალურ საწარმოებს.³⁰⁷ ამ მხრივ ჩვეულებრივ და სოციალურ საწარმოთა პროცესში ჩართულობის დონე გათანაბრდა.

ზემოხსენებული მაგალითები ცხადყოფს, რომ სოციალურ საწარმოებს საჯარო შესყიდვების სფეროს ათვისების შემთხვევაში შეიძლება მიეცეთ ფართო ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა, შეუმცირდეთ გრანტებზე დამოკიდებულება, თუმცა ამ მხრივ პრაქტიკა განსავითარებელია. სამუშაო როგორც რეგულაციებზე, ისე ამ მხრივ პროცესში მონაწილე პირთა ცნობიერების ამაღლებაზე. ბევრ კვლევაში³⁰⁸ გამოაშკარავდა ტენდენცია, რომ სოციალური საწარმოები ნაკლებად იღებენ მონაწილეობას ევროკავშირის საჯარო შესყიდვების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში. ეს ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ კონტრაქტები უპირატესად ფასდება ფასთან მიმართებით, შერჩევის სხვა კრიტერიუმის გამორიცხვით (მათ შორის სოციალური ღირებულება) ასევე არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ წვდომას სოციალური საწარმოებისთვის. მათ შორისაა: საჯარო ხელშეკრულებათა მასშტაბურობა, ჩარჩო კონტრაქტების გამოყენების გავრცელებული პრაქტიკა, წინასწარ დადგენილი მკაცრი მოთხოვნები კვალიფიკაციასა თუ ბაზარზე გარკვეული პერიოდით ოპერირების შესახებ. მოცემული ხშირ შემთხვევაში ბარიერია სოციალური საწარმოებისთვის, რომლისგანაც ითხოვენ ძალიან ძლიერი ფინანსური მდგომარეობის ქონას. საჯარო ადმინისტრაციებისთვის გაწეული მომსახურების გადახდის შეფერხება ასევე დასახელდა იმ ფაქტორად, რომელიც აფერხებს სოციალური საწარმოების მსგავს კონკურსებში მონაწილეობას.

305 Chaves R., Monzón J. L., and others, „Best practices in public policies regarding the European Social Economy post the economic crisis“, European Economic and Social Committee, გვ. 41, <http://www.ciriec.uliege.be/wp-content/uploads/2018/09/best-practices-EN.pdf>

306 Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization(ILO), 2015, გვ.10, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/--emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

307 Galera G., Salvatori G., „Public policy in the social and solidarity economy: Towards a favourable environment The case of Europe“, International Training Centre of the International Labour Organization(ILO), 2015, გვ.10, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/-ed_emp/--emp_ent/---coop/documents/publication/wcms_535145.pdf

308 Pirvu D., Clipici E., Social Enterprises and the EU's Public Procurement Market, Voluntas, 2016, გვ.10-20

Economy Europe-ის ინიციატივით³⁰⁹ ევროკავშირის კომისიას წევრი ქვეყნებისა და საჯარო წარმომადგენლებისთვის უნდა შეექმნა სახელმძღვანელო იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საჯარო შესყიდვების ნაწილში ინტეგრირდეს სოციალური და საარსებო გარემოსთან დაკავშირებული კომპონენტები.³¹⁰ ევროკომისიის მიერ საჯარო შესყიდვების სამომავლო გეგმების თემაზე უკუკავშირში დაფიქსირდა, რომ საჯარო შესყიდვების განხორციელებისას სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმის გათვალისწინება უნდა დამტკიცდეს როგორც დირექტივებით გათვალისწინებული ვალდებულება. კონტრაქტების მთავარ კრიტერიუმად განისაზღვროს მომსახურების ხარისხი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მომსახურების შესყიდვას სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში. მნიშვნელოვანია ასევე სოციალური კრიტერიუმის ნაწილი გახდეს დასაქმებულთა პირობების შეფასება, რომლებიც მუშაობენ პროდუქციის შექმნასა თუ სერვისის მიწოდებაზე, მათ შორის დისკრიმინაციის, თანაბარი მოპყრობის, გამჭვირვალობის პრინციპებთან მიმართებით.

12.2 საგადასახადო შეღავათები

სოციალური საწარმოებისთვის საგადასახადო და ფისკალური შეღავათების დაწესების მიზანს ასეთი საწარმოების შექმნის ინტერესის წახალისება და მათი მიზნებიდან გამომდინარე ოპერაციული ხარჯების შემცირება წარმოადგენს, რათა საწარმოებმა უფრო მეტი ფინანსური რესურსის რეინვესტირება შეძლონ საკუთარი სოციალური მიზნების აღსრულებაში.

სახელმწიფოთა უმეტესობა სოციალური საწარმოებისთვის სპეციალურად დადგენილ და განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმს არ ითვალისწინებს და უმეტეს შემთხვევაში მათი გადასახადების და დაბეგვრის სისტემა მიბმულია იმაზე, თუ რა სამართლებრივი სტატუსით ფუნქციონირებს საწარმო. ხშირ შემთხვევაში, სოციალური საწარმოების სამართლებრივი ფორმის შერჩევის განმსაზღვრელს სწორედ საგადასახადო რეჟიმი წარმოადგენს. თუმცა, ამ ზოგადი პრაქტიკის მიღმა რამდენიმე ქვეყანაში განსხვავებული საგადასახადო რეჟიმია ჩამოყალიბებული უშუალოდ სოციალური საწარმოებისთვის, რომლებიც მათთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭებასთან ერთად, თანმდევ ანგარიშვალდებულებებს განსაზღვრავს. მსგავსი საგადასახადო შეღავათები უშუალოდ მიბმულია სოციალური საწარმოს სტატუსთან და მის ჩამორთმევასთან ერთად უმეტესად ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს ანაზღაურდეს შეღავათის შედეგად მიღებული სარგებელი.³¹¹

309 Thirion E., „Statute for social and solidarity-based enterprises, European Added Value Assessment Accompanying the European Parliament's legislative own-initiative report“, European Parliamentary Research Service), 2017, გვ.40-46, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/611030/EPRS_STU%282017%29611030_EN.pdf

310 Thirion E., „Statute for social and solidarity-based enterprises, European Added Value Assessment Accompanying the European Parliament's legislative own-initiative report“, European Parliamentary Research Service), 2017, გვ.42, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/611030/EPRS_STU%282017%29611030_EN.pdf

311 Defourny, J., & Nyssens, M. (Eds.). (2021). Social Enterprise in Central and Eastern Europe: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429324529>

Bidet, E., & Defourny, J. (Eds.). (2019). Social Enterprise in Asia: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429265761>

Defourny, J., & Nyssens, M. (Eds.). (2021). Social Enterprise in Western Europe: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. <https://www-taylorfrancis-com.colorado.idm.oclc.org/books/edit/10.4324/9780429055140/social-enterprise-western-europe-jacques-defourny-marthe-nyssens?context=ubx&refId=f13e0c31-4a68-484c-8302-b7f8a0cf7057>

Nyssens, M., Gaiger, L.I., & Wanderley, F. (Eds.). (2019). Social Enterprise in Latin America: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429055164>

ევროპის ქვეყნებში არსებული საგადასახადო და ფისკალური შეღავათების სისტემა სოციალური საწარმოების საგადასახადო მხარდაჭერის ძირითადად რამდენიმე ინსტრუმენტს მოიცავს:

- მოგების/კორპორაციული გადასახადისგან გათავისუფლება;
- დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (VAT) გათავისუფლება ან მისი ოდენობის შემცირება;
- სოციალური დაზღვევის (დასაქმების ხარჯები და ა.შ) ხარჯების შემცირება ან სუბსიდიებით დაფარვა;
- საგადასახადო შეღავათები დონორების/შემომწირველებისთვის;³¹²

ესტონეთი: ესტონეთის საგადასახადო სისტემა უშუალოდ სოციალური საწარმოებისთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების შეზღუდულ სისტემას იცნობს და შეღავათების დიდი ნაწილი საწარმოებზე მათი სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე ვრცელდება. სოციალურ საწარმოებს საგადასახადო შეღავათები/სუბსიდიები შეუძლიათ მიიღონ უმუშევრობის დაზღვევის ფონდიდან, თუ დაასაქმებენ იმ ადამიანებს, რომელიც დადგენილია მუშაობის უნარის მინიმუმ 40%-ით არმქონედ. ასევე, შეზღუდული საგადასახადო შეღავათები მოქმედებს სოციალური საწარმოების ინდივიდუალური შემომწირველებისთვის/დონორებისთვის. კერძოდ, დონორებმა საკუთარი გადასახადებიდან შეიძლება გამოკეთონ, წელიწადში არაუმეტეს 1200 ევროს ოდენობით.³¹³

ლუქსემბურგი: ლუქსემბურგის საგადასახადო კანონმდებლობა სოციალური მისიის მქონე საწარმოებს მათი სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე ზოგადი რეჟიმის ფარგლებში ზეგრავს. ამავე სისტემაში ექვევან ლუქსემბურგის კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური გავლენის საწარმოები (SIS (Société d'impact sociétal)), რომლებიც საგადასახადო შეღავათს მხოლოდ უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში იღებენ. კერძოდ, SIS საწარმოები, რომლის წილთა 100% გავლენის წილებს (impact shares), ანუ ისეთ წილებს უკავიათ, რომელთა დივიდენდების განაწილება ან/და წილის ფულადი სახით ანაზღაურების უფლების გამოყენება (share appreciation) დაუშვებელია, მთლიანად გათავისუფლებული არიან კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისგან (corporate income tax), მუნიციპალური ბიზნეს გადასახადისგან (municipal business tax) და სიმდიდრის გადასახადისგან (net wealth tax).³¹⁴

ტაილანდი: ტაილანდი სოციალური საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათებს ჯერ კიდევ ამ სფეროში სპეციალური კანონმდებლობის მიღებამდე ითვალისწინებდა. ტაილანდის საგადასახადო კანონმდებლობით, გარკვეული გადასახადებისგან გათავისუფლებული არიან როგორც უშუალოდ სოციალური საწარმოები, ასევე მათი დონორები და მეწილეები. სოციალური საწარმოთა ვისუფლება კორპორაციული საშემოსავლო გადასახადისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო თანხებსა და დივიდენდებს არ გასცემს მეწილეებზე. ამავე დროს, კანონი აწესებს რომ სოციალური საწარმოს შემოსავალი უნდა იყოს საწარმოში რეინვესტირებული ან/და შემოწირულობის სახით გაიცეს ფერმერებისთვის, გაჭირვებულებისთვის, შშმ პირებისა ან სხვა საზოგადოებრივი მიზნისთვის.³¹⁵ საგადასახადო კანონმდებლობა ასევე მკაცრად განსაზღვრავს იმ

312 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, January, 2020, p.93;

313 Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Estonia (2019),

314 Social enterprises and their ecosystems in Europe | Country report LUXEMBOURG, European Commission (2020), p.36;

315 Bidet, E., & Defourny, J. (Eds.). (2019). Social Enterprise in Asia: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. P. 152, <https://doi-org.colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429265761>

შემთხვევებს, როდესაც დონორებმა და მეწილეებმა შეიძლება მოითხოვონ საგადასახადო შეღავათები. ამასთანავე, კანონმდებლობა შეიცავს დათქმას 10 წლის განმავლობაში სოციალური საწარმოს სტატუსით საქმიანობის განხორციელების ვალდებულებაზე, იმ საწარმოებისთვის ვისაც სურთ, რომ მათმა მეწილეებმა ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით. ხოლო ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მათ რეტროაქტიულად დაეკისრებათ გადასახადების გადახდის ვალდებულება.³¹⁶

სამხრეთ კორეა: სამხრეთ კორეის სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის აქტი საგადასახადო შეღავათებს უწესებს სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოებს და განსაზღვრავს, რომ საგადასახადო კანონმდებლობით ეროვნული და ადგილობრივი გადასახადებისგან შესაძლოა გათავისუფლდნენ ან შეუმცირდეთ გადასახადები სოციალურ საწარმოებს.³¹⁷ ასევე, სახელმწიფომ სოციალურ საწარმოებს შესაძლოა დაუფინანსოს დასაქმების სადაზღვევო პრემიები და ინდუსტრიული ინციდენტების ასანაზღაურებლად განკუთვნილი სადაზღვევო პრემიები.³¹⁸

12.3 სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერის სხვა სახელმწიფო ინსტრუმენტები

12.3.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

ფინანსურ რესურსებზე სტაბილური ხელმისაწვდომობა სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარების უმნიშვნელოვანესი კატალიზატორია. სოციალური საწარმოები, მათი განსხვავებული მისიიდან გამომდინარე კომერციალიზაციის ნაკლებ ინტერესს ატარებენ, რადგან, მათი მოგება მხოლოდ შეზღუდულად ნაწილდება, რის გამოც ბევრი ინვესტორისთვის მხოლოდ ფინანსური მოგების პრიზმიდან, ასეთი საწარმოს ფინანსური მხარდაჭერა შესაძლოა არამომზიდველი ან სარისკო იყოს. ამას გარდა, სოციალურ საწარმოებს საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში მათი სამართლებრივი ფორმაც შეიძლება უშლიდეს ხელს, მაგალითად არაკომერციული საწარმოები პირდაპირ კომერციულ საქმიანობას ვერ განხორციელებენ, ხოლო კომერციული მიზნის მქონე იურიდიულ პირებს დამატებითი საგადასახადო ტვირთის ან არაკომერციულ გრანტებზე წვდომის შეზღუდვის გამო შეიძლება ჰქონდეს გამოწვევა ფინანსური რესურსების მოძიებაში.

სწორედ ამ ინტერესების დაბალანსების პროცესში შემოდის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია აღმოფხვრას საკანონმდებლო დაბრკოლებები, სოციალურ საწარმოებს განვითარების საწყის ეტაპზე გაუწიოს მხარდაჭერა, კერძო ინვესტორების მოზიდვის პროცესში საშუამავლო როლი შეასრულოს

316 იქვე.

317 South Korea, Social Enterprises Promotion Act (Act No. 8217), Art. 13,

<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/78610/84122/F-684569511/KOR78610%20Eng%202012.pdf>

318 იქვე.

და მათთან გაინაწილოს მეწარმეობის გზით სოციალური გამოწვევების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები.

სოციალური საწარმოები თითქმის ყველა ქვეყანაში სარგებლობენ start up-ებსა და ზოგადად ბიზნეს სექტორის მხარდაჭერი პროგრამებით. თუმცა, ამის მიღმა, სოციალური მეწარმეობის სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით სახელმწიფოებს შექმნილი აქვთ სპეციალური ინსტრუმენტები, რომლებიც უშუალოდ სოციალური საწარმოების ფინანსური მდგრადობის საჭიროებებს პასუხობს.

თავისთავად, ფინანსური მდგრადობა სოციალური საწარმოს განვითარების ყველა ფაზაზე უმნიშვნელოვანესია, თუმცა გარე აქტორების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა ყველაზე მნიშვნელოვან როლს დაფუძნების ეტაპზე ასრულებს და ამავე დროს ყველაზე მეტ რისკთან სწორედ ეს ასოცირდება, რის გამოც სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ინიციატივების დიდი ნაწილი ამ ფაზას მიემართება. ევროპის მასშტაბით სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტები ძირითადად ჰეგემონურია და სახელმწიფო გრანტების, სუბსიდიებისა და ინკუბატორებისა და ბიზნეს ინოვაციების ცენტრების შექმნის მიზნით კერძო-საჯარო პარტნიორობით შემოიფარგლება.

სოციალური საწარმოს ჩამოყალიბების ეტაპზე გარკვეული სახის ფინანსურ მხარდაჭერა გვხვდება ევროპის შემდეგ ქვეყნებში³¹⁹:

სახელმწიფო ინიციატივის ტიპი	მოქმედებს შეზღუდვების გარეშე	მოქმედებს შეზღუდვებით
გრანტები და სუბსიდიები სახელმწიფო ორგანოებისგან და ევროპის ფონდიდან	ავსტრია, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, პოლონეთი	ბელგია, კვიპროსი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ლატვია, ლიეტუვა, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი
კერძო-საჯარო პარტნიორობა ინკუბატორებისა და ბიზნეს ინოვაციების ცენტრების მმართველობაში	ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, ესპანეთი	ხორვატია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, პორტუგალია, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი

12.3.2 საჯარო გრანტები და სუბსიდიები

სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ყველაზე გავრცელებული მოდელი სახელმწიფო უწყებების მხრიდან გაცემული გრანტები და სუბსიდიებია, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება და უმეტესად კონკრეტულ სოციალურ მიზანზეა მიზნული და იშვიათად ზოგადად სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებაზე (გარდა ევროპის ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსებისა). მაგალითად ევროპის მასშტაბით სახელმწიფო გრანტების და სუბსიდიების დიდი ნაწილი მიმართულია იმ სოციალურ საწარმოებზე, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებასა და სამუშაო ინტეგრაციის პროცესს უწყობენ ხელს. ასეთი დასაქმების სოციალური საწარმოებისა და

319 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, 2020; გვ.73

ინიციატივების მხარდაჭერი ფინანსური ინსტრუმენტები არსებობს ბელგიაში, ესპანეთში და ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში.³²⁰

ხაზგასასმელია, რომ ასეთ შრომითი ინტეგრაციის სუბსიდიებსა და გრანტებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობებიც გასცემენ. მაგალითად, **რიგის** ხელისუფლებამ, 2016 წელს შექმნა საგრანტო პროგრამა, რომელიც მიემართება ადგილობრივ სოციალურ საწარმოებს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას სოციალური საწარმოების გაძლიერებით.³²¹

კიდევ ერთი სექტორი, რომელშიც სახელმწიფო მოგების შეზღუდვიდან და სოციალური მისიიდან გამომდინარე აქტიურ ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს, საცხოვრებლით უზრუნველყოფის თემაა. მაგალითად, ავსტრიაში ამ სექტორში მოქმედი სუბიექტების 90% სახელმწიფოს ფინანსურ კონტრიბუციაზე არიან დამოკიდებული საცხოვრებელი სივრცის მშენებლობის ან განახლების პერიოდში სუბსიდიების ან/და სხვა სახის ფინანსური მხარდაჭერის გზით.³²²

ლატვიაში სოციალური საწარმოები (სხვა ბიზნესების მსგავსად), დაფუძნების ეტაპზე მხარდაჭერას იღებენ ლატვიის ინვესტირებისა და განვითარების სააგენტოსგან (The Investment and Development Agency of Latvia), რომელიც ხელს უწყობს საწარმოების კომერციალიზაციას მათი განვითარების ადრეულ ეტაპზე. საკონსულტაციო და მენტორობის პროგრამებთან ერთად, სააგენტო გრანტებს აძლევს დამწყებ საწარმოებს განვითარებისთვის.³²³ ამას გარდა, თუ სოციალური საწარმოს ინოვაციურ იდეას ავითარებს, სააგენტო გასცემს ინოვაციის ვაუჩერს, რომელიც საწარმოებმა ექსპერიმენტული განვითარებისთვის, პროტოტიპების შექმნისა და სხვა ტექნოლოგიური განვითარებისთვის შეიძლება გამოიყენონ.³²⁴

12.3.3 ინვესტირება და თანაინვესტირება

ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულება, რომელსაც სახელმწიფოები სოციალური მეწარმეობის სხვადასხვა სექტორში კერძო ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის იყენებს გავლენისთვის ინვესტირების (Impact Investment) პოპულარიზაცია და ამ თემის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკით მხარდაჭერა. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებით გავლენისთვის ინვესტირების გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან ძირითადად ოთხი მიმართულებით მუშაობას მოითხოვს.

1. **მართვა-** გავლენის ინვესტირების ეროვნული სტრატეგიის ან პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა, რომელიც სტრატეგიულად განსაზღვრავს სახელმწიფოს ნაბიჯებს გავლენის ინვესტირების განვითარებისა და აქტორების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

2. **ფინანსები:** შეღავათიანი სესხებისა და გრანტების გამოყოფა Covid-ით დაზარალებული სოციალური საწარმოებისთვის და სპეციალური სახელმწიფო ფინანსური პროგრამების მიმართვა სოციალური საწარმოების ფინანსური კაპიტალის გასაზრდელად.

3. **პოტენციურ ინვესტორთა მოტივირება:** ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოტივირება ფისკალური პოლიტიკით, და სოციალურ საწარმოებში ინვესტირების ლიკვიდურობის გაზრდა.

320 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, 2020; გვ.74

321 European Union, Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Country Report-Latvia, 2020, გვ.64

322 European Union, Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Country Report-Austria, 2020, გვ. 68.

323 European Union, Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Country Report-Latvia, 2020, გვ.60

324 იქვე.

4. **ინოვაციის მხარდაჭერა:** დაფინანსების ინოვაციური მოდელების დანერგვა, მაგალითად როგორცაა წარმატებაზე მიბმული კონტრაქტები (pay-for-success contracts), რომლის ფარგლებში სახელმწიფო გავლენის ინვესტორებთან ერთად, შეაფასებენ და გააძლიერებენ სოციალური საწარმოების ყველაზე რელევანტურ მოდელებს.³²⁵

ამას გარდა, იქიდან გამომდინარე, რომ სოციალური მეწარმეობა დაბალი ფინანსური მოგების გამო, მეტ-ნაკლებად სარისკო სექტორად განიხილება, ერთ-ერთი ინსტრუმენტი რასაც სახელმწიფოები მიმართავენ არის თანაინვესტირება მსგავს პროექტებში რისთვისაც ძირითადად ადგილობრივი საპენსიო ფონდები და სხვა სახელმწიფო ფინანსური რესურსები გამოიყენება.

კერძო სექტორის ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად, ზოგიერთი სახელმწიფო თავად ქმნის საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც ასეთ ინვესტირებებზე არიან ორიენტირებული. მაგალითად, **ინდოეთის პარლამენტმა** დააფუძნა ინდოეთის მცირე ინდუსტრიების განვითარების ბანკი (The Small Industries Development Bank of India (SIDBI), რომელიც მიკრო და მცირე ზომის საწარმოებში ახდენს ინვესტირებას მათი მისიებიდან გამომდინარე.³²⁶

12.3.4 Social Impact Bonds

კიდევ ერთი ფინანსური მხარდაჭერის მოდელია სოციალური გავლენის ობლიგაციები (Social Impact Bonds), რომელიც ტრადიციული ფინანსირების მოდელისგან განსხვავებით ფინანსური მხარდაჭერის გაცემას უკავშირებს არა საწარმოს საქმიანობას, არამედ საქმიანობის წარმატებულ შედეგებს. ეს არის ინოვაციური ფინანსური მოდელი, სადაც კონკრეტულ სოციალურ სერვისთან დაკავშირებით გამოიცემა ობლიგაციები (bonds), რის შედეგადაც ხდება საწარმოების მიერ ფონდების მოძიება, თუ საწარმოს საქმიანობის შედეგად დადგება წინასწარ განსაზღვრული შედეგი, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო შესრულებული სამუშაოსთვის ობლიგაციების გამცემ საწარმოს ან ინვესტორზე გასცემს შესაბამის ფინანსებს. ამ პროცესისთვის ობლიგაციების წოდება პირობითია და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, მაგ. აშშ-ში Payment-for-Success bonds და ავსტრალიაში Pay-for-Benefits bonds.³²⁷

მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა მოდელის და სტრუქტურის SIB ფუნქციონირებენ, მათ შორის გვხვდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ერთობლივი ინიციატივები.

ავსტრალიაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს რამდენიმე SIB ინსტრუმენტი აქვთ შექმნილი ბოლო წლებში, რომლებიც სოციალურად მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებაზე და უსახლკაროების შემცირებაზეა მიმართული.³²⁸

325 Impact Investors Council, The India Impact Investing Story (JUNE 2020), Assessing a Decade of Capital plus Innovation for Impact (2010-2019), p. 41, <https://iiic.in/wp-content/uploads/2021/01/India-Impact-Investing-Story-June-2020.pdf>

326 UNGC, A framework for action: social enterprise& impact investing, 2012, <http://www.pva-advisory.com/wp-content/uploads/2012/11/Social-Enterprise-Impact-Investing.pdf>

327 Understanding Social Impact Bonds, OECD working paper, გვ.4, <https://www.oecd.org/cfe/leed/UnderstandingSIBsLux-WorkingPaper.pdf>

328 Government of South Australia, Social Impact Investment, <https://www.treasury.sa.gov.au/Growing-South-Australia/social-impact-investment>, https://www.treasury.sa.gov.au/data/assets/pdf_file/0008/346085/Media-release-Newpin-Jan-2021.pdf

SIB-ის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითის შედეგია **დიდ ბრიტანეთში**, მანჩესტერში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი უსახლკარო პირთა მხარდაჭერა, სადაც SIB-ის საშუალებით მოძიებული ფონდების დახმარებით უსახლკაროებს საცხოვრებელი სივრცეები შესთავაზეს. პროექტის ჩაშვებიდან 3 წლის შემდეგ 281 პირს (პირველად ბენეფიციართა 79%), კვლავ აქვს საცხოვრებელი სივრცე, 45-მა პირმა დაიწყო სამუშაო ან სწავლა, 133-მა პირმა მიიღო საჭირო დახმარება მენტალური ჯანმრთელობისთვის, 97-მა მიიღო საჭირო სერვისები ალკოჰოლზე ან წამალზე დამოკიდებულებისთვის. სანაცვლოდ კი, ინვესტორებმა სახელმწიფოსგან, თითოეული საცხოვრებელი დაკმაყოფილებული ადამიანზე მიიღეს 500 ფუნტი და ბონუსი 1500 ფუნტის სახით გრძელვადიანი საცხოვრებლის შენარჩუნების შემთხვევაში.³²⁹

12.3.5 სოციალური საფონდო ბირჟა

სოციალური საფონდო ბირჟა (Social Stock Exchange), სოციალური მეწარმეობის სფეროში ფინანსური რესურსების მობილიზებისა და ინვესტორების მოზიდვის განსხვავებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მსგავსი სოციალური საფონდო ბირჟების აბსოლუტური უმრავლესობა კერძო ინიციატივებით ფუნდდება, თუმცა არსებობს ამ პროცესში სახელმწიფო ჩართულობის გამოცდილებებიც. მაგალითად, ინდოეთში, ფინანსთა მინისტრის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო საფონდო ბირჟის მარეგულირებელი ორგანოს მიერ სოციალური საფონდო ბირჟის შექმნის თაობაზე. აღნიშნული ინიციატივა ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბების პროცესშია და მისი ინსტიტუციური ჩარჩოს ზუსტი კონტურები ამ ეტაპისთვის გამოკვეთილი არ არის.³³⁰ ინდოეთის გარდა სოციალური საფონდო ბირჟების გამოცდილება აქვთ ბრაზილიას, პორტუგალიას, სამხრეთ აფრიკას, იამაიკას, დიდ ბრიტანეთს, სინგაპურსა და კანადას, რომლებიც კერძო ინიციატივებით იმართება და სახელმწიფო მხოლოდ სახელმძღვანელო ფუნქციას ასრულებს.³³¹ ასეთი კერძო ინიციატივების მთავარი გამოწვევა ფინანსური შემოსავლების სტაბილურობაა, რის გამოც ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ამ ეტაპზე სოციალური საფონდო ბირჟა მხოლოდ სამ ქვეყანაში კანადაში, იამაიკასა და სინგაპურშია აქტიური.³³²

12.4 სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გადაცემა

სოციალური საწარმოების ნაწილისთვის მათი სამუშაო მოდელიდან გამომდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამუშაო/საწარმო სივრცეების საკუთრებაში შეძენა ან გრძელვადიანი იჯარის ქირის გადახდა, ამიტომ, ქვეყანათა გარკვეული ნაწილის კანონმდებლობა სოციალური საწარმოების ამ გამოწვევის საპასუხოდ, სპეციალურ პროგრამებს ითვალისწინებს. ასეთი პროგრამების ძირითადი სახელმწიფოს მართვაში ან კერძო სუბიექტებთან პარტნიორობით საერთო

329 Guardian, Off the streets: how Manchester found homes for hundreds of rough sleepers, (10 Jan, 2021)

<https://www.theguardian.com/society/2021/jan/10/how-manchester-found-homes-hundreds-rough-sleepers-home-partnership>

330 The Economic times, Social stock exchange: Sebi extends deadline for public comments till July 20 , (Jun 18, 2021)

https://economictimes.indiatimes.com/markets/stocks/news/social-stock-exchange-sebi-extends-deadline-for-public-comments-till-july-20/articleshow/83638883.cms?utm_source=contentofinterest&utm_medium=text&utm_campaign=cppst

331 ICNL, CREATING A TRULY “SOCIAL” STOCK EXCHANGE Framework Study of Seven Global Exchanges and India’s Proposed Social Stock Exchange, (March, 2021), <https://www.samhita.org/wp-content/uploads/2021/03/India-SSE-report-final.pdf>

332 IDR, Social Stock Exchange: What India can learn from global examples (Mar. 25, 2021), <https://idronline.org/social-stock-exchange-what-india-can-learn-from-global-examples/>

სამუშაო სივრცეების, ინკუბატორებისა და ინოვაციის ცენტრების შექმნას ითვალისწინებს, სადაც სოციალურ საწარმოებს სამუშაო სივრცე და სხვადასხვა საოფისე ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა სრულიად უსასყიდლოდ ან შეღავათიანი საწევრო გადასახადის სანაცვლოდ აქვთ, თუმცა გვხვდება რამდენიმე ქვეყანაში არსებული სქემა, სადაც სოციალურ საწარმოებს ცენტრალური ხელისუფლება ან ადგილობრივი ორგანოები შეღავათიან პირობებში ან სრულიად უსასყიდლოდ საკუთრებაში ან სარგებლობაში გადასცემენ სახელმწიფოს საკუთრებას.

ბულგარეთი: ბულგარეთის კანონმდებლობით, A+-ის კლასის სოციალურ საწარმოს კონკურსის გარეშე, პირდაპირი შესყიდვით შეიძლება გადაეცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. ასეთ შემთხვევაში, სოციალურმა საწარმომ ვალდებულია უნდა აიღოს, რომ სოციალური მიზნებისთვის საქმიანობას მინიმუმ 10 წლის განმავლობაში განახორციელებს. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სოციალურ საწარმოს დაეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა, ვალდებულების 5 წლამდე დარღვევის შემთხვევაში ქონების 40%-ის, მხოლოდ 6-10 წლამდე პერიოდში ქონების 20%-ის სახით, ასევე საწარმოს ქონებაზე უფლება ჩამოერთმევა სოციალური საწარმოს სტატუსის მოხსნის შემთხვევაში.³³³

სამხრეთ კორეა: სამხრეთ კორეის კანონმდებლობა პირდაპირ არ ავალდებულებს სახელმწიფოს, მაგრამ განსაზღვრავს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებას სოციალურ საწარმოებს დაეხმაროს ქონების შეძენაში სუბსიდიების ან სესხების გაცემით, ან მათთვის ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება.³³⁴

13 ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობაში

13.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

ადგილობრივი თვითმმართველობები სოციალური საწარმოებისთვის უმნიშვნელოვანეს პარტნიორებს წარმოადგენენ. ადგილობრივ თვითმმართველობები ყველაზე უკეთ არიან აღჭურვილი ცოდნით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და შესაბამისად პირველადი საზოგადოებრივი მოლოდინიც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პრობლემების სწრაფ და ეფექტურ მოგვარებაზე სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებს მიეძღვნება. თუმცა სხვადასხვა სახის შეზღუდვები, როგორცაა ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა, სპეციალიზირებული ცოდნის არარსებობა, მანდატის

333 Bulgaria, Social and Solidarity-based Enterprises Act, Art. 15,
https://base.socioeco.org/docs/social_and_solidarity_based_enterprises.pdf;

334 South Korea, Social Enterprises Promotion Act (Act No. 8217), Art. 11,
<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/78610/84122/F-684569511/KOR78610%20Eng%202012.pdf>

საკანონმდებლო შეზღუდვები და სხვა, არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის სისწრაფესა და მოქნილობას ზღუდავს. სწორედ ამიტომ ადგილობრივ თვითმმართველობებს ესაჭიროებათ ძლიერი ადგილობრივი მოკავშირე აქტორები, რომლებიც მათთან თანამშრომლობით ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერისა და ეკონომიკური გაძლიერების პროცესში იმ სიცარიელეს შეავსებენ, რომლის დაფარვასაც სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვერ ახერხებენ. რამდენადაც სოციალურ საწარმოებს აქვთ, კონკრეტული მისიები და მიზნები და მჭიდრო კავშირები ადგილობრივ თემთან, მათ აქვთ იდეალური პოზიცია უზრუნველყონ იმ სოციალური პრობლემებისთვის პასუხების გაცემა, რომლებიც ყველაზე მწვავედ დგას თემში.

სწორედ ურთიერთთანამშრომლობითი და ურთიერთდამოკიდებული საქმიანობის პრინციპების გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველობები სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ეკონომიკის გაძლიერების პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორად განიხილებიან. სოციალური ეკონომიკა და მისი მხარდაჭერა მხარდად განიხილება ადგილობრივი ხელისუფლებებისა და ქალაქის მთავრობების მიერ, მათ ქალაქებში არსებული სოციალური უთანასწორობის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად.³³⁵

მაგალითად, 2013 წელს გლობალური სოციალური ეკონომიკის ფორუმის (Global Social Economy Forum (GSEF)) ფარგლებში ჩამოყალიბდა ადგილობრივი ხელისუფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო კავშირი, რომლის ფარგლებშიც ქალაქის ხელისუფლებებმა აღიარეს სოციალური ეკონომიკის განსაკუთრებული როლი და მიზნად დაისახეს ქალაქებში სოციალური ეკონომიკის განვითარებით ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნა, სამართლიანი ეკონომიკური ზრდა, მონაწილეობითი დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების მიღწევა.³³⁶

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ადგილობრივი ინიციატივები, ცენტრალური მხარდამჭერი პროგრამების პარალელურად მოქმედებს და ძირითადად ამ პროგრამების ადგილობრივ დონეზე გაძლიერებისა და შემავსებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ადგილობრივი თვითმმართველობების განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით, სახელმწიფოთა ნაწილი სადაც მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა სოციალური მეწარმეობის შესახებ, პირდაპირ განსაზღვრავენ ადგილობრივი ხელისუფლებების ვალდებულებას ხელი შეუწყოს სოციალური მეწარმეობის განვითარებას ადგილობრივ დონეზე.

მსოფლიოს გარშემო ადგილობრივ ხელისუფლებებს განსხვავებული მოდელები და ინიციატივები აქვთ შერჩეული ადგილობრივ დონეზე სოციალური ეკონომიკის/ მეწარმეობის განვითარების მიმართულებით და ძირითადად ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ.

13.2 ადგილობრივი მხარდამჭერი ინსტრუმენტების კარგი პრაქტიკების მიმოხილვა

საგადასახადო შეღავათები

ბევრ ქვეყანაში სადაც არსებობს ადგილობრივი გადასახადები, ადგილობრივ თვითმმართველობებს სოციალური საწარმოებისთვის დადგენილი აქვთ სპეციალური საგადასახადო რეჟიმი,

335 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

336 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 11 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

რომელიც სოციალური საწარმოების ადგილობრივი გადასახადებისგან გათავისუფლებას ან მათთვის შეღავათიან პირობებს ითვალისწინებს. მაგალითად, **ლატვიაში**, ადგილობრივ ხელისუფლებას კანონით აქვს მინიჭებული უფლება სოციალური საწარმოები გაათავისუფლოს უძრავი ქონების გადასახადისგან, რომელიც ადგილობრივ გადასახადს წარმოადგენს.³³⁷

კონსულტირება და სოციალური მეწარმეობის ჰაბები

მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა ქალაქები მხარს უჭერენ სოციალური საწარმოების მონაწილეობას ადგილობრივი კვლევისა და ინოვაციების პროცესში, ქმნიან სპეციალურ თანამშრომლობის პლატფორმებს, მხარს უჭერენ ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებს. მაგალითად, ბერლინში არსებული ე.წ ინკუბატორები, რომლებიც სოციალურ ინოვაციას უწყობენ ხელს ამ თემებზე ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით.³³⁸

ჰოლანდიაში, მუნიციპალიტეტების 40%-ს გააჩნია გარკვეული სახის ადგილობრივი პროგრამა სოციალური მეწარმეობის მუნიციპალურ დონეზე მხარდასაჭერად. მაგალითად უტრეხტში, ადგილობრივი ხელისუფლება სოციალურ საწარმოებზე გასცემს გრანტებს ადგილობრივი ფონდიდან, ასევე სოციალური საწარმოები სარგებლობენ საშემოსავლო გადასახადის შეღავათებით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე შექმნა ისეთი პლატფორმები სოციალურ საწარმოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და სამეწარმეო კავშირების შესაქმნელად, როგორიცაა სოციალური გავლენის ფაბრიკა (Social Impact Factory).³³⁹ სოციალური გავლენის ფაბრიკა ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო აქტორებს შორის თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს. ეს სივრცე ოთხი სხვადასხვა სექტორში მოქმედი აქტორის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა: საკონსულტაციო ფირმა, რომელიც ქარხნის ყოველდღიური საქმიანობის აღსრულებასა და საწარმოებისთვის საკონსულტაციო საქმიანობას უზრუნველყოფს, საოფისე სივრცის მენეჯმენტის კომპანია (Seats2meet), რომელიც საოფისე ფართსა და ქარხანაში გაწვევრიანების საკითხებს მართავს, იურიდიული კომპანია (BvdV), რომელიც იურიდიულ მომსახურებას ასრულებს და უტრეხტის მუნიციპალიტეტი, რომელიც მხოლოდ ამ პროცესის ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს. ხაზგასასმელია, რომ სოციალური საწარმოების გარდა უტრეხტისა, სოციალური გავლენის ფაბრიკა ეხმარება სხვა ადგილობრივ ხელისუფლებებსაც, რომლებსაც სურთ სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ინიციატივების ადგილობრივ დონეზე დანერგვა.³⁴⁰

ადგილობრივი შესყიდვები

ბევრი ქალაქის ხელისუფლება ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრავს სოციალური საწარმოების პროდუქტის პრიორიტეტული შესყიდვის ან კვოტირების საკითხს, რითიც ახალისებს ადგილობრივ სოციალურ წარმოებას.³⁴¹

337 Social Enterprise Law of Latvia, Art 8. <https://likumi.lv/ta/en/en/id/294484-social-enterprise-law>

338 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 35 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

339 European Commission (2019) Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: The Netherlands; <http://ec.europa.eu/social/main.jsp?advSearchKey=socenterfiches&mode=advancedSubmit&catId=22>

340 იქვე. P. 74;

341 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 36 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

ბელგიაში, ადგილობრივ დონეზე სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ძირითადად ადგილობრივი სახელმწიფო შესყიდვებში სოციალური განზომილების შემოყვანით ხდება. მაგალითად, ფლემიშის რეგიონში მიღებული სამოქმედო გეგმა უფრო ეთიკური შესყიდვების უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს ადგილობრივი სახელმწიფო შესყიდვების სოციალურ განზომილებას. ბრიუსელში, საჯარო დასაქმების სააგენტო ასევე მხარს უჭერს შესყიდვებში სოციალური წინაპირობების განსაზღვრას.³⁴²

ფინანსური მხარდაჭერა/ინვესტირება

საფრანგეთში, რეგიონული ბანკი, (Banque des Territoires,) რომელიც სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და რეგიონების განვითარების მიზნით ფინანსურ რესურსებს განკარგავს, სოციალური მეწარმეობისა და სოლიდარული ეკონომიკის განვითარებას რეგიონულ დონეზე პროექტებში ინვესტირებითა და სხვა ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტებით ეხმარება.³⁴³

მუნიციპალური სოციალური საწარმოები

ფინანსური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიღმა, ადგილობრივი ხელისუფლებები თავადაც ქმნიან სოციალურ საწარმოებს ადგილზე კარგი პრაქტიკის შესაქმნელად და სოციალური პრობლემების ამ გზით გადასაჭრელად. მაგალითად, **ესპანეთში**, კანარის კუნძულზე მდებარე კანდელარიის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია სოციალური საწარმო „კანდელარიის მუნიციპალური სერვისები“ (Municipal Services of Candelaria), რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოციალური გარიყვის რისკის მქონე ადამიანების დახმარება. ადგილობრივ ხელისუფლების დაკვეთით საწარმო ასრულებს სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების დამხმარე/შემავსებელ საქმიანობებს: გერიატრიული მოვლა სახლზე მომსახურებით, დასუფთავების და კონსიაჟის მომსახურება, თიხის სახელოსნოსა და მუნიციპალური აუზის მენეჯმენტი. „კანდელარიის მუნიციპალური სერვისები“ ესპანეთის მასშტაბით პირველი სოციალური საწარმოა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეიქმნა.³⁴⁴

ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმები

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების კონკრეტულ მუნიციპალიტეტში/ტერიტორიაზე ინიცირებისა და განვითარების გარდა, ადგილობრივი ხელისუფლებები ცდილობენ ჩამოაყალიბონ ურთიერთთანამშრომლობისა და საკოორდინაციო პლატფორმები სადაც შეძლებენ სხვა ადგილობრივ ხელისუფლებებთან კომუნიკაციას ერთიანი მხარდამჭერი სტრატეგიისთვის. მაგალითად, **ესპანეთში**, 2017 წელს, 31 ადგილობრივი ხელისუფლების შემადგენლობით ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტების პლატფორმა, სოციალური და სოლიდარული ეკონომიკის ადგილობრივი მხარდაჭერის მიზნით. პლატფორმის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის გამოცდილებების, კარგი პრაქტიკის გაცვლა და ურთიერთდახმარება სოციალური მეწარმეობის ადგილობრივი მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით.³⁴⁵ მულტიპეტორული ქსელები, რომლებიც სოციალური საწარმოებისა და სახელმწიფო

342 European Commission (2020) Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Belgium

343 ECNL, Promoting social entrepreneurship in Ukraine, 2021, p. 10, <https://ecnl.org/sites/default/files/2021-07/Promoting%20Social%20Entrepreneurship%20in%20Ukraine.pdf>

344 European Commission, (2020) Social enterprises and their ecosystems in Europe. Country report SPAIN. P.37;

345 European Commission, (2020) Social enterprises and their ecosystems in Europe. Country report SPAIN. P.64;

აქტორების ჩართულობით, ადგილობრივ დონეზე კონკრეტული სოციალური გამოწვევებისთვის თანამშრომლობასა და სისტემურ პარტნიორულ მუშაობას ითვალისწინებს ფუნქციონირებს კლივლანდში, ვარშავაში, კრაკოვში, ლილეში, ბოლონიაში.³⁴⁶

ადგილობრივი მხარდამჭერი პოლიტიკისა და ინსტიტუციების შექმნა

სამხრეთ კორეის სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის აქტი, პირდაპირ ავალდებულებს ადგილობრივ ხელისუფლებებს შექმნან სოციალური მეწარმეობის ისეთი მხარდამჭერი პოლიტიკები, რომლებიც მორგებული იქნება ადგილობრივ/რეგიონულ საჭიროებებზე.³⁴⁷ ადგილობრივ ხელისუფლებებს ამავე აქტით აქვთ დაკისრებული ვალდებულება სპეციალური ღონისძიებები დაგეგმონ სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციისთვის სოციალური მეწარმეობის კვირეულის განმავლობაში, რომელიც ყოველწლიურად 1 ივლისის კვირაში აღინიშნება.³⁴⁸

მონრეალი-მონრეალს აქვს შექმნილი ადგილობრივ დონეზე სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერაზე მიმართული სპეციალური თანამდებობა-სოციალური ეკონომიკის კომისარი. კომისარი ქალაქში არსებული სოციალური ეკონომიკის ძლიერი მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავების პარალელურად, კოორდინირებულად მუშაობს სხვა პროვინციებსა და ფედერალურ დონეზე სოციალური ეკონომიკის განვითარებისთვის.³⁴⁹

რიო-დე-ჟანეირო- რიოს სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერისა და ინკლუზიური ზრდის მიზნით მთელი რიგი ინიციატივები აქვს დანერგილი ადგილობრივ დონეზე, მაგალითად, მუნიციპალური სამდივნო უზრუნველყოფს მთელი ქალაქის მასშტაბით პროდუქციის გაყიდვის ღონისძიებების ორგანიზებას და სახელმწიფო შესყიდვების წახალისებას. ასევე, ქმნის სოციალური ეკონომიკის სფეროში კავშირებს.³⁵⁰

14 კვლევა, განათლება და სოციალური საწარმოების პოპულარიზება

14.1 თავის მოკლე შეჯამება და ძირითადი მიგნებები

სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში სოციალური ინოვაციისა და მეწარმეობის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების ყველაზე ეფექტურ რესურსს, ამ სფეროს კვლევის, განათლების ხელმისაწვდომობისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა წარმოადგენს.

346 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p. 35 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

347 South Korea, Social Enterprises Promotion Act (Act No. 8217), Art. 3 (2), <https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/78610/84122/F-684569511/KOR78610%20Eng%202012.pdf>

348 იქვე; Art. 16 (2)

349 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p.34 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

350 JFR, Cities, the social economy and inclusive growth: a practice review, 2017, p.34 <https://www.jrf.org.uk/report/cities-social-economy-and-inclusive-growth>

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, ახალგაზრდა პოტენციური მეწარმეებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური სამეწარმეო განათლების ნაკლებობა.³⁵¹ ნაკლებად განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში შესაბამისი განათლების არსებობა, სამეწარმეო მიზნების დასახვის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. მსგავსი ტენდენციაა განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც სამეწარმეო განათლება პირდაპირ აისახება ინდივიდის სამეწარმეო განზრახვებზე.³⁵²

მეწარმეობა ხშირად განიხილება უნარად და კომპეტენციად რომლის შესწავლა და განათლების ინსტრუმენტებით გაზიარება შესაძლებელია.³⁵³ ევროკავშირის კონტექსტში მეწარმეობა განიხილება უნარად, იმოქმედო შესაძლებლობებსა და იდეებზე დაფუძნებით და ისინი აქციო სხვებისთვის ღირებულ ფასეულობად.³⁵⁴

ანალოგიურად, სოციალური მეწარმეობაც განიხილება უნარად რომელიც შეიძლება ისწავლო და ასწავლო. თუმცა, თავისთავად სოციალური მეწარმეობის სწავლება ფოკუსირდება ზოგად სოციალურ პრინციპებზე ან/და ვიწრო უნარებზე თუ როგორ დააფუძნო და მართო სოციალური საწარმო.³⁵⁵

სოციალური მეწარმეობის განვითარების სფეროში განათლების, კვლევისა და უნარების განვითარების კომპონენტის მსგავსი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში როგორც ევროპის მასშტაბით, ასევე იმ ქვეყანათა უმრავლესობაში სადაც სოციალური მეწარმეობა განვითარების მაღალ ფაზაზეა განათლების სხვადასხვა საფეხურზე სოციალური მეწარმეობის სწავლების სხვადასხვა მოდელები დაინერგა.

პრაქტიკაში საგანმანათლებლო ინიციატივების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო ინიციატივებზე, ან საჯარო-კერძო ინიციატივებზეა მიბმული.³⁵⁶

მითითებული კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, კვლევა შემოიფარგლა მხოლოდ სახელმწიფო და საჯარო-კერძო თანამშრომლობის ინიციატივებზე, რომლებიც სოციალური მეწარმეობის განათლებისა და კვლევით საქმიანობაში შემოტანით ამ სფეროს განვითარებას უწყობს ხელს.

14.2 სოციალური მეწარმეობის განათლება საჯარო სკოლებში

კვლევები აჩვენებს, რომ სამეწარმეო განათლებაში ინვესტირება ყველაზე კარგ გრძელვადიან და ხარჯეფექტურ შედეგებს, სწორედ სასკოლო განათლების ეტაპზე იძლევა.³⁵⁷

ევროპის გარშემო სოციალური მეწარმეობის განათლება სკოლებში დანერგილია როგორც დაწყებით, ასევე საშუალო განათლების საფეხურზე. სოციალური მეწარმეობის საგანმანათლებლო პროგრამები გვხვდება შემდეგ ქვეყნებში: ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი და სხვა.³⁵⁸ მაგალითად, **ესპანეთში**, ანდალუზიასა და სხვა რეგიონებში საშუალო სკოლის მოსწავლეებს საჯარო სკოლებში შეუძლიათ შექმნან სოციალური საწარმოები (კოოპერატივები) და ამ გზით მიიღონ ცოდნა

351 Rawat, P., Jain, V. K., & Chamola, P. (2019). Identifying enablers of social entrepreneurship: Interpretive structural modelling. SCMS Journal of Indian Management, 16(1), 117-131. Retrieved from <https://colorado.idm.oclc.org/login?url=https://www-proquest-com.colorado.idm.oclc.org/scholarly-journals/identifying-enablers-social-entrepreneurship/docview/2231895255/se-2?accountid=14503>

352 იქვე.

353 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, p. 33, 2020 ;

354 იქვე.

355 იქვე.

356 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, 2020;

357 OECD (2019), "Boosting social entrepreneurship and social enterprise development in Lithuania: In-depth policy review", OECD Local Economic and Employment Development (LEED) Papers, No. 2019/02, p. 22 OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/502fc6ef-en>.

358 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, 2020; გვ.100

სოციალური და კოლექტიური მეწარმეობის შესახებ.³⁵⁹ **ესტონეთის** საბაზო და საშუალო განათლების კურიკულუმები მოიცავს სკოლებში მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის სწავლებას და მოსწავლეებისთვის სამეწარმეო უნარების გამომუშავებას ერთ-ერთ მიზნად სახავს.³⁶⁰

სკოლებში მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის ინიციატივების მხარდაჭერას ასევე ახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობები და ხელისუფლებები.

მაგალითად, **გერმანიაში** ბრანდერბურგის მთავრობა, ევროპის სოციალურ ფონდთან ერთად აფინანსებს პროექტს სახელწოდებით „სკოლა სამეწარმეო სულისკვეთებით“ (Schule mit Unternehmergeis), რომელიც სკოლებს სამეწარმეო განათლების დანერგვისთვის საჭირო ცოდნითა და რესურსებით აღჭურავს.³⁶¹

საფრანგეთში, სოციალური და სოლიდარული მეწარმეობის შესახებ კანონის საფუძველზე შექმნილი, სოციალური და სოლიდარული მეწარმეობის უმაღლესი საბჭოს (Conseil supérieur de l'ESS), ერთ-ერთ მთავარ მიზანს სოციალური მეწარმეობის შესახებ ახალგაზრდებისთვის საჯარო განათლების გამოყენებით ინფორმაციის მიწოდებაა. ასევე, საინტერესოა **ხორვატიის** მაგალითი, სადაც სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტით, სტრატეგიის აღსრულების მთლიანი ბიუჯეტის 28% საგანმანათლებლო პროგრამებზეა მიმართული.³⁶²

14.3 სოციალური მეწარმეობის სწავლების მხარდაჭერა უმაღლესი განათლების საფეხურზე

სოციალური მეწარმეობის განათლების ყველაზე ფართომასშტაბიან და სისტემურ ინიციატივებს სახელმწიფოები უმაღლესი განათლების საფეხურზე ახორციელებენ.

სოციალური მეწარმეობის განვითარებას, აღიარებასა და პოპულარობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიოს გარშემო იმ უნივერსიტეტთა ჩამონათვალის ზრდამ, რომლებიც სტუდენტებს სოციალური მეწარმეობის სამაგისტრო პროგრამებსა და ამ თემაზე მორგებულ საგნებს სთავაზობენ.³⁶³ უმაღლესი განათლების საფეხურზე სამაგისტრო პროგრამებისა და მეწარმეობის წამახალისებელი პროგრამების განვითარება მნიშვნელოვნად, ამ სფეროში სახელმწიფოს მხარდაჭერითა პოლიტიკამაც განსაზღვრა.

მაგალითად, **ესტონეთის** მთავრობამ ბოლო წლების განმავლობაში სისტემური პოლიტიკა გაატარა ქვეყანაში მეწარმეობისა და სოციალური მეწარმეობის განათლების მხარდასაჭერად, რაც სახელმწიფოს მხრიდან მთელ რიგ ინიციატივებსა და ამ სექტორის ფინანსურ წახალისებას ითვალისწინებდა.³⁶⁴ ესტონეთში მეწარმეობის სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე ყველა

359 Social Enterprises and their Ecosystems in Europe, Comparative Synthesis Report, European Union, 2020; გვ.100

360 OECD (2020), "Boosting social entrepreneurship and social enterprise development in Estonia: In-depth policy review", *OECD Local Economic and Employment Development (LEED) Papers*, No. 2020/02, OECD, p. 59, Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/8eab0aff-en>.

361 Schule mit Unternehmergeis, <https://www.kobranet.de/projekte/schule-mit-unternehmergeist/projekt.html>

362 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p.27 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

363 Brock, Debbi D., Social Entrepreneurship Teaching Resources Handbook (March 1, 2008). Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=1344412> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.1344412>

364 OECD (2020), "Boosting social entrepreneurship and social enterprise development in Estonia: In-depth policy review", *OECD Local Economic and Employment Development (LEED) Papers*, No. 2020/02, OECD, p. 59, Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/8eab0aff-en>.

სტუდენტისთვის სავალდებულოა.³⁶⁵ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ განავითარა სამეწარმეო განათლების პროგრამა Edu&Tegu (2016-2020), რომლის მიზანია სამეწარმეო აზროვნების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე. სწავლების ერთ-ერთი მოდული უშუალოდ სოციალურ მეწარმეობაზეა ფოკუსირებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საპილოტოდ, სოციალური მეწარმეობა ისწავლებოდა ესტონეთის სხვადასხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.³⁶⁶

ასევე სახელმწიფოსა და ევროკავშირის ფინანსურმა და აღიარებულმა მხარდაჭერამ განავითარა სოციალური მეწარმეობის განათლების სფერო უმაღლესი განათლების საფეხურზე, **რუმინეთში**. ევროკავშირისა და რუმინეთის მთავრობის ერთობლივი პროექტის პრომეთეს (the Prometheus project (2010-2013)) მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო უნივერსიტეტებში სოციალური მეწარმეობის კვლევითი ცენტრებისა და ბაკალავრიატის, სამაგისტრო პროგრამების განვითარებაში, სადაც სტუდენტთა ნაწილს სწავლის გადასახადი სახელმწიფომ დაუსუბსიდირა.³⁶⁷

14.4 არაფორმალური განათლება, კონსულტირება და სამეწარმეო ინკუბატორები

ინსტიტუციონალური განათლების რესურსების მიღმა, სახელმწიფოები აქტიურად უჭერენ მხარს სოციალური მეწარმეობის განვითარებას ამ სექტორის არაფორმალური განათლების სივრცეში გააქტიურებით და დაიწყეს სოციალური საწარმოებისთვის საკონსულტაციო მხარდაჭერი მექანიზმების ამოქმედებით. სოციალური ინოვაციების წასახალისებლად მენტორობის, კონსულტირებისა და სოციალური მეწარმეობისთვის უნარების განვითარების მხარდაჭერი პროგრამები სოციალური მეწარმეობის ფინანსურ წახალისებასთან ერთად არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. ამ მიმართულებით ყველაზე გავრცელებულ პრაქტიკას სპეციალური არაფორმალური სივრცეების ე.წ. ინკუბატორების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლებიც სპეციალურად სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებაზეა მიმართული, ან სხვა უკვე არსებულ ინიციატივებთან (მაგ. ტექნო პარკებისა და Start up-ების მხარდაჭერი ინკუბატორების და ა.შ) ხდება სოციალური მეწარმეობის სექტორის დამოუკიდებელი პროგრამების შემოყვანა.

მსგავსი ინიციატივების მხარდაჭერა ხორციელდება როგორც ეროვნულ, ასევე ქალაქების დონეზეც და ძირითადად კერძო-საჯარო თანამშრომლობის ნაყოფს წარმოადგენს.

მაგალითად, **კოპენჰაგენის პროექტების სახლი** (Copenhagen Project House (KPH), არის სამეწარმეო ინკუბატორი დანიაში, რომელიც სოციალურ საწარმოების სტატუსის მქონე მეწარმეებსა და სოციალური მისიის მქონე საწარმოებს ეხმარებიან იდეების პრაქტიკაში დანერგვის პროცესში, სამუშაო სივრცის, მენტორობის პროგრამებისა და სასწავლო რესურსების შეთავაზებით. ინკუბატორის ყველა წევრს აქვს სახელშეკრულებო ვალდებულება თვეში მინიმუმ 3 საათი დაუთმოს ახალი წევრებისთვის გამოცდილების გაზიარებას. ამასთან, ინკუბატორი წევრებს გარე საექსპერტო დანმარებასაც სთავაზობს.

365 OECD (2020), "Boosting social entrepreneurship and social enterprise development in Estonia: In-depth policy review", *OECD Local Economic and Employment Development (LEED) Papers*, No. 2020/02, OECD, p. 59, Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/8eab0aff-en>.

366 Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Estonia (2019).

367 Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Romania (2019), p. 74;

თავდაპირველ ეტაპზე ინკუბატორი მთლიან დაფინანსებას კოპენჰაგენის ბიუჯეტიდან იღებდა, რის გამოც საწარმოებისთვის მიწოდებული სერვისები სრულიად უსასყიდლო იყო. თუმცა, მოგვიანებით ინკუბატორის მდგრადობის შესანარჩუნებლად, შემოიღეს საწევრო გადასახადები, რასაც წევრ სოციალურ საწარმოთა რაოდენობაზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია და პირიქით მიწოდებული სერვისის განვითარებას შეუწყო ხელი. იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში ინკუბატორი ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ მხარდაჭერაზე იყო დამოკიდებული, ინკუბატორის მიზანია ფინანსურად სრული დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და მხოლოდ კერძო ინვესტირებით გააგრძელოს საქმიანობის განხორციელება.³⁶⁸

ავსტრალიის ხელისუფლებამ 2010 წელს დააფუძნა სოციალური მეწარმეობის განვითარებისა და ინვესტირების ფონდი, რომელიც სოციალური საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, startup incubator-ის პროგრამას, ახლადშექმნილი სოციალური საწარმოებისთვის უნარების განვითარებასა და მენტორობის პროგრამას მოიცავდა.³⁶⁹

2019 წელს **ირლანდიის** მთავრობამ მიიღო ეროვნული სოციალური მეწარმეობის პოლიტიკა 2019-2022 წლებისთვის, რომელიც სოციალური მეწარმეობის სფეროში სამ ძირითად მიზანს სახავს. 1) სოციალური მეწარმეობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; 2) სოციალური საწარმოების ზრდა და გაძლიერება 3) უკეთესი პოლიტიკის ჩამოყალიბება;³⁷⁰ პოლიტიკის დოკუმენტით ირლანდიის ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალური მეწარმეობის სფეროში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას შეეხება. ამ კონკრეტული ვალდებულებების აღსასრულებლად კი, 2019 წელს ირლანდიამ 800 000 ევროს ოდენობის დაფინანსება გამოყო ირლანდიის გარშემო სოციალური საწარმოების სწავლებისა და მენტორობის პროგრამის დასაფინანსებლად.³⁷¹ ირლანდიის მთავრობამ დამატებითი 1 მილიონი ევროს ფინანსური დახმარება გამოყო სოციალური საწარმოებისთვის COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სოციალური საწარმოების დასახმარებლად, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში სწორედ მსგავსი ადგილობრივი საწარმოების ინიციატივები ეხმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას პანდემიის გამკლავებაში. ინიციატივის თანახმად, სოციალურ საწარმოებს ამ თანხით მთავრობა დაეხმარება დამატებითი სწავლებისა და მენტორობის რესურსებით.³⁷²

ბულგარეთის კანონმდებლობა პირდაპირ ქმნის გარანტიებს სოციალური საწარმოებისთვის სახელმწიფოს მხრიდან არაფინანსური ხასიათის მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, ბულგარეთის კანონი სოციალური და სოლიდარული მეწარმეობის შესახებ, პირდაპირ მიუთითებს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ვალდებულებაზე მხარი დაუჭიროს სოციალურ საწარმოებს საკუთარი შესაძლებლობების ზრდაში, მათ შორის,

368 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p. 84 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

369 OECD, Policy Brief on Social Entrepreneurship Entrepreneurial Activities in Europe, 2013; p. 14; https://www.oecd.org/cfe/leed/Social%20entrepreneurship%20policy%20brief%20EN_FINAL.pdf

370 National Social Enterprise Policy for Ireland 2019-2022, <https://s3-eu-west-1.amazonaws.com/govieassets/19332/2fae274a44904593abba864427718a46.pdf>

371 Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Ireland (2019), p. 52;

372 <https://www.gov.ie/en/press-release/21005-our-rural-future-minister-humphreys-to-provide-almost-one-million-euro-in-covid-funding-under-social-enterprise-regeneration-programme/>

შესთავაზოს მეთოდოლოგიური მხარდაჭერა ფონდების/დაფინანსების მოძიებაში, უზრუნველყოს მათი ჩართულობა ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრენინგებში, დაეხმაროს პროდუქტის ბრენდირებასა და სერთიფიცირებაში.³⁷³

Junior Achievement Europe/JA Europe

განათლების სექტორში სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ევროპის მასშტაბით ძირითადად კერძო-საჯარო თანამშრომლობის მოდელით მუშაობს. ევროპის რეგიონში ერთ-ერთი ასეთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ინიციატივაა Junior Achievement Europe/JA Europe, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს და ამ ქვეყნებში არსებულ ადგილობრივ საგანმანათლებლო ინიციატივებს აერთიანებს.

JA Europe ადგილობრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციებით ამუშავებს სხვადასხვა აქტივობებსა და საგანმანათლებლო კურიკულუმებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდებს ეროვნულ კონტექსტზე მორგებული სამეწარმეო განათლება მიაწოდოს ინოვაციური გზებით. ორგანიზაციას ორი პროექტი აქვს მიმართული უშუალოდ სოციალური მეწარმეობის განათლების მიმართულებით. 1. სოციალური მეწარმეობა 360 (Social Enterprise 360 (SE360)) - 1 წლიანი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდები ქმნიან მინი სოციალურ საწარმოებს და მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა კონკურსებში იღებენ მონაწილეობას, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. 2. სოციალური ინოვაციის მარათონი (Social Innovation Relay) - მენტორობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი მოხალისე პირები ახალგაზრდების ჯგუფს ეხმარებიან მათი იდეების მდგრად ბიზნეს კონცეფციად ტრანსფორმაციაში.³⁷⁴

JA Europe-ს ბიუჯეტის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის სახელმწიფო დაფინანსებაზე (მაგ. 2015 წლის ბიუჯეტის 14% წარმოადგენდა სახელმწიფოს წვლილს, ხოლო ბიუჯეტის 82% პროცენტი კერძო პირთა კონტრიბუციები იყო.

14.5 სოციალური საწარმოების გაყიდვების წახალისება და პოპულარიზაცია

სოციალური საწარმოების პროდუქციის გაყიდვის მხარდაჭერისა და წახალისებისთვის ბევრ ქვეყანაში არსებობს სოციალური საწარმოების პროდუქციის ბრენდირებისა ან/და განმასხვავებელი ნიშნებით სერთიფიცირების სპეციალური სისტემა. მსგავსი ინიციატივები ძირითადად კერძო აქტორებისგან, დონორების, ინვესტორებისა და თავად სოციალურ საწარმოთა ასოციაციებიდან მოდის, თუმცა ქვეყანათა ნაწილში პირდაპირ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება აღებული მხარი დაუჭიროს სოციალური საწარმოების მიერ შექმნილი პროდუქციის ბაზარზე განსხვავებული ბრენდირებას და ამ გზის მათი გაყიდვების ზრდას.

373 Bulgaria, Social and Solidarity-based Enterprises Act, Art. 14,

https://base.socioeco.org/docs/social_and_solidarity_based_enterprises.pdf; Defourny, J., & Nyssens, M. (Eds.). (2021). Social Enterprise in Central and Eastern Europe: Theory, Models and Practice (1st ed.). Routledge. P. 32, <https://doi.org/colorado.idm.oclc.org/10.4324/9780429324529>

374 OECD/European Union (2017), Boosting Social Enterprise Development: Good Practice Compendium, OECD Publishing, Paris, p. 52 ; <https://doi.org/10.1787/9789264268500-en>.

სოციალური საწარმოს პროდუქტის მარკირება

ბულგარეთის კანონმდებლობა, პირდაპირ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური სასერტიფიკაციო ნიშნის (Certification mark) შექმნას რეგისტრირებული სოციალური საწარმოს პროდუქტებისთვის, რომლებიც ამ ნიშნის უფასოდ გამოყენების უფლებას სოციალური საწარმოს სტატუსის მიღებისთანავე იღებენ. სოციალური საწარმოების პროდუქტისთვის განმასხვავებელი ნიშნის მინიჭების მიზანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სოციალური საწარმოების საქმიანობაზე საზოგადოების ინფორმირებას, სოციალური საწარმოების პროდუქციის გაყიდვასა და ბაზარზე არსებული სხვა პროდუქციისგან მათ განსხვავებას.³⁷⁵

სოციალური საწარმოების პოპულარიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერა

სოციალური ეკონომიკისა და სოციალური საწარმოების გაძლიერებისკენ მიმართული ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები ამ სფეროს ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერასთან ერთად ამ სექტორის პოპულარიზაციასაც ისახავს მიზნად. **სამხრეთ კორეის** სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის აქტი (Social Enterprises Promotion Act), ამ მიზნით ქვეყანაში 1 ივლისს აწესებს სოციალური მეწარმეობის დღეს, ხოლო მის შემდეგ ერთ კვირას სოციალური მეწარმეობის კვირად განსაზღვრავს, რომლის განმავლობაშიც სახელმწიფო იღებს ვალდებულებებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დააორგანიზოს სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალური საწარმოების პოპულარიზაციას და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.³⁷⁶

14.6 სოციალური მეწარმეობის კვლევის სახელმწიფო მხარდაჭერა

სოციალური მეწარმეობის სფეროს კვლევის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ამ სექტორის სწორი განვითარებისა და სახელმწიფო საჭიროებებთან სოციალური საწარმოების საქმიანობის დაახლოების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ასევე ამ სექტორის, მონიტორინგი, სოციალური გავლენისა და საჭიროებების კვლევა, სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს სწორად დაგეგმოს სამომავლო პოლიტიკა და ეფექტურად ითანამშრომლოს სოციალურ საწარმოებთან კონკრეტული გამოწვევების გადაჭრაში.

დიდ ბრიტანეთში, ბირმინგჰემის უნივერსიტეტის ბაზაზე სახელმწიფოს მხარდაჭერით დაფუძნდა მესამე სექტორის კვლევის ცენტრი, რომლის მიზანია შეისწავლოს მესამე სექტორი და მაქსიმალურად განავითაროს მისი წვლილი. კვლევითი საქმიანობის პარალელურად, ცენტრი

375 Ministry of Labor and Social Policy of Bulgaria, Registered Certification Mark "Social Enterprise Product", 20.08.2019, <https://seconomy.mlsp.government.bg/en/page.php?c=4&d=155>

376 South Korea, Social Enterprises Promotion Act (Act No. 8217). Art 16-2, <https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/78610/84122/F-684569511/KOR78610%20Eng%202012.pdf>

აქტიურად მუშაობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და სფეროს პრაქტიკოსებთან მესამე სექტორის შესაძლებლობების ზრდისთვის პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად.³⁷⁷

ავსტრიაში, ვენის უნივერსიტეტში, აკადემიური კვლევითი ცენტრი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციალური საწარმოების კომპეტენციის ცენტრი (Competence Center for Nonprofit Organizations and Social Entrepreneurship), რომელიც 2013 წლიდან ფოკუსირდება სოციალური საწარმოების განვითარების კვლევაზე და ძირითადად სამი მიმართულებით ეხმარება სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებას. 1. აწარმოებს სფეროს პრაქტიკულ კვლევას. 2. სთავაზობს საგანმანათლებლო კურსებს პრაქტიკოსებს. 3. აყალიბებს აქტორებს შორის კავშირებს ასოციაციებისა და სხვა ინსტრუმენტების დახმარებით. ცენტრის საქმიანობა ძირითადად კონკრეტულ პროექტებსა და დაკვეთებზეა მიბმული, საიდანაც კვლევითი საქმიანობის ნაწილი სახელმწიფოსთან და ევროკავშირთან თანამშრომლობით ხორციელდება.³⁷⁸ ავსტრიაში, სოციალური მეწარმეობის სფეროს კვლევის სახელმწიფო ხელშეწყობა ხორციელდება, ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზეც სადაც შრომითი ბაზრის ზედამხედველობისა და კვლევის ინსტიტუტი (Institut Für Arbeitsmarktbetreuung und -forschung Steiermark) ავსტრიის პროვინციაში სოციალური საწარმოების საქმიანობას იკვლევს შრომითი ბაზრის ფოკუსით. ინსტიტუტი ამ სფეროში კვლევით საქმიანობას ძირითადად სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების დაკვეთით ახორციელებს.³⁷⁹

14.6.1 სოციალური მეწარმეობის გავლენის კვლევა

კიდევ ერთი თემა, რომელიც სოციალური მეწარმეობის კვლევის მიმართულებით ჩნდება არის, ზრდადი მოთხოვნა სოციალური საწარმოების მიმართ გაზომონ საკუთარი სოციალური გავლენა (social impact measurement) და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებასა და დონორებს. ძირითადად მსგავსი მოთხოვნები სოციალური საწარმოების თვითრეგულირების ინიციატივებიდან ან დონორების მოთხოვნით ჩნდება, თუმცა ხშირად ასეთი ინიციატივების მთავარი მამოძრავებელი ძალა უშუალოდ სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს ან/და სოციალური საწარმოების სხვადასხვა პრივილეგიებს აბამს მათი სოციალური გავლენის ინდიკატორებს.

ამ თემის მიმართ ზრდადი ინტერესი არსებითად განპირობებულია ამ საკითხის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოთა დღის წესრიგში აქტიურად დაყენებით. 2014 წელს ევროპის კომისიის ექსპერტთა ჯგუფმა სოციალური მეწარმეობის მიმართულებით (Commission Expert Group on the social business initiative (GECEs) გამოაქვეყნა სპეციალური მეთოდოლოგია სოციალური საწარმოების საქმიანობის გავლენის გასაზომად და ხაზი გაუსვა ევროპის გარშემო გავლენის შეფასების სისტემის ჰარმონიზების მნიშვნელობას. ამის შედეგად, ევროკავშირის წევრმა რამდენიმე სახელმწიფომ აქტიურად დაიწყო ადგილობრივ დონეზე სოციალური გავლენის შეფასების კულტურის დამკვიდრება. მაგალითად, საფრანგეთის მთავრობამ შექმნა ინიციატივა „ფრანგული გავლენა“ (French Impact), რომლის მიზანია რეგიონულ და ეროვნულ დონეზე სხვადასხვა

377 The Third Sector Research Centre, University of Birmingham, <https://www.birmingham.ac.uk/research/tsrc/about-us/index.aspx>

378 NPO Competence Center, <https://www.wu.ac.at/en/npocompetence/about-us>

379 Social enterprises and their ecosystems in Europe. Updated country report: Austria (2019), p. 77, https://ec.europa.eu/social/main.jsp?advSearchKey=socentercountryreports&mode=advancedSubmit&catId=1307&doc_submit=&policyArea=0&policyAreaSub=0&country=0&year=0

სამინისტროებისა და დონორების მობილიზება, იმისთვის რომ სოციალური საწარმოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს სოციალური გავლენის გაზომვის ინსტრუმენტები.³⁸⁰

ზოგიერთ სახელმწიფოს, სოციალური საწარმოების გავლენის გაზომვის საკითხი საკანონმდებლო დონეზე აქვს გაწერილი და მხოლოდ თვითრეგულირების ჩარჩოში არ აქცევს.

ბულგარეთს სპეციალური ბრძანებით აქვს დამტკიცებული მეთოდოლოგია, რომელიც სხვადასხვა აქტორის მიმართ სოციალური საწარმოების საქმიანობის ზეგავლენას ზომავს წინასწარ დადგენილი კითხვარით.³⁸¹ თუმცა მსგავსი შეფასების იმპერატიული დაწესების მთავარი კრიტიკა შეიძლება იყოს სოციალური საწარმოებში არსებული ცოდნისა და ექსპერტიზის ნაკლებობა თავად უზრუნველყონ სრულყოფილი მეთოდოლოგიური შეფასება, რაც შესაბამისად, მათგან შესაძლებელია დამატებითი ფინანსური რესურსის ან/და ბიუროკრატიულ პროცესებში ჩაბმის განმაპირობებელი გახდეს.

15 კვლევის შეჯამება და რეკომენდაციები

მოცემული კვლევა ნათლად წარმოაჩენს, რომ სახელმწიფოებს მრავალფეროვანი მიდგომები გააჩნიათ სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით. თუმცა, მრავალფეროვანი პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოებისა და განსხვავებული ინიციატივების ფონზე იკვეთება ერთიანი ჩარჩო ფორმულა, რომელსაც სახელმწიფოები მიმართავენ ქვეყნის შიგნით სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდასაჭერად და ამ გზით ქვეყანაში არსებულ სოციალურ გამოწვევებთან საბრძოლველად. სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ჩარჩო კი შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან შედგება: სოციალური მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო აღიარება და ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა (ჩარჩოს კანონის მიღებით ან მომწესრიგებელი პრინციპების სხვა კანონებში ინტეგრაციით); სფეროს პოლიტიკური აღიარება და სოციალური მეწარმეობის განვითარების გრძელვადიანი ხედვის შემუშავების მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა; სახელმწიფოსთან პირდაპირი კომუნიკაციის, სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, თანამშრომლობის ინსტიტუციური პლატფორმების შექმნა; სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდაჭერა დივერსიფიცირებულ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით (მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების ხელმისაწვდომობა სოციალური საწარმოებისთვის, საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფო გრანტები და სუბსიდიები, სახელმწიფო ქონების შეღავათიანი ხელმისაწვდომობა და სხვა); სოციალური საწარმოების უნარებისა და შესაძლებლობების ზრდის მხარდაჭერა (მათ შორის, მენტორობის, ურთიერთთანამშრომლობის სისტემების, ინოვაციის წახალისება ჰაბების, სამეწარმეო ინკუბატორებისა და სხვა ინიციატივების გზით); სოციალური მეწარმეობის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების მიზნით სოციალური მეწარმეობის განათლების ყველა საფეხურში ინტეგრირება, აკადემიური კვლევითი კომპონენტის წახალისება და ამ სფეროს ახალგაზრდებში პოპულარიზაცია. მოცემულ ჩარჩო პრინციპების იმპლემენტაცია მართალია ერთმანეთთან არსებითად არის დაკავშირებული და სოციალური მეწარმეობის განვითარებისთვის ყველაზე ეფექტური ყველა ამ ელემენტის ერთობლივი, სისტემური მუშაობაა, თუმცა სახელმწიფო

380 OECD (2019), "Boosting social entrepreneurship and social enterprise development in Lithuania: In-depth policy review", OECD Local Economic and Employment Development (LEED) Papers, No. 2019/02, OECD Publishing, Paris, p. 39 <https://doi.org/10.1787/502fc6ef-en>.

381 Bulgaria, METHODOLOGY FOR THE EVALUATION OF SOCIAL VALUE ADDED PURSUANT TO ART. 7 OF THE FINAL PROVISIONS OF THE LAW ON SOCIAL AND SOLIDARITY ECONOMIC ENTERPRISES, <https://seconomy.misp.government.bg/en/page.php?c=38&d=148>

რესურსების შეზღუდულობის გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე შესაძლებელია ამ ჩარჩო პრინციპების გარკვეული შეზღუდული მოდელით ამუშავება და მათი შემდგომი გაფართოება. მითითებული აღნიშვნის პარალელურად, ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, კვლევის მიგნებებზე დაფუძნებით, სახავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მიზანშეწონილია გადადგას საქართველოში სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისთვის საჭირო მხარდაჭერის სახელმწიფო სისტემის შესაქმნელად და ამ გზით ქვეყანაში სისტემურ სოციალურ გამოწვევებთან საბრძოლველად მჭიდრო მოკავშირის, სოციალური საწარმოების გასაძლიერებლად.

რეკომენდაციები:

1. ხელისუფლებამ შეიმუშაოს სოციალური მეწარმეობის მომწესრიგებელი ჩარჩო კანონმდებლობა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით განსაზღვრავს, სოციალურ მეწარმეობის სფეროსთან დაკავშირებულ ლეგალურ დეფინიციებს და შექმნის სფეროს აღიარების, განვითარებისა და მხარდაჭერისთვის სამართლებრივ საფუძვლებს; კერძოდ კი, სოციალური მეწარმეობის მომწესრიგებელი ჩარჩო კანონით უნდა დარეგულირდეს:

- სოციალური მეწარმეობის სფეროსთან დაკავშირებული ლეგალური დეფინიციები (მათ შორის, სოციალური მეწარმეობის, სოციალური საწარმოსა და სოციალური მეწარმის ცნებების ჩამოყალიბება);
- სოციალური საწარმოების სამართლებრივი ფორმის თავისუფლება და სტატუსის მინიჭებასთან (შენარჩუნებასთან) დაკავშირებული ადგილობრივ კონტექსტთან შესაბამისი მოთხოვნები და ნაკლებ ბიუროკრატიული პროცედურები, რომლებიც რეალურად დაკმაყოფილებადი იქნება სოციალური საწარმოების მხრიდან;
- სოციალური მეწარმეობის სტატუსიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები;
- სოციალური მეწარმეობის სფეროს მხარდაჭერის პრინციპები;

2. საქართველოს მთავრობამ ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით განავითაროს ერთიანი სტრატეგიული ხედვა, განვითარების გეგმა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის სფეროს აღიარების, განვითარებისა და მხარდაჭერისთვის, და სახელმწიფომ მიმართოს შესაბამისი რესურსები მათი პრაქტიკაში დანერგვისთვის;

3. საქართველომ მთავრობამ უზრუნველყოს სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისთვის სხვადასხვა აქტორთა თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაცია, მათ შორის გამოიყენოს უკვე არსებული მულტიპეტორული კოორდინაციის მექანიზმები ან/და შექმნას დამოუკიდებელი ინსტიტუციური რგოლი;

4. სახელმწიფომ სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებისთვის უზრუნველყოს სოციალურ საწარმოთა ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის:

- სახელმწიფო შესყიდვების სფეროს ოპტიმიზაცია, რომელიც გაითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის მიზნებსა და თავისებურებებს, მათ შორის, შესყიდვის სხვა კრიტერიუმების პარალელურად, შესყიდვის დამატებითი სოციალური გავლენის გათვალისწინებით;
- სოციალური საწარმოების, სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, გრანტების მიღების უფლების მინიჭების მიზნით, კანონმდებლობაში არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა. (გრანტების შესახებ კანონი);

- არსებულ სახელმწიფო და მუნიციპალურ მხარდაჭერის პროგრამებში (სუბსიდია, გრანტები, თანადაფინანსება და სხვა) ყველა ფორმის სოციალური საწარმოს თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა და სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით ახალი მხარდამჭერი პროგრამების დანერგვა;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალური საწარმოების საქმიანობისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების, საწარმოთა სოციალური მისიიდან გამომდინარე, შეღავათიან პირობებში დროებით სარგებლობაში გადაცემის გზით;

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, დაინტერესებული აქტორების ჩართულობით უზრუნველყონ სოციალური მეწარმეობის მიმართულების სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული და არაფორმალური განათლების პროგრამებში, და კურიკულუმებში ინტეგრირება;

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ, ახალგაზრდებს შორის სოციალური მეწარმეობისა და ინოვაციის წახალისება სპეციალური დაფინანსების პროგრამების გზით;

7. სახელმწიფომ, სოციალურ საწარმოების შესაძლებლობების ზრდის მიზნით, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე უზრუნველყოს განვითარების, თანამშრომლობის, კონსულტირების, მენტორობის, ინფორმაციის გაცვლისა და შესაძლებლობების განვითარების სივრცეები (ინკუბატორები, აქსელერატორები, ჰაბები და ა.შ.);

8. სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედების პარალელურად, თემატური საჭიროებების მიხედვით, სახელმწიფომ სხვადასხვა აქტორების ჩართულობითა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებით შეიმუშაოს სოციალური გავლენის შეფასების მეთოდოლოგია/მეთოდოლოგიები;

9. სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სოციალური საწარმოების სერვისებისა და პროდუქციის გაყიდვების წახალისებას, მათ შორის, სპეციალური სასერტიფიკაციო ნიშნის პოპულარიზაციასა და მათი პროდუქციის გაყიდვის წახალისებით;

10. ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა ხელი შეუწყონ სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციას და სფეროს განვითარების მიზნით თანმდევი საზოგადოებრივი ღონისძიებების განხორციელებას.



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი

სოციალური მეწარმეობის განვითარება
მდგრადი და ინკლუზიური
საზოგადოებისთვის



თბილისი 2022 © CSI

